საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მზია ესიტაშვილი

შრომითი რესურსების გამოყენების ტენდენციები და შრომის ბაზრის განვითარების გზები აგრარულ სფეროში კახეთის რეგიონის მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: აგრარული ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სულიკო ყამარაული

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ–ჰუმანიტარული ფაკულტეტის აგრარული ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

თბილისი – 2011 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

თავი I. აგრარულ სფეროში შრომითი რესურსების ფორმირების თეორიული საფუძვლები;

1.1. საბაზრო ურთიერთობები, როგორც შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების გარემო;

1.2. შრომის ბაზარი შრომის ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია;

1.3. შრომის ბაზრის ფუნქციონირების თეორიული ასპექტები;

თავი II. სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და შრომითი რესურსების გამოყენების პირობები და საშუალებები;

2.1. სოფლის მეურნეობის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო;

2.2. სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა შრომითი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია;

2.3. სასოფლო - სამეურნეო წარმოების რაციონალური სპეციალიზაცია და კონკურენცია შრომითი რესურსების გამოყენების რეალური გზაა;

2.4. ფერმერული მეურნეობების განვითარება, შრომითი რესურსების დასაქმების საფუძველია;

თავი III.კახეთის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შემოსავლების ზრდის საშუალებები და გზები;

3.1. მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა და ფორმირების

ჭყაროები;

3.2. მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხარისხი და სიღარიბის დაძლევის გზები;

თავი IV. რეგიონში შრომის ბაზრის ფორმირება და განვითარება;

4.1. შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ძირითადი თავისებურებები და განვითარების ტენდენციები;

4.2. შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ფორმები, მეთოდები და მათი სრულყოფის გზები;

4.3. კახეთის რეგიონში კოოპერატივების ორგანიზება და დანერგვა ერთ-ერთი ძირითადი გზაა შრომითი რესურსების დასაქმებისა;

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურე.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

<u>თემის აქტუალობა.</u> ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოში წინა პლანზე იწევს, როგორც საერთოდ, ასევე რეგიონების მიხედვით შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემები, მათი რიცხოვნობის, შემადგენლობის, გადანაწილების, ფორმირების ყოველმხრივი შესწავლა, შესაბამისად მოსახლეობის როგორც მომხმარებლისა და მწარმოებლის რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლილებებისა და პერსპექტივების გათვალისწინების აუცილებლობა, რადგან საკუთრების ფორმების ცვლილებას მრავალ სხვა პრობლემათა გვერდით მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა. რაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის სოციალური ფონს კიდევ უფრო აუარესებს.

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა დასაქმების პრობლემა, რომელშიც აისახება საზოგადოების თითოეული ქვესისტემის უარყოფითი სოციალური შედეგები, ვინაიდან ადამიანთა საქმიანობა, საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემა წარმომქმნელი პროცესია. შრომითი საქმიანობა არა მარტო ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, არამედ სოციალურ ორგანიზმში აერთიანებს ცალკეულ ინდივიდს და იმავდროულად მათი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალური დასაქმებისა და მასობრივი უმუშევრობის დაძლევის ხელისშემშლელ პირობას სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად შრომის ანაზღაურების მოუწესრიგებელი სისტემა და სათანადო მოტივაციური მექანიზმის არარსებობაც წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარზე (რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების

სტადიაშია) მიმდინარე პროცესები არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. რადგან ნებისმიერი დარგის და დონის ბიზნესის წარმატება მომავალში სულ უფრო მეტად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ უფრო სრულად და დროულად გაითვალისწინებს მუდმივ ცვლილება-განვითარებაში მყოფ შრომითი რესურსების რაოდენობასა და სტრუქტურას და ამით მოსახლეობის მოთხოვნილების მასშტაბებს და საბაზრო კონიუნქტურას.

<u>პრობლემის შესწავლის მდგომარეობა</u>. საქართველოს ეკონომკურ მეცნიერებაში შრომითი რესურსების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის კვლევას არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. თუმცა საბაზრო ურთიერთობების პირობებში რეგიონულ ჭრილში იგი ნაკლებად არის განხილული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კახეთის მხარის შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის რეალური მიმართულებების განსაზღვრა.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები</u>. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესწავლა, უმუშევრობით გამოწვეული თეორიული და მეცნიერულ-პრაქტიკული პრობლემების გაანალიზება და მოსახლეობის ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფა შრომის ბაზრის ფორმირების პირობებში. ეს, ჩვენი აზრით, არის საფუძველი, შემუშავდეს ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან.

ამ მიზნის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

-კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და დარგის შემდგომი განვითარების ტენდენციების დადგენა;

-კახეთის რეგიონის შრომითი პოტენციალის შეფასება;

-დასაქმების შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის ანალიზი, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და გამოსწორების გზების ძიება;

-მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმების მდგომარეობისა და თავისებურებების შესწავლა;

-უმუშევართა მატერიალური უზრუნველყოფის გზების ძიება;

-უმუშევართა დასაქმების ორგანიზაციის სრულყოფა.

<u>კვლევის ობიექტი და თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები</u>. ჩვენი სადისერტაციო თემის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კახეთის რეგიონი, რომელიც აერთიანებს ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარელის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს ადმინისტრაციულ რაიონებს. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ჩამოთვლილი რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და მათში დასაქმებულთა შემადგენლობა, ეროვნული შრომის ბაზარი, კერძოდ, დასაქმების სფერო და მისი რეგულირების მექანიზმი.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და მეთოდური საფუძველია შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების თაობაზე ქართველი და უცხოელი ეკონომისტების შრომები. ჩვენს მიერ გამოყენებულია საქართველოში ამავე საკითხებზე მიღებული კანონები

და სამართლებრივი აქტები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები და სხვა მასალები.

<u>კვლევის მეცნიერული სიახლე.</u> სადისერტაციო ნაშრომი არის პირველი დასაბუთებული გამოკვლევა, რომელშიც შესწავლილია, კახეთის რეგიონის შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრობლემები აგრარულ სექტორში, საბაზრო ეკონომიკის მოტივაციების, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებითა და ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემების ჩარჩოებში;

-რეგიონის მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების განსაზღვრის მიზნით, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები. დადგენილი იქნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად შრომითი რესურსების დასაქმების მდგომარეობაც გაუმჯობესდება და პირიქით;

- ეკონომიკურად შეფასდა შრომითი რესურსების გამოყენება რეგიონალურ ჭრილში;

- განისაზღვრა შრომითი რესურსების გამოყენების ტენდენციები და კანონზომიერებები;

- განისაზღვრა და შეფასდა შრომის მენეჯმენტის სრულყოფის სარეკომენდაციო გამოყენებითი პოზიციები;

- დამუშავდა შრომის ბაზრის ფორმირებისა და რეგულირების ღონისძიებები და დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნები;

რეგიონის რეალური ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შემოთავაზებულია დაუსაქმებელთა, უმუშევართა აღრიცხვის მეთოდოლოგიის სრულყოფის წინადადებები და რეკომენდაციები.

დადასტურებულია, რომ უმუშევრობის შემაშფოთებელი ზრდა გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, საგარეო ფაქტორის ზეგავლენით, ადრინდელი სამრეწველო კავშირების მოშლით, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გაუარესებით და სხვა.

<u>ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.</u> კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგების გამოყენებამ უნდა სრულყოს და გააუმჯობესოს კახეთის რეგიონის აგრარულ სექტორში შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება, მისი მართვის სისტემა, უზრუნველყოს მისი ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია, ხელი შეუწყოს შრომის ბაზრისა და საერთოდ მარკეტინგული სიტუაციის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში საწარმოო პოტენციალის ოპტიმიზაციის საფუძველზე უზრუნველყოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდა.

კვლევის შედეგად მიღებული პარამეტრები, დასკვნები და წინადადებები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრარული და ეკონომიკური რეფორმების გატარებისას შესაბამისი სამინისტროების, ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და საგრანტო პროექტების შედგენისას.

<u> გამოკვლევის შედეგების აპრობაცია</u>. სადისერტაციო კვლევის შედეგები განხილულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე, სტუდენტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე (1996-2011 წლები).

<u> პუბლიკაცია</u>. დისერტაციაში ასახული კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 13 სამეცნიერო ნაშრომში.

<u>ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.</u> სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 184 გვერდს, შედგება შესავლის, ოთხი თავის, თორმეტი ქვეთავისაგან. ტექსტში ჩართულია 29 ცხრილი, გამოყენებულია როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა

თავი I. აგრარულ სფეროში შრომითი რესურსების ფორმირების თეორიული საფუძვლები

1.1. საბაზრო ურთიერთობები, როგორც შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების გარემო

ა) ცნება შრომითი რესურსების განსაზღვრის შესახებ, მათი შემადგენლობა და თანამედროვე მდგომარეობა

შრომის პროცესში ადამიანთა შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი "სამუშაო ძალა", "შრომითი რესურსები", "შრომითი პოტენციალი", "ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა", "ეკონომიკურად არა აქტიური მოსახლეობა", და სხვა. ტერმინი "შრომითი რესურსები" პირველად 1922 წელს გამოიყენა ცნობილმა რუსმა ეკონომისტმა ა. სტრუმილინმა თავის ცნობილ შრომაში (II-51), რის შედეგადაც ის ფართოდ გავრცელდა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. "შრომითი რესურსები" და "სამუშაო ძალა" არ არის ერთადერთი გაგება. სამუშაო ძალის ქვეშ უნდა გავიგოთ ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ადამიანი, და რომელიც გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ის ქმნის რომელიმე მოთხოვნილების ღირებულებას. ხოლო შრომითი რესურსები ხდებიან სამუშაო ძალად მაშინ, როცა ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები გამოიყენება წარმოების პირობებში. შრომის უნარი კი მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს გააჩნია. ეს კიდევ ამტკიცებს იმას, რომ სამუშაო ძალა-შრომითი რესურსების მოძრავი ნაწილია.

უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი-შრომითი პოტენციალი, რომლის გამოყოფა განპირობებული იყო ეკონომიკის ინტენსიური განვითარებით და ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობის წინ წამოწევით. შრომითი პოტენციალი განიხილება, როგორც მოცულობითი კატეგორია და ფასდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების სისტემით, რომელსაც მიეკუთვნება: შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა, მისი სქესობრივ- ასაკობრივი სტრუქტურა, მომუშავეთა

ხვედრითი წილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში, დასაქმების სფეროებს შორის მათი განაწილება, განათლების დონე, პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, შრომის ტექნიკური შეიარაღება, მისი ეფექტიანობის დონე

მოსახლეობის, როგორც მატერიალური და სულიერი ფასეულობების მწარმოებლის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს შრომითი პოტენციალი, რომელსაც თითქმის იდენტურად განსაზღვრავენ ი. მაცკულიაკი და ო. აპოსტოლოვი, ლ. ბლიახმანი, გ გენდლერი თავიანთ ნაშრომებში. კერძოთ ისინი აღნიშნავენ, რომ შრომითი პოტენციალი მოიცავს ადამიანების შრომისუნარიანობის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომელიც პირობითად შეიძლება სამ სახედ დავყოთ: პირველი-ესაა თვისებები დაკავშირებული მომუშავის შრომის შესაძლებლობებთან, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ამტანობასთან და სხვა, ანუ ყველაფერი ის, რაც აისახება ადამიანის ფიზიკურ ფსიქოლოგიურ პოტენციალში; მეორე ესაა ადამიანის საერთო სპეციალური განათლების, შრომითი ჩვევების ერთობლიობა, ხოლო მესამე სახის ნიშანთვისებებია, თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის დონე, სოციალური სიმწიფე, ინტერესების მოთხოვნილებები და სხვა.

სხვა სიტყვებით, რომ გამოვხატოთ, საზოგადოების შრომითი პოტენციალი-ესაა შრომის რეზერვი განსაზღვრული მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურით, მისი ხარისხობრივი მახასიათებლებით (განათლება, პროფესიული მომზადება, კვალიფიკაცია და სხვა) და განპირობებულია განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით,

საზოგადოების საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარების დონით.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების შედეგად წინა პლანზე გამოდის ახალი მოთხოვნები შრომითი პოტენციალის ფორმირებისადმი და გამოყენებისადმი, მისი სრული რეალიზაციის მიზნით ჩნდება ახალი ქმედითი მექანიზმების გამოძებნის აუცილებლობა.

შრომითი პოტენციალის ფორმირება და სრულყოფა, მოსახლეობის შემადგენლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა, სოფლად შრომითი რესურსების ეფექტური გამოყენება წარმოადგენს მათი წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას.

შრომითი რესურსების დემოგრაფიულ ბაზას წარმოადგენს შრომითი რესურსების რიცხოვნობა, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. შემდგომში შევჩერდებით კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, სოციალური სტრუქტურისა და განათლების დონის დახასიათებაზე.

საკითხი სოფლის მეურნეობის შრომითი რესურსების შემადგენლობის შესახებ შეიცავს თავის სპეციფიკურ თავისებურებებს. ის მდგომარეობს იმაში რომ არა ყველა სოფლის მოსახლეობა ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ მეურნეობაში, არამედ ისინი ვინც მუშაობენ, რა თქმა უნდა ისინი არაერთნაირად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში. შესაბამისად უნდა დავადგინოთ მოსახლეობის რომელი ჯგუფები და როგორი ხარისხით არიან დამოკიდებულნი შრომით რესურსებზე. ამ საკითხზე

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი.მაგალითად, ი. ს. პასხავერი, გარდა უფროსი ასაკის შრომისუნარიანებისა, სასოფლო-საეურნეო წარმოებაში მონაწილე მოზარდებისა, მოხუცებისა და ინვალიდებისა შრომითი რესურსების პოტენციალებს მიაკუთვნებს იმ მუშახელს, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, საწარმოებში ან მონაწილეობენ წარმოებისაგან მოწყვეტით, მაგრამ ცხოვრობენ სოფლებში. სხვა ავტორები შრომით რესურსებში არ თვლიან შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ, კოოპერაციულ მეურნეობებში. მაგალითად, ა. რუსანოვი თვლის რომ სოფლის მოსახლეობის შრომით რესურსებში "...ერთვებიან ყველა შრომისუნარიანი მუშახელი, ფაქტიურად მომუშავეები კოოპერაციულ მეურნეობებში მთელი წლის მანძილზე, ..., უფროსი ასაკის არაშრომისუნარიანი მუშახელი და მოზარდები რომლებიც იმ ან ამ დროს მუშაობენ კოოპერაციულ მეურნეობებში".

რაც შეეხება სამუშაო ასაკს, ერთის შეხედვით იგი შრომისუნარიანობის ბიოლოგიური საზღვრების დადგენას ითვალისწინებს, რადგან შრომისუნარს ადამიანი იძენს ან კარგავს გარკვეულ ასაკში, რომელიც მართალია შედარებით ინდივიდუალურია, მაგრამ თითოეულ ქვეყანაში სამუშაო ასაკის დადგენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებს უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი "სახელმწიფო პენსიის შესახებ" მე-6 მუხლის I პუნქტის თანახმად შრომის ასაკად ქალებისათვის დადგენილია 16-60 წელი, ხოლო მამაკაცებისათვის 16-65 წელი.

შრომით რესურსებზე საუბრისას მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათება. მათი ასაკობრივი სტრუქტურა შედგება ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან. კერძოდ:

1. ახალგაზრდები - 16-29 წლის;
2. საშუალო ასაკის - 30-49 წლის;
3. წინა საპენსიო ასაკის -50-60 წლის(ქალები), 50-65 წლის(კაცები);
4. საპენსიო ასაკის -60 და მეტი წლის ქალები, 65 და მეტი წლის კაცები.

ზემოთ ჩამოთვლილ თითეულ ასაკობრივ ჯგუფში არსებობს ზოგადი კანონზომიერება. 16-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის, ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი დაკავებულია სწავლით და ისინი მხოლოდ 25 წლის და მეტი ასაკიდან ებმებიან აქტიურ შრომით საქმიანობაში.

მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის შესწავლისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამუშაო ასაკის მთელი მოსახლეობა არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში, რადგან მისი გარკვეული ნაწილი შრომისუნარმოკლებულია. სამუშაო ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობიდან იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც მოკლებულნი არიან შრომისუნარს (ინვალიდები, ავადმყოფები, რომლებიც ხანგრძლივად მკურნალობენ) და იმ პირებისა, რომლებიც შეღავათიანი პირობებით არიან გასული პენსიაზე, მიიღება სამუშაო ასაკის შრომისუნარიან მოსახლეობად.

ამჟამად სწრაფად იზრდება პენსიონერთა წილი ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, რაც მათი დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის სფეროების გაფართოების რიგ ახალ პრობლემებს

წამოჭრის. რადგან დღევანდელ პირობებში საჭიროა და აუცილებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი რესურსების აღნიშნული რეზერვი-პენსიონერების ცოდნა და გამოცდილება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით შრომისუნარიანი მოსახლეობის სტატისტიკური აღრიცხვის მიზნით გამოიყენება ტერმინი "ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა", რომელშიც იგულისხმება მოსახლეობის ის ნაწილი (დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცნება გაიგივებულია სამუშაო ძალის ცნებასთან), რომელსაც შეუძლია აწარმოოს მატერიალური დოვლათი ან მომსახურება. ამ კატეგორიის მუშაკებს მიეკუთვნება დასაქმებულები და უმუშევრები, რომლებსაც სურვილი აქვთ მუშაობის.

ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას (მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არ შედის სამუშაო ძალის შემადგენლობაში) მიეკუთვნება: მოსწავლეები, სტუდენტები, ავადმყოფების და ბავშვების მომვლელები, პენსიონერები და ის პირები ვისაც არ აქვთ სურვილი მუშაობის.

ქვეყნის შრომითი რესურსები მოსახლეობის ზემოხსენებული კატეგორიების გამოყენებით შეიძლება ორი წესით განისაზღვროს: პირველი-სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობის და სამუშაო ასკს გადაცილებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ჯამით, მეორე-ან მთელი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და სამუშაო ასკის საოჯახო და პირად მეურნეობაში დასქმებულთა, სწავლაში ან შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულთა ჯამით. ეს პროცესები და მოვლენები, რომელიც იწვევს მოსახლეობის მოძრაობას, პირდაპირ აისახება შრომითი რესურსების რიცხოვნობასა და სტრუქტურაზე.

კერძოდ, შრომითი რესურსების ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებს მოსახლეობის მოძრაობა. არჩევენ მოსახლეობის მოძრაობის შემდეგ სახეებს: ბუნებრივ, ასაკობრივ, მექანიკურ მოძრაობას და სოციალური მდგომარეობის შეცვლა.

გამოიყოფა აგრეთვე მოსახლეობის მოძრაობის ორი ზონა: საზოგადოებრივი წარმოების შიგნით (დენადობა, საწარმოდან საწარმოში, დარგიდან დარგში გადასვლა) და მის გარეთ.

მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე მოქმედი მრავალი ფაქტორიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქალების წილი მოსახლეობაში, ქალების დასაქმების, აგრეთვე ქალაქის და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. ეს იმით არის განპირობებული, რომ ერთის მხრივ, შობადობის ბრუტო კოეფიციენტი სოფლის მოსახლეობისათვის უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქის მოსახლეობისათვის, მართალია მას შემცირების ტენდენცია სოფლადაც აქვს, მაგრამ იგი ქალაქად უფრო სწრაფად მცირდება.

მოსახლეობის ბუნებრივი მატებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალთა დასაქმების ზრდას, რადგან მას ახლავს დემოგრაფიული და სოციალური შედეგები. ქალების დასაქმების ზრდა საზოგადოებრივ წარმოებაში მთელ რიგ პრობლემებს წამოჭრის: მათ შორის რაციონალური გამოყენების, შრომის პირობების გაჯანსაღების, საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოების, მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაც ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სიკვდილიანობის შემცირება. აქედან გამომდინარე, სიკვდილიანობის

კოეფიცენტის შემცირება სერიოზულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკვდილიანობის კოეფიციენტზე გავლენას ახდენს უბედური შემთხვევები ტრანსპორტზე, მოწამვლა, ტრამვები და ა.შ., რომელთა უმეტესობა აქტიურ შრომისუნარიან მოსახლეობაზე მოდის. ამასთან, როგორც ცნობილია, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ათვისების აუცილებლობა იწვევს მუშახელის მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ეს კი მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციის გარეშე შეუძლებელია.

მიგრაცია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ საცხოვრებელი ადგილის დროებით ან მუდმივ შეცვლას ნიშნავს. მიგრაცია, საერთოდ, დადებით როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებაში. მოსახლეობის ისეთ გეოგრაფიულ განლაგებაში, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი კვლავწარმოების ამოცანებს. მთელ რიგ შემთხვევაში მიგრაციას უარყოფითი მოვლენებიც ახლავს, რაც გამოიხატება მიგრანტებისათვის არაკეთილსასურველი ყოფითი პირობების გამო მათი უკან დაბრუნებით. უფრო მეტიც, მათ მაგალითს ხშირად აბორიგენი მოსახლეობაც ბაძავს და საცხოვრებლად შრომითი რესურსები ისედაც მდიდარი ევროპული ნაწილისაკენ მიეშურება, რაც კიდევ უფრო ამწვავებს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემას.

შრომითი რესურსები შედგებიან ორი ჯგუფისაგან: ძირითადი და დამხმარე შრომითი რესურსებისაგან. ძირითად შრომით რესურსებს მიეკუთვნება შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომელსაც შეუძლია და

უნდა შეძლოს მთელი წლის მანძილზე გამოიმუშაოს განსაზღვრული რაოდენობის კაც-საათები. დამხმარე შრომით რესურსებს მიაკუთვნებენ, შრომისუნარიან მოზარდებს, მოხუცებს და ინვალიდებს, რომლებიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გარეთ, სწავლობენ წარმოებისაგან მოწყვეტით. მოცემული ჯგუფისათვის არ არის დადგენილი კაც-საათების განსაზღვრული მინიმუმი. მაგრამ მიუხედავად ამისა შრომითი რესურსების შემადგენლობაში ისინი შედიან.

შრომითი რესურსების მთავარ ნაწილს შეადგენს შრომისუნარიანი მამაკაცები და ქალები, რომლებიც ძირითადად მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში. ქვეყანაში ამჟამად არსებული მოსახლეობის დუხჭირული ცხოვრება შრომითი რესურსების მიგრაციას იწვევს. ამიტომ მათ სწორედ წარმართვას დიდი სახალხო-სამეურნეო და ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

საკვლევი თემის განსაზღვრულობის ფონზე საჭიროდ მივიჩნიეთ გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულება შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ. ეს იმიტომ, რომ რეგიონის დარგობრივი სტრუქტურა გავლენას ახდენს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომითი რესურსების შემადგენლობისადმი მიდგომა უსათუოდ უნდა შეიცვალოს. საბჭოურ პირობებში ჩამოყალიბებული შეხედულებები მოძველდა და დღეისათვის შრომითი რესურსების ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შრომითი რესურსების გადანაწილებას, რომლის მიხედვითაც ყოველი ადმინისტრაციული ერთეული უნდა ეცადოს თავისი ადგილი და

როლი იპოვოს საერთაშორისო თანამშრომლობაში. შესაბამისად ქვეყნის შრომითი რესურსების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ახალი ვითარების გათვალისწინებით.

ბ) შრომითი რესურსები და მათი ფორმირება ბაზრის პირობებში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი საქართველოსათვის მძიმედ დაიწყო. პოლიტიკურ-სოციალურმა და ეთნიკურმა კონფლიქტებმა გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, წარმოების დაქვეითება, ინფლაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება, დემოგრაფიული პრობლემები და ა. შ.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი 1991-1995 წლებში უფრო ღრმავდებოდა. 1995 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, კრიზისამდელი, 1990 წლის დონის 47.8%-მდე დაეცა, 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 28.5% შეადგინა. 1995 წელს სამრეწველო წარმოების დონე 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 12.9%-ს აღწევდა ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობა ქვეყანაში ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ამან გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მწვავე, გლობალურ და ეროვნულ პრობლემად იქცა, რადგან სამუშაოს დაკარგვა, ცხოვრების დონის შემცირებას, უიმედო მომავალს და საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას ნიშნავს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ალტერნატივა არ ჰქონდა. მთელი მსოფლიოს გამოცდილებით დამტკიცებულია მისი ცხოველმყოფელობა და ეფექტიანობა. მისი მიზანია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შექმნა, რომელიც მუშაობს ადამიანთა

ინტერესებისათვის. მოსახლეობის კეთილდღეობა მჭიდრო კავშირში შევიდა საბაზრო ეკონომიკასთან, რადგან ბაზარზე ცენტრალური ფიგურა გახდა მომხმარებელი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილებას საქონელზე. ბაზარზე გადასვლა ავადმყოფური პროცესია. ამაში ჩვენ ნათლად დავრწმუნდით. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გარდამავალი პერიოდის შედეგები, საჭიროა ფართოდ (და, რა თქმა უნდა, შერჩევით) გამოვიყენოთ მსოფლიო გამოცდილება.

ბაზრის ფორმირება მოითხოვს მესაკუთრე სუბიექტების სამრთლებრივ დაცვას. პროდუქციის თავისუფალი რეალიზაციის და შემოსავლების დამოუკიდებლად განაწილების უფლება უნდ ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ყოველ ორგანიზაციულ ფორმას, ნებისმიერ სურსათმწარმოებელს.

ბაზარი განვითარებულ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში რეგულირებადია. ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით სახელმწიფო აბალანსებს მას-აიძულებს ფერმერებს აწარმოონ არა მარტო იმ სახის პროდუქცია, რომელიც მაქსიმალურ მოგებას იძლევა, არამედ ისეთიც, რომელიც დაბალრენტაბელურია, მაგრამ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აგროსამრეწველო სფეროში უცხოურ ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის სააქციონერო საწყისებზე, აუცილებელია კაპიტალის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოზიდვის, მსოფლიოს ბაზარზე გასვლის მიზნით.

ორგანიზაცია უნდა გაუკეთდეს სასაქონლო და საფონდო ბირჟებს. პირველი უნდა დასპეციალდეს სასურსათო და სანედლეულო პროდუქციის რეალიზაციაზე. მასში ოპერაციები უნდა ხორციელდებოდეს როგორც არსებულ, ისე მოსალოდნელ საქონელზე (ე.წ. ფიუჩერული ოპერაციები), საფონდო ბირჟაზე კი უნდა ხდებოდეს საწარმოების ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ხელს უწყობდეს სააქციო საზოგადოების შექმნას.

ბაზრის სტრუქტურაში (მექანიზმში) აუცილებლად უნდა შედიოდეს აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობის კომერციული საწარმოები, ფირმები, კომპანიები, რომელთა მთავარი დანიშნულებაცაა პროდუქციის შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია.

საქართველოში საბაზრო მეურნეობის მშენებლობისაკენ სწრაფვა იმის მაუწყებელია, რომ ხდება საქველმოქმედო მექანიზმიდან ნორმალური ეკონომიკური კანონების მოთხოვნების შესატყვის საბაზრო მექანიზმზე გადასვლა. თუ სახელმწიფო საწარმოების მამოძრავებელია ბრძანებები, კერძო სექტორის სასიცოცხლო ძალაა-სპონტანურობა, შინაგანი იმპულსი და მოტივები, როგორც დასჯისა, ისე წახალისებისა. კერძო საკუთრება ერთგვარი "აბჯარია" სახელმწიფოს ვოლუნტარისტული ზეგავლენისაგან დაცვისა, სამეურნეო სუბიექტის თავისუფლებისა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მონოპოლიზმისა და დეფიციტის დაძლევის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დადგა. რისთვისაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოყალბდეს საბაზრო გარემო, რომელიც მხოლოდ შუალედური ეტაპია. საბოლოო მიზანი კი ჯანსაღი ბაზრის პირობებში შრომითი რესურსების ფორმირების ეფექტიანი მექანიზმის

შექმნა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაა. რომლის რეალიზაციის მექანიზმი აქამდე ვერ შეიმუშავა ჩვენმა მეცნიერებამ, დღეს ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ლაიტმოტივი გახდა, ვინაიდან მის განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოში მრავალი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ. ამოცანის გადაჭრა.

მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს შრომითი რესურსების რიცხოვნობის ზრდის მაღალი ტემპების შეცვლა უფრო დაბალი ტემპებით. ამჟამად ძნელია განისაზღვროს, რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება და განმტკიცდება ფორმირების აღნიშნული ეტაპი საქართველოში, ეს ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაუახლოვდება ერთმანეთს ქვეყნის შრომითი რესურსების შედარებით დამოუკიდებელი ჯგუფების ფორმირება, ისეთი ჯგუფებისას, როგორიცაა ქალაქის და სოფლის.

სოფლად სამუშაო ძალის ფორმირების თვისობრივი მხარე მკვეთრად ჩამორჩება ქალაქად სამუშაო ძალის ფორმირებას, მაშინ როცა რაოდენობრივი თვალსაზრისით, ე.ი. ბუნებრივი მატების მხრივ, შებრუნებულ მოვლენას აქვს ადგილი; სოფლად სამუშაო ძალის მომზადების დაბალი დონის საერთო ფონზე მკვეთრად განსხვავდება ქალთა სამუშაო ძალის ფორმირება მამაკაცებისაგან.

ამა თუ იმ ქვეყანაში დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობა, მოსახლეობის კვლავწარმოება უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენს შრომითი რესურსების ფორმირებაზე, განაპირობებს მისი მოძრაობის თავისებურებებს. ამავე დროს, მოსახლეობის კვლავწარმოების ხასიათი თავის მხრივ დამოკიდებულია უწინარეს

ყოვლისა, მოცემული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, გაბატონებულ წარმოების წესზე, ეკონომიკური კანონების მოქმედებაზე.

კახეთის რეგიონის შრომითი რესურსების ფორმირებაში სტრუქტურულ ცვლილებათა ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები გამოიხატება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ჯერ ერთი, მიმდინარეობს მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა ხვედრითი წონის შემცირება მთლიანად რეგიონში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში; მეორე, ადგილი აქვს არასაწარმოო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის მნიშვნელოვან ზრდას და, შესაბამისად, მისი ხვედრითი წონის ამაღლებას დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. მესამე, მიმდინარეობს შრომითი რესურსების გადანაწილება სოფლის მეურნეობასა და არასასოფლო-სამეურნეო დარგებს შორის ამ უკანასკნელის სასრგებლოდ, რის გამოც შესაბამისად მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა; მეოთხე, მიმდინარეობს თვით სახალხო მეურნეობის დარგების შიგნით და, უწინარეს ყოვლისა, არასასოფლო-სამეურნეო დარგებს შორის და, პირველ რიგში კი, მრეწველობის დარგებს შორის დასაქმებულ მუშაკთა გადანაწილება; მეხუთე, ადგილი აქვს საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ხვედრითი წონის შემცირებას და, შესაბამისად, მათი წარმოების განსაზოგადოებულ სექტორში ჩაბმას

თუ გვინდა, რომ ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია, საბაზრო ძალების თავისუფალ თამაშზე, ფუნქციონირებდეს ნორმალურად, ხელისუფლების არსებობა გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ

გადავწყვიტოთ სამი პრობლემა მაინც: კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობა, კონკურენციის და თავისუფალი საქონელგაცვლის არსებობა და სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება, რომლებიც გადაწყვეტენ ფერმათა ბანკროტისა და ლიკვიდაციის რეგულირების წესებს. საბაზრო ეკონომიკის ყველაზე რთულ ეკონომიკურ დილემას წარმოადგენს შემოსავლების განაწილების არათანაბრობა. იგი მცირდება გადასახადების პროგრესული სისტემის შემოღებით. ამ სისტემით მდიდრები იძულებულნი არიან მეტი შეიტანონ ბიუჯეტში სახელმწიფო სექტორის დასაფინანსებლად, ვიდრე მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილმა ფენებმა. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელები მეტს იღებენ სხვადასხვა სახის ტრანსფერტული გადასახადებისაგან, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, დახმარებები დროებით შრომის უნარიანობის დაკარგვის და უმუშევრობის შემთხვევაში და სხვა.

1.2 შრომის ბაზარი შრომის ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია

შრომის პროცესი შეიცავს შემდეგ მომენტებს: თვით შრომა, როგორც ადამიანის მიზანმინართული საქმიანობა, შრომის საგანი, შრომის საშუალება და შრომის შედეგი. სამივე ეს ფაქტორი ურთიერთგანპირობებულია. შრომა არის არა მარტო სიმდიდრის მნიშვნელოვანი წყარო, არამედ მთლიანად ადამიანის ცხოვრების მთავარი პირობაც. შრომა წარმოადგენეს ეკონომიკურ კატეგორიას და მისი ხასიათი განისაზღვრება საწარმოო ურთიერთობებით.

შრომას სოფლის მეურნეობაში აქვს რიგი თავისებურებები, რომლებიც ასახავენ დარგის სპეციფიკას, რომელთაგანაც აღსანიშნავია:

-შრომის ეფექტიანობა დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე და მიწის რესურსების ხარისხზე;

-შრომის გამოყენებაზე გავლენას ახდენს წარმოების სეზონურობა;

-სოფლის მეურნეობაში არა გვაქვს შრომის ვიწრო სპეციალიზაცია;

-შრომა სოფლის მეურნეობაში დაკავშირებულია ცოცხალი ორგანიზმების (მცენარე, ცხოველი) გამოყენებასთან;

-მემცენარეობაში და მეცხოველეობაში შრომის პროცესების შედარებით დაბალი დონე;

-შრომა სოფლის მეურნეობაში ნაკლებად მიმზიდველი და არაესთეტიკურია (ამინდის პირობები, ნალექები, დაჭუჭყიანება, მზის რადიაცია);

-მუშაკების შრომა გამოიყენება როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად კერძო სექტორში;

-წარმოების პროცესში მაღალი ხვედრითი წონა უკავია ქალების, მოზარდების და პენსიონერების შრომას.

ასე რომ, პროდუქციის წარმოებისას, საჭიროა ვიცოდეთ და მხედველობაში მივიღოთ ბიოლოგიური კანონების მოთხოვნილებები. შრომის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მცენარეთა და ცხოველთა კონკრეტულ ჯიშებზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უშუალოდ დამოკიდებულია შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხზე. შრომით რესურსებში იგულისხმება არა მარტო ისინი, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში არიან ჩართულნი, არამედ

მოსახლეობის ნაწილიც, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში

დარგში შრომითი რესურსების მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები. (ცხრილი 1.2.1)

როგორც ვხედავთ, საბაზისო 1990 წელთან შედარებით, ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი 2009 წლისათვის შემცირებულია 1039 ათასი კაცით. იმავე პერიოდში სოფლად მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა 349.6 ათასი კაცით, ე.ი. სოფლის მოსახლეობის კლება შედარებით მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობისა, თუმცა მასში სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილის ცვლილება ძალზე უმნიშვნელოა-2.6%.

1.2.1 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყანაში 40%-ზე მეტია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველო მკვეთრად გამოხატული აგრარული ქვეყანაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში სოფლად დასაქმებულთა რიცხვი, პირიქით, შესამჩნევად გაზრდილია (იხ.ცხრილი 1.2..2) მათი რიცხვი 1990-დან 2008წლამდე გაიზარდა 148 ათასი კაცით, ანუ 21%-ით და, თუ დასაქმებულთა მთელ რიცხვში ისინი შეადგენენ 25,1%-ს, ამჟამად იგი 52.6%-მდე გაიზარდა.

ცხ.1.2.1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)
1 იანვრისათვის

წლები	მთელი მოსახლეობა	მათ შორის სოფლის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა %-ით მთელ მოსახლეობასთან
1990	5424,4	2425,9	44,7
1993	5345,8	2431,7	44,8
1996	4674,5	2191,3	40,4
1999	4469,8	2131,6	39,3
2002	4371,5	2086,7	38,5
2005	4321,5	2064	38,1
2008	4382,1	2078,3	38,3
2009	4385,4	2076,3	38,3

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

ცხ.1.2.2

დასდაქმება ეროვნულ ეკონომიკაში
(ათასი კაცი)

	1990	1995	2000	2005	2006	2007	2008
დასაქმებულია-სულ მათ შორის:	2767	1730	1839	1745	1746	1704	1602

სოფლის მეურნეობაში	695	530	957	943	966	910	843

პროცენტობით ჯამთან

წყარო: ცხრილი შედგენილია "საქ.სტატის" მონაცემების მიხედვით.

ძირითადი წარმოების ხარჯზე, დამხმარე სარეწაო და სამრეწველო საწარმოების განვითარებით, სოფლად თითქმის აღარ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ამიტომ, ახალგაზრდობის მიგრაციის პროცესი არწყდება და უახლოეს მომავალში სოფლის მეურნეობაში

დასაქმებულია-სულ მათ შორის:	100	100	100	100	100	100	100
სოფლის მეურნეობაში	25,1	30,6	52	54,3	55,3	53,4	52.6

მოსალოდნელია შრომითი რესურსების სიმცირე საერთოდ და პირველ რიგში 24-დან 54 წლის ასაკის. ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ სოფლის მეურნეობაში მომუშავის შემოსავალში (ცხრილი 1.2.3). ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი (შემოსავალი) შეადგენს 465.1 ლარს (2008წ.), კონკრეტულად სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულებისა-249.3 ლარს, ანუ მიახლოებით 2-ჯერ ნაკლებს.

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის რთული ელემენტი და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიური სფეროა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

ცხრილი.1.2.3

ეკონომიკაში დასაქმებულების საშუალო თვიური ხელფასი

/ ლარი /

	2000	2003	2004	2005	2006	2007	2008
ეკონომიკაში სულ	72,3	125,9	156,8	204,2	277,9	368,1	465,1
მათ შორის სოფლის მეურნეობაში	19,3	47,6	68	128,9	148,1	184,9	249,3
სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ		22,3	22,7	24,1	23,3	21,3	22,6

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

შრომის ბაზარი სამუშაო ძალის მყიდველებისა და გამყიდველების კონტაქტების სფეროა, სადაც ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან ისინი, ვისაც სურთ მუშაობა (დასაქმებულები უმუშევრები) და ისინი, ვინც ქირაობენ მომუშავეებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. შრომის ბაზარში უნდა ვიგულისხმოთ სამუშაო ძალის ბაზარი. სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირება ნიშნავს სასაქონლო ბაზარზე თავისუფალი მუშის გამოჩენას, რომელიც ფლობს სამუშაო ძალას, როგორც საქონელს.

შრომის ბაზარი, ისე როგორც სხვა ბაზრებიც, მოქმედებს ფასის გაწონასწორების საფუძველზე. შრომა ძვირია, როცა იგი იშვიათია, და იაფია, როცა იგი ჭარბია. შრომის გაწონასწორებულ ფასს უნდა

შეესაბამებოდეს ხელფასის ისეთი დონე, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის არსებობას.

შრომის ბაზარი ეფუძვნება მოთხოვნა-მიწოდების კატეგორიებს. მოთხოვნა განისაზღვრება მათი საერთო მოთხოვნილებით რეგიონში, სამუშაო ძალის მიწოდების ფორმირება კი ხდება შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთობლივი შესაძლებლობებით.

სამუშაო ძალის მიწოდება დამოკიდებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობაზე, დემოგრაფიულ პირობებზე, შრომის მოტივაციაზე (ხელფასზე), სამუშაო ძალის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე და საზოგადოების ფინანსურ შესაძლებლობაზე.

სოფლის მეურნეობაში არათანაბარი მოთხოვნილებაა სამუშაო ძალაზე, რაც განპირობებულია დარგში წარმოების შრომის სეზონურობით, ამიტომ აქ ვანსხვავებთ მუდმივ და სეზონურ მუშაკებს. ასე რომ, რაოდენობრივ ასპექტში უნდა გავარჩიოთ სრული და არასრული დასაქმება. სრული დასაქმებაა მეცხოველეობაში მთელი წლის განმავლობაში. სრულად არიან დასაქმებული მექანიზატორებიც. არასრული დასაქმებაა მემცენარეობაში ხელით სამუშაოებზე. ამ კატეგორიის მუშაკებს მიეკუთვნებიან აგრეთვე პენსიონერები და მოზარდები, რომლებიც გამოიყენებიან სეზონურ სამუშაოებზე.

საქართველოში უმუშევრობაზე ყველაზე არსებით გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. სოციალურ სფეროზე საბაზრო ურთიერთობათა გავრცელებამ გამოიწვია რიგი ნეგატიური პროცესები, რომელთა შორის ყველაზე საშიშია სწორედ სოფლად დაუსაქმებლობის და მიგრაციის დონის ამაღლება.

სამუშაო ძალის ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპზე მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების და, აგრეთვე, თვითრეგულირებისა და თვითორგანიზაციის მექანიზმის განუვითარებლობის გამო

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენი აზრით, შრომის ბაზარზე სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ უმუშევრობის შემცირება, და მეორე მხრივ-დასქმების სრულყოფა. საქართველოს სამუშაო ძალის ბაზარზე შექმნილი სიტუაცია კი, მნიშვნელოვნად არის განპირობებული წარმოების მოცულობის დაცემით, გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისით, არასტაბილური საფინანსო-საკრედიტო სისტემით და ა. შ.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არასახელმწიფო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი ბევრად აღემატება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელს, რაც რათქმა უნდა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებითაცაა გამოწვეული (ცხრილი 1.2.4)

ცხ.1.2.4

დასაქმებულების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით (პროცენტობით)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სულ-დასაქმებულები ეკონომიკაში	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
აქედან-სახელმწიფო სექტორში	25,9	24	22,9	22,5	22,8	23	20,6	20,3	21,4	20,9
არასახელმწიფო სექტორში	74,1	76	77,1	77,5	77,2	77	79,4	79,7	78,6	79,1

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

ღღევანდელი საქართველოს ეკონომიკის დეპრესიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ პასიური მოლოდინის

ტაქტიკა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გამართლებული იყოს, ის ხელს შეუწყობს მდგომარეობის შერბილებას. პასიურ პოლიტიკასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დასაქმების აქტიურ პოლიტიკას, რაც ნიშნავს სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან ახალი სამუშაო ადგილების, კადრების გადამზადების სისტემისა და შრომითი მოწყობის ცენტრების შექმნაზე.

ცნობილია, რომ შრომის ბაზრის რეგულირებას სახელმწიფო ახორციელებს სამი მიმართულებით: სოციალური პოლიტიკის, დასაქმების პოლიტიკისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით.

სოციალური პოლიტიკის გატარება გულისხმობს ეფექტური სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკის გატარება უნდა მოიცავდეს უმუშევრების, პენსიონერების, ინვალიდებისა და სხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის დახმარებების დროულად გაცემას და მათი ოდენობის ზრდას ჯერ მინიმალური ხელფასის, ხოლო ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე-საარსებო მინიმუმის დონემდე და ზემოთ.

უნდა მოხდეს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა გათვალისწინებული იქნეს პენსიაზე გასულთა და გამსვლელთა მუშაობის სტაჟი და ხელფასის მოცულობა. ასეთი ღონისძიებების განხორციელებას, ჩვენი აზრით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან:

-ხელს შეუწყობს მომუშავეთა სურვილს, აღიარონ თავიანთი დასაქმება და შემოსავალი;

-შეამცირებს ეკონომიკის სფეროში აღურიცხავ მომუშავეთა რაოდენობას;

-გამჭვირვალეს გახდის ეკონომიკის ყველა სფეროში მომუშავეთა

შემოსავლებს გადასახადებისათვის.

დასქმების სფეროში განხორციელებული პოლიტიკა მიმართულია ახალი სამუშაო ადგილების, კადრების გადამზადების სისტემისა და შრომითი მოწყობის ცენტრების შექმნაზე.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა და, მაშასადამე, სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული პრობლემების გადაჭრა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მაგრამ ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელია მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, რაც დამოკიდებულია:

-ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე;

-დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების გარანტირებულობაზე;

-სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებაზე და ა. შ.

ინვესტორთა სახით პირველ რიგში გვევლინება საქართველოს მოსახლეობა, შრომითი კოლექტივები, ბანკები. კერძო პირი განახორციელებს საკუთარი სახსრების ინვესტირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავსებით იქნება დარწმუნებული იმ ორგანიზაციის საიმედოობაში, ვისაც ანდობს თავის ფულს. განსაკუთრებით მსხვილ ინვესტიციების დაბანდებას ახორციელებენ უცხოური კომპანიები, რომლებიც, როგორც ამას მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, წარმოადგენენ ადგილობრივი ეკონომიკის აღმავლობის მნიშვნელოვან ფაქტორს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს გარკვეული შეზღუდვებით: სასურველი, განხორციელდეს არა პირდაპირი ინვესტიციები ანუ

ინვესტიციები სამრეწველო კაპიტალის სახით, არამედ მოხდეს კაპიტალის მოზიდვა სესხების სახით. ამასთან, სასესხო კაპიტალის მოზიდვას უნდა ახლდეს გრძელვადიანი სასესხო განაკვეთის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებების კომპლექსი.

დასქმების მაკროეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს უმუშევრობის შემცირებასა და დასაქმების ზრდის მიზნით ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო და საგადასახადო ღონისძიებების გატარებას. სპეციალური საკრედიტო-საგადასახადო პოლიტიკის დამუშავება ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდის სტიმულირებას. ასეთი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეული შეღავათების დაწესებას დასაქმების დონის გაფართოებისათვის, მაგრამ ამავე დროს უნდა ახორციელებდეს კონტროლს იმაზე, თუ რის ხარჯზე მიმდინარეობს დასაქმების დონის გაფართოება.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს საკუთარი საქმის ორგანიზება ანუ თვითდასაქმება. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაქმების ეს ფორმა ყველაზე მისაღებია, მაგრამ საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, რაც უნდა გამოიხატოს, პირველ რიგში, ფინანსურ მხარდაჭერაში. მაგრამ მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება საკმარისი არ არის და მას აუცილებლად უნდა დაემატოს განვითარებული კონსალდინგური მომსახურების გაწევა, რაც თვითდასაქმების პროგრამას უფრო იაფს, ქმედითს და შედეგიანს გახდის.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. როგორც ამას გვიჩვენებს განვითარებული ქვეყნების მაგალითი, სწორედ ამ ზომის საწარმოებში არის დასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს ამ საწარმოთა ფინანსურ და საკონსულტაციო მხარდაჭერას, შეღავათიანი საკრედითო პოლიტიკის გატარებით

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს შრომითი მიგრაციის მოცულობა, ვინაიდან მიგრაციის ასეთი ფორმა მოსახლეობის დაბალი შემოსავლებისა და მასობრივი უმუშევრობის პირობებში ბევრ ოჯახს გადარჩენის ერთგვარ შანს აძლევს და ამასთან ერთად ზრდის მოსახლეობის ერთობლივ მოთხოვნას, მათ მსყიდველუნარიანობას. მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ამ პროცესის სტიქიური განვითარება და საჭიროებს ყურადღებას და კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებას და განვითარებას, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მის რესტრუქტურიზაციას. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს დროებითი ღონისძიებების პროგრამა შიგა სასაქონლო ბაზრის დასაცავად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის და, შესაბამისად ეროვნული სამუშაო ძალის ბაზრის განვითარებასა და მის ადაპტირებას მსოფლიოში შქმნილი ტენდენციებთან. იმის გამო, რომ ნედლეულის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოდის, საჭიროა მასზე საბაჟო გადასახადის შემცირება, ხოლო ზოგ შემთხვევეში მოხსნაც კი.

დღეს საქართველოს სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული პრობლემები გამოწვეულია იგივე მიზეზებით, რამაც განაპირობა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი. ამის გამო დასაქმების პოლიტიკა აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, სადაც დასაქმება წარმოადგენს

სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს. დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ სამუშო ძალის ბაზრის რეგულირების პოლიტიკის გატარების საფუზველზე მაკრო და მიკრო დონეებზე.

1.3 შრომის ბაზრის ფუნქციონირების თეორიული ასპექტები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულმა წინააღმდეგობებმა რადიკალური ძვრები გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, წარსული სისტემის მემკვიდრეობამ, ჩავარდნებმა ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, საბაზრო ინფრასტრუქტურის შესაბამისი სამართლებრივი სისტემის არარსებობამ, მოქალაქეთა შრომის უფლებების რეალიზაციის შეზღუდვამ, სოციალურმა დაუცველობამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა, უარყოფითი გავლენა მოახდინეს ქვეყნის შრომით პოტენციალზე და განაპირობეს მისი დეგრადაცია. მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე და უმუშევრობამ ქრონკული ხასიათი მიიღო.

უმუშევრობის გამონწვევი მიზეზებისაგან დამოკიდებულებით განასხვავებენ ფრიქციულ, სტრუქტურულ და ციკლურ უმუშევრობას.

ფრიქციული უმუშევრობა წარმოიშობა მომუშავეთა ერთი ორგანიზაციიდან (საწარმოდან) მეორეში გადანაცვლების პერიოდში. ფრიქციული უმუშევრობა გარდაუვალი და ნაკლებსაზიანოა, რადგან ახალი სამუშაო ადგილის ძიების ინიციატივა მოდის თვთ მომუშავისაგან და ხშირ შემთხვევაში გადანაცვლება ხდება მაღალანაზღაურებად, შემოქმედებით სამუშაოზე. ფრიქციული უმუშევრობის პირობებში სამუშაო ძალის მიწოდება არ აჭარბებს მასზე მოთხოვნას, რადგან ამ დროს არსებობს მოთხოვნა მოცემული

კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე. უმუშევრობა გამოწვეულია მხოლოდ უკეთესი სამუშაო ადგილის ძიების სურვილით.

სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიშობა ეკონომიკაში ხანგრძლივი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად. დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიებში ხდება გარკვეული ცვლილებები, რაც ბუნებრივია, ცვლის სამუშაო ძალაზე მოთხოვნას. მომუშავეების მომზადებას ან გადამზადებას ახალი სპეციალობების მიხედვით გარკვეული დრო სჭირდება, რის გამოც წარმოიშობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა. სტრუქტურულ უმუშევრებს გადამზადების გარეშე არ შეუძლიათ სამუშაოზე მოწყობა. ცხადია, სტრუქტურული უმუშევრობა შედარებით ხანგრძლივი და არასასურველი მოვლენაა ეკონომიკაში. სტაბილურად განვითარებადი ეკონომიკის პირობებში მუდმივად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და შესაბამისად გადამზადებული მომუშავეების დასაქმების შესაძლებლობაც.

ციკლური უმუშევრობა გამოწვეულია საქონლისა და მომსახურების წარმოების დაცემით. წარმოების დაცემა და ინვესტიციების შემცირება იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას და შესაბამისად, უმუშევრობის ზრდას.

ზოგჯერ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ტექნოლოგიურ უმუშევრობას. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასთან, რომელიც ეკონომიკურად მიზანშეწონილს ხდის სამუშო ადგილების შემცირებას და იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებას. ასევე ცალკეა გამოყოფილი ინსტიტუციონალური უმუშევრობა. მისი არსებობა განპირობებულია თვით შრომის ბაზრის ინსტიტუტების ფუნქციონირებით.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ფარული უმუშევრობაც. ამ კატეგორიის უმუშევრებს წარმოადგენენ დაქირავებული მომუშავეები, რომლებიც იძულებით დასაქმებული არიან არასრული სამუშაო დროით და შრომის დაბალი ინტენ სიურობით.

უმუშევრობის კიდევ ერთი სპეციფიკური სახეა სეზონური უმუშევრობა, რომლის არსებობა დაკავშირებულია საქმიანობისა და შესაბამისად, მეურნეობის ცალკეული დარგის ფუნქციონირების ხასიათთან. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელება, თევზჭერა, ნადირობა, მშენობლობა ზოგიერთ რეგიონებში სრული ინტესიურობით შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე თვე წელიწადში, დანარჩენ დროს მკვეთრად მცირდება საქმიანობის მასშტაბები დ აქედან გამომდინარე, დასაქმებულთა რიცხოვნებაც.

უმუშევრობის, როგორც სოციალურ-ეკონოიკური მოვლენის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა. დასაქმების შესახებ საქართველოს კანონი (ქ. თბლისი, 2001 წლის 28 სექტემბერი) თანახმად, უმუშევარია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად. სამუშაოს მაძიებელია სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი პირი (უმუშევარი ან დასაქმებული), რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში და ეძებს სამუშაოს.

უმუშევრობის გაზომვა მისი ცალკეული სახეების მიხედვით საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. ამიტომ მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება უმუშვრობის დონის მაჩვენებელი. იგი გამოითვლება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან და

გამოიხატება პროცენტებში.

ისტორიულად, ყველგან, არა მარტო საქართველოში, სოფელი ინახავდა ქალაქს, დღეს თვითონ სოფელს უკიდურესად უჭირს. (იხ.დანართი 1)

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, პროცენტული შეფარდებით უმუშევრობა სოფლად უფრო ნაკლებია ვიდრე ქალაქში, ალბათ იმიტომ, რომ სოფელში თითქმის ყველა მეკომურს აქვს მიწა, რომლიდანაც, მართალია ოჯახის შენახვა არ ხერხდება, მაგრამ ოჯახის წევრები დასაქმებულად ითვლებიან.

ოჯახების დიდ უმრავლესობას არა აქვს რეგულარული შემოსავალი, მათი უმრავლესობის თავის რჩენის საშუალება არის პენსიები, დახმარებები, საკუთარი ქონების გაყიდვა თუ გაქირავება. ისინი უღარიბეს ფენას მიეკუთვნებიან და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას ვერ გრძნობენ. ამ მდგომარეობის გამოსწორება მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია.

უმუშევრობამ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში იჩინა თავი. მისი ზრდის მიზეზები გარდამავალ პერიოდში შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს.

საქართველოში, ეთნოკონფლიქტებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევაზე. სოციალურ პრობლემებზე ზრუნვამ კი, გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან, დაახლოებით ათი წლის შემდეგ იჩინა თავი.

უმუშევრობის პრობლემათა კვლევის საფუძვლად უნდა იქცეს უმუშევართა აღრიცხვა, რადგანაც ამ ინფორმაციულ ბაზას უნდა დაემყაროს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში.

საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა უმუშევართა აღრიცხვის მეთოდიკის და მაჩვენებელთა სისტემის შემუშავების საქმეში, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდური მითითებების საქართველოსათვის მორგება არასწორად მიგვაჩნია. სტატისტიკური მონაცემები დასაქმებისა და უმუშევრობის რეალურ სურათს არ ასახავს. ჩვენთან დასაქმებულად ითვლება მომუშავეთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ საარსებო მინიმუმის დაახლოებით 20%-ს, რაც საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულია. დაზუსტებას მოითხოვს დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაანგარიშების მეთოდიკა-არსებული დასაქმებისა და შემოსავლების გათვალისწინების თვალსაზრისით

ჩვენს ქვეყანაში კანონმდებლობით დასაქმებულად ითვლება ერთი ჰექტარი ან მეტი მიწის ფართობის მესაკუთრე. ეს ფორმულირებაც დასაზუსტებელია. არ არის მითითებული ოჯახის რამდენ წევრზეა გაანგარიშებული. თუმცა, არც ეს იქნება ამ პრობლემის ახსნა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არა აქვს მასალები, ამ მიწებიდან, რამდენია დამუშავებული და, რაც მთავარია, როგორია საჰექტარო მოსავალი. არც ის არის ცნობილი, დამწყებ ფერმერს აქვს თუ არა მიწის დამუშავებისათვის საჭირო კაპიტალი. სოფლად ოჯახის ყველა წევრი დასაქმებულად მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს, თუ მათი საშუალო შემოსავალი მინიმალურ ხელფას უტოლდება. ასეთი მონაცემები არ არსებობს. კიდევ ერთიც, რადგანაც მინიმალური ხელფასი დიდად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ვფიქრობ, დასაქმებულად უნდა ითვლებოდეს ის, ვისაც საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს არ ღებულობს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში შრომის ბაზრის ტენდენციების ცვლა საჭიროებს დასაქმების კერძო სააგენტოების განვითარებასა და და მათი რეგულირების მექანიზმების შემუშავების

ხელშეწყობას. საერთაშორისო შრომის ბაზრის საზღვრების მოხსნასთან ერთად ამა თუ იმ ბაზარზე წარმოიშობა გარკვეულ სპეციალობაზე მოთხოვნა, რაც დროულად და ეფექტურად უნდა იქნას შესწავლილი და გამოკვლეული კერძო დასაქმების სააგენტოების მიერ. 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი შრომის კოდექსი, რომლის თანახმად გაუქმდა „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონი: ყოველივე ზემოთ აღნიშნული ქმნის საფუძვლებს, რომ დასაქმების კერძო სააგენტოები შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრებზე. მნიშვნელოვანია მათი როლი შრომითი მიგრაციის საკითხებში. დღეისათვის არსებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს შრომით მიგრანტთა რაოდენობა მერყეობს 800000-დან 1 მლნ-მდე (სხვადასხვა არაოფიციალური კვლევების საფუძველზე). შრომითი მიგრანტები საზღვარგარეთ გასვლას ახდენენ სხვადასხვა ვიზების მეშვეობით და შემდგომ თავიანთი ძალებით და სხვა კერძო პირების შუამდგომლობით პოულობენ გარკვეული სახის სამუშაოს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზღვარგარეთ სამუშაოს შოვნის ლეგალური საშუამავლო საქმიანობა შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ამგვარად კერძო პირების საშუამავლო საქმიანობა შეიძლება ჩანაცვლებული იქნას დასაქმების კერძო სააგენტოების მიერ, რომელთაც საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ეფექტურად შეუძლიათ მაღალხარისხოვანი სერვისის გაწევა. დსაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობის უპირატესობაა ის, რომ მისი მეშვეობით დასაქმებული მუშახელი დაცულია როგორც ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის გამოყენებისაგან, ასევე შრომითი უფლებების დარღვევისაგან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიგრაციის საერთასორისო ორგანიზაციასთან

მომზადდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონპროექტი. აღნიშნულ კანონპროექტში მოცემულია დასაქმების კერძო სააგენტოების რეგულაცია, როგორც შრომითი მიგრანტების ქვეყნიდან გაყვანაზე, ასევე მათ შემოყვანაზე. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს ნებართვის გაცემას შრომითი რესურსების შემოყვანასა და გაყვანაზე, აგრეთვე სახელმწიფო გარანტიებს შრომითი მიგრანტების მიმართ. მაგრამ სამინისტროებში მიმდინარე რეორგანიზაციებმა და ფუნქციების გადანაწილებამ გამოიწვია აღნიშნული კანონპროექტის განხილვის გადადება. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს გაეროს „ყველა შრომითი მიგრანტის და მისი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის“ და „შრომითი მიგრანტების შეახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №97 კონვენციის რატიფიცირების მიზანშეწონილობის საკითხების განხილვა.

შრომითი რესურსების აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს დასაქმების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის როლი და შინაარსი.

დასაქმების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაასი საერთოდ მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიძღვნილ ნაშრომებში მეცნიერები განიხილავენ ისეთ ცნებებს როგორიცაა: „დასქმება“, „სრული დასაქმება“, „რაციონალური დასაქმება“, „ეფექტიანი დასაქმება“, უმუშევრობის ბუნებრივი დონე“ და ა. შ.

განმარტებებში ხშირად დასაქმება გაიგივებულია შრომასთან. ზოგიერთი მეცნიერი დასაქმებას განსაზღვრავს, როგორც შრომის გამოყენების პროცესს, რომელიც ეფუძვნება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. დასაქმება ესაა მოქალაქის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და როგორც წესი მოაქვს

შემოსავალი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია „სრული დასაქმების“ ცნების განსაზღვრა. თანამედროვე ლიტერატურაში სრული დასაქმება განისაზღვრება უმუშევრობის „ბუნებრივ“ დონესთან მიმართებაში. მაგალითად, კ. მაკკონელი და ს. ბრიუ „სრულ დასაქმებას“ მიიჩნევენ ისეთ დასაქმებად, როცა უმუშევრობის დონე ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობათა ჯამის ტოლია, ხოლო მათ ჯამს უწოდებენ „უმუშევრობის ბუნებრივ დონეს“. თანამედროვე გაგებით, სრული დასაქმება ესაა პრაქტიკულად მაქსიმალურად შესაძლებელი დასაქმება, რომელიც მიიღწევა მაშინ, როცა სამუშაო ადგილზე მოსახლეობის მოთხოვნა შეთავაზებული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი სამუშაო ადგილების ტოლია. ახალგაზრდობის დაუსაქმელობა, იმის გარდა, რომ ეროვნულ წარმოებას ამცირებს, მათ სულიერ ჩამოყალიბებაზეც უარყოფითად მოქმედებს. ეს რომ ასე არ მოხდეს, სახელმწიფომ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს მათი საკვალიფიკაციო მომზადებისა და შრომითი მოწყობისათვის, პროფორიენტაცია იმ დონეზე უნდა იყოს, რომ ახალგაზრდებს გაუადვილდეთ სწავლა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 მაისის (№332) ბრძანებულება „სახელმწიფოებრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, ითვალისწინებს ახალგაზრდობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავების პრინციპებს-კონკრეტულად-ახალგაზრდული პრობლემატიკის მეცნიერული კვლევისა და ახალგაზრდობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრის დაარსებას, შრომით სფეროში გარანტირების უზრუნველყოფას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა საქმე ჯერჯერობით წინ არ მიდის.

დღესდღეობით, საქართველოში არსებობს დასაქმების

სახელმწიფო სამსახური, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

-შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

-შრომის ბაზრის კვლევის ორგანიზება;

-მოქალაქეთა შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება;

-უმუშევართა შემწეობის დანიშვნა;

-მოქალაქეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ხელშეწყობა, ამ მიზნით წარმოებული ტენდერების ორგანიზებაში მონაწილეობა;

-სამუშაოს მაძიებელთა და დასაქმებელთა ინფორმირება შრომის ბაზრის მდგომარეობის, დასაქმების, უმუშევართა და დასაქმებულთა სოციალური გარანტიების საკითხზე და ა. შ.

შრომითი რესურსების დასაქმების აღრიცხვის სრულყოფის საკითხი ქვეყანაში, ერთი შეხედვით, ასე თუ ისე მოგვარებულია, მაგრამ თუ ამ საკითხს ეროვნული მეურნეობის სფეროების მიხედვით შევხედავთ, აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ეს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას შეეხება. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გაუქმდა ადრე არსებული მეურნეობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებები და სხვა ფორმები. მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა საოჯახო (ფერმერული) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, აგროფირმები და სხვა. თუ ადრე არსებულ ფორმებში შრომითი რესურსების დასაქმების აღრიცხვის საკითხი მოგვარებული იყო, რაშიც მნიშვნელოვან როლს სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი (რაიონული) და მმართველობის სხვა ორგანოები

ასრულებდნენ, რეფორმების შემდეგ ნაკლები მონაცემები მიპოვება.

ცხ. 1.3.1

დასაქმება ეროვნულ ეკონომიკაში (ათასი კაცი)

წელი	დასაქმებული სულ	მათგან სოფლის მეურნეობაში	
		რიცხოვნობა	წილი მთლიან დასაქმებაში, (%)
1990	2767	695	25,1
1995	1730	530	30,6
1998	1731	837	48,4
1999	1733	903	52,1
2000	1839	957	52
2001	1878	990	52,7
2002	1839	988	53,7
2003	1814	996	54,9
2004	1783	962	54
2005	1745	943	54,3
2006	1747	966	55,3
2007	1704	910	53,4
2008	1601,9	842,6	52,6

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“მონაცემების მიხედვით.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით 2000-2008 წლებში ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობაზე მოდის (იხ.ცხ.1.3.1). 2000 წელს სოფლად იყო დასაქმებული, დასაქმებულთა 52%, ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და 2008 წელს 52.6% შეადგინა. აღნიშნული მონაცემები მიგვითითებს სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენების ზრდისკენ, რაც

ქვეყანაში დასაქმების პრობლემის მოგვარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

დასაქმების სფეროს რეგულირების სახელმწიფო ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სოციალური დაცვის ღონისძიებათა რეალიზაციას ახორციელებს.

მართალია, დღეისათვის არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, მაგრამ მისი მონაცემები მოიცავს დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და უმუშევართა მთლიან რაოდენობას. ცალკეული დარგების მიხედვით იგი არაა წარმოდგენილი, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების დასაქმების და აღრიცხვის მდგომარეობაზე.

არასწორად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს სოფლის მოსახლეობა, რომელსაც გააჩნია საკარმიდამო მეურნეობა დასაქმებულად ითვლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახურ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს მხოლოდ 14.4 % უკავია, ასეთი დასაქმება მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს ოჯახის საარსებო მოთხოვნებს. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა შრომითი რესურსების დასაქმების უმუშევრობის რეალური სურათი ასახონ, რაც ბოლოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მოიყრის თავს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს დახვეწილი დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც განვითარებულ სახელმწიფოებში არსებულ

ანალოგიური სასახურების მსგავსად ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების დასაქმებას და მათ შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის თავმოყრას.

II თავი-სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და შრომითი რესურსების გამოყენების პირობები და საშუალებები

2.1 სოფლის მეურნეობის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ბუნებრივი პირობები განსაკუთრებულ როლს თამაშობს. მისი ძირითადი კომპონენტებია: რელიეფი, მიწისზედა წყლები, კლიმატი, ნიადაგები, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

ეკონომიკურ პირობებში იგულისხმება მატერიალური წარმოების საფუძველზე ადამიანის არსებობისათვის შექმნილი ბუნებრივი, გეოგრაფიული საფუძვლები. მისი ძირითადი კომპონენტებია: ნადაგები, მინდვრები, ბაღები, პლანტაციები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, ხელოვნური წყალსაცავები, არხები, სამრეწველო საწარმოები და სხვ.

ყოველი ქვეყნის, რეგიონის, საზოგადოებრივი მოვლენის არსი სწორედ არ იქნება ახსნილი, ჯეროვნად თუ არ არის შეფასებული მათზე ბუნებრივი და საწარმოო პირობების ზემოქმედება. საერთოდ, ეკონომიკური პროცესების შესწავლისას, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ბუნებრივ პირობებს. მხოლოდ კომპლექსურ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გაეცეს პასუხი ეკონომიკური განვითარების შეფასებასთან დაკავშირებულ უამრავ კითხვას.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა არ შემცირებულა და არც მომავალში შემცირდება.

აქედან გამომდინარე კახეთის ბუნებრივ-საწარმოო პირობების დახასიათებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია-კახეთი აერთიანებს რვა ადმინისტრაციულ რაიონს. ეს რაიონებია: საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გუჯარეთის, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტეს მიერ დამუშავებული საქართველოს ეკონომიკური და რაიონების ბადის მიხედვით კახეთი გამოყოფილია ცალკე ერთეულად-აღმოსავლეთი ეკონომიკური რაიონის სახელწოდებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული უკანასკნელი სქემის მიხედვით (ავტორთა კოლექტივი: აკადემიკოსების ო. ქეშელაშვილისა და ვ. ბურკაძის ხელმძღვანელობით) კახეთი წარმოდგენილია: I-შიდა კახეთის მევენახეობის და II-გარე კახეთის მემარცვლეობა-მეცხოველეობის და მევენახეობის ზონებით.

ჩვენს მიერ შესრულებული ნაშრომი შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემები დამუშავებულია აღნიშნული ზონების ჭრილში. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ საკვლევი რეგიონის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების დახასიათებაზე, საჭიროდ ჩავთვალეთ, უფრო ღრმად გაგვეანალიზებინა გეოგრაფიული გარემოს როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების დონეზე. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური პრობლემების კვლევის დროს.

კახეთი ქვეყნის ერთ-ერთი მეურნეობრივად დაწინაურებული მხარეა. ამიტომ იგი შესწავლის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.კახეთის შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემების გამოკვლევა და ანალიზი არ იქნებოდა სრულყოფილი თუ არ გავიხსენებდით კუთხის ისტორიას.

ძველი დროიდან მოკიდებული იბერია ანუ ქართლ-კახეთი თავისი ნაყოფიერი ნიადაგით და შესანიშნავი ბუნებით იყო განთქმული. ბერძენი მოგზაური და მწერალი სტრაბონი ალბანეთთან ერთად იბერიასაც კურთხეულ ქვეყნად სთვლიდა, რომელიც ბუნებითა და ყოველგვარი დოვლათით იყო დაჯილდოებული. მისი აღწერით უდიდესი არის მტკვარი, რომელიც დიდი ძალით მიმდინარეობს საძოვრით მდიდარ ველზე. ღებულობს სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზონიოსი. . .რომლის დაბლობზე ცხოვრობენ უფრო მეტად მიწათმოქმედნი. . . „მდინარეებს მოაქვთ მიწისთვის სიკეთე. . . მთელი დაბლობი ირწყვის მდინარეებითა და მუდამ ბალახს ხედავს თვალი. . . ამის გამო იქ კარგი საძოვრები არის. ვაზს ნაყოფი მოაქვს მორე წელსვე. . . (ზრდა)-დასრულებულნი იმდენ ნაყოფს იძლევიან, რომ მეტი წილი რჩება ზედ ვაზზე. საქონელი მათ დიდი ტანისა ჰყავთ. . . ადამიანები სილამაზითა და ახოვნებით გამოირჩევიან“

კახეთის განვითარებულ მიწათმოქმედებაზე, მევენახეობა-მებაღეობისა და მემინდვრეობის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა აგრეთვე XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვლის ცნობილი შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტი კახეთს ასე აგვიწერს: „ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველთა და თევზით. . . უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა და ზეთის ხილის ნაყოფიერებენ ყოველნი“. მისივე ცნობით კახეთი მდიდარი ყოფილა აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, ხურმითა და წაბლით.

კახეთის ტერიტორია რთული ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. რეგიონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საქართველოს მთათაშორის

დადაბლებულ ზონაშია მოქცეული და ტერიტორიის ნახევარზე მეტი ზღვის დონიდან 1000 მ-მდე მდებარეობს. რაიონის ფარგლებში შემოდის კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილი და ცივ-გომბორის ქედი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზღვარს შიდა და გარე კახეთს შორის.

კახეთის მთელი მოსახლეობა და სამეურნეო ცხოვრება მის დაბლობ ნაწილშია მოქცეული, მთიანი ტერიტორიები კი ძირითადად დაუსახლებელია. მთების მეურნეობრივი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ აქ თავს იყრის საზაფხულო საძოვრები, რომლებიც მეცხოველეობისათვის გამოიყენება. ამასთან დაკავშირებით, კახეთის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების განხილვისას, შედარებით უფრო მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს მთათაშორისი დადაბლებული ზონა, ანუ ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საკვლევი რეგიონის ძირითად სამეურნეო კერას, მისი მეურნეობრივი ცხოვრების მთავარ არეალს, სადაც ცხოვრობს რეგიონის მთელი მოსახლეობა თითქმის 100%. ეს მთათაშორისი დადაბლებული ზონა მოიცავს ალზნის ვაკის და ივრის, ანუ გარე კახეთის ზეგანს, ალზნის ვაკე წარმოადგენს შიდა კახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციას, ივრის ზეგანი კი გარე კახეთად არის ცნობილი.

რეგიონი მიეკუთვნება იმ რეგიონების რიცხვს, რომელთა გეოგრაფიული მდებარეობა, შეიძლება ითქვას, ძალიან არ უწყობს ხელს ამ მხარის ინდუსტრიალ განვითარებას, მაგრამ სამაგიეროდ ბუნებრივი პირობების მიხედვით ფრიად ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ბუნებრივი გარემოს კომპონენტებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ მხარის ეკონომიკურ განვითარებას, აღსანიშნავია რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი (ნაწილობრივ) და მცენარეული საფარი.

ნიადაგები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მათ შორის

დამუშავებული მიწების მაღალ ხვედრით წონასთან ერთად, საკვლევი მხარისათვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ მასში სასოფლო-სამეურნეო და დამუშავებული მიწები არაა დაქუცმაცებული პატარ-პატარა ნაწილებად, ისე როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (მაგ. სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარის ა. რ-ში, საქართველოს მთიან რაიონებში), სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქ დიდი ფართობების სახით არის წარმოდგენილი, კახეთის რელიეფი ხელს უწყობს მოვაკებული ზედაპირის მქონე კომპაქტურად განლაგებული დიდი მასივების არსებობას. ეს გარემოება მეტად დიდმნიშვნელოვანი მომენტია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ის ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის ფართო მასშტაბით განხორციელებას და საერთოდ დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაშლას.

კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ნაყოფიერი ნიადაგები. პირველ რიგში აღვნიშნოთ ნეშომპალა-კარბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგების არსებობა, რომლებიც შედგენილობისა და თვისებების მხრივ ნაყოფიერების შედარებით მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. ეს ნიადაგები საუკეთესოა ვაზისა და ხილისათვის, წარმატებით გამოიყენება იგი აგრეთვე მარცვლეულის და ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოსაყვანად. განსაკუთრებით დიდი პერსპექტივები ისახება აღნიშნულ ნიადაგებზე ვენახის ახალი ფართობების გასაშენებლად. ყურძნის დიდი მოსავალი და მაღალი ხარისხით გამოირჩევა კახეთის ის რაიონები, სადაც ვენახები გაშენებულია აღნიშნული სახის ნიადაგებზე.

ტყის ყავისფერი ნიადაგები საკვლევ რეგიონში განვითარებულია ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ და ჩრდილი-აღმოსავლეთ ფერდობების

დაბალმთიან ზონაში და მთისწინებში, იმ ფერდობებზე დელუვიურ შლეიფებზე, რომლებიც ჩრდილოეთით ეშვება ალაზნის ვაკისაკენ, ხოლო სამხრეთით გარე კახეთის ზეგანზე. ამ ნიადაგების გავრცელების ზონა ვრცელდება 800-1000 მ-ის სიმაღლეზე. განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლების: კარდენახის, ხოდაშენის, ვარდისუბნის, მუკუზნის, პატარძეულის, მანავის, კაჭრეთის მიდამოები.

მევენახეობის განვითარებისათვის ყველაზე საუკეთესოა ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ძირითადი თვისებებით უახლოვდება ტყის ყავისფერ ნიადაგებს. მათ საკვლევ რეგიონში ლოკალური გავრცელება აქვს და უკავია ცივ- გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი მთისწინები და დაბალმთიანი ზოლის საკმაოდ ფართო ნაწილი, კერძოდ, ახმეტა-გურჯაანის მონაკვეთი (ახაშენი, მუკუზანი, წინანდალი, იყალთო).

კახეთში მევენახეობისათვის წარმატებით გამოიყენება, აგრეთვე, ტყე-მდელოს ალუვიური უკარბონატო ნიადაგები, რომლებიც განვითარებულია მდ. ლაზნის ორივე მხარეზე, მის შემაღლებულ ნაწილებში.

კახეთის ერთ-ერთ ბუნებრივ სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს შავმიწა ნიადაგები, კერძოდ, გარე კახეთის ველიანი ზეგანის შავმიწები.[1] ეს ნიადაგები განვითარებულია ძირითადად ლიოსისებრ თიხებსა და თიხნარებზე და გამოირჩევა ჰუმუსოვანი ფენის დიდი სისქით. ამ სახის ნიადაგები აქ მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება და საუკეთესოა მარცვლეული კულტურებისათვის, განსაკუთრებით საშემოდგომო ხორბლისათვის. თავისი ნაყოფიერებით გამოირჩევა შირაქის ველი და უდაბნოს ტაფობი.

ატმოსფერული ნალექები. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და ამ პერიოდში ჰაერის დადებითი ტემპერატურების ჯამი საუკეთესო პირობებს ქმნიან საკვლევ ზონაში სოფლის

მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისათვის, კერძოთ, მევენახეობისათვის, მარცვლეულისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოსაყვანად. როგორც მ. კორძახია აღნიშნავს, ყურძნის კარგი მოსავლისათვის აუცილებელია უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა 19^0-ზე მაღალი იყოს (ამ მხრივ კახეთი უზრუნველყოფილია 1100 მ-მდე ზღვის დონიდან), მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისათვის აქ სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია კლიმატის მეორე ელემენტი-ნალექების რაოდენობა. ნალექების დეფიციტი და დაბალი შეფარდებითი სინოტივე დამახასიათებელია კოლხეთისათვის, განსაკუთრებით გარე კახეთის ტერიტორიისათვის, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 300-დან 500 მმ-მდე. ნალექების განსაკუთრებული სიმცირით გამოირჩევა გარე კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი-ელდარის ველი. აქ და ივრის ზეგანის ბევრ სხვა ადგილებში ნალექების უკმარისობა დღემდე არის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი.

ატმოსფერული ნალექების დეფიციტთან ერთად, კლიმატის უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს სეტყვიანობა. სეტყვიანობას ადგილი აქვს კახეთის ორივე ნაწილში ერთნაირად. დასეთყვის მხრივ, კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან გამოირჩევა არა იმდენად სეტყვის მეტი სიხშირით, რამდენადაც სეტყვის მარცვლის სიდიდით და დასეტყვის დიდი ინტენსიურობით. სეტყვა წელიწადში, საშუალოდ, ორჯერ მოდის. ძლიერი სეტყვა დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგს, განსაკუთრებით კი-მევენახეობას.

მცენარეული საფარი. მცენარეული რესურსებიდან საკვლევი რეგიონი მდიდარია სათიბ-საძოვრებით და ტყეებით. 2004 წლის მონაცემებით სათიბ-საძოვრების ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შეადგენს 38.1%-ს. სათიბ-საძოვრებზე მოდის 96749 ჰა,

რაც საკვლევი რეგიონის მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის ფონდის 37.0%-ს შეადგენს. საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, კახეთი გამოირჩევა საზამთრო საძოვრების დიდი ფართობით. ამ ფაქტის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო მეტად ღარიბია ზამთრის საძოვრებით.

კახეთი მდიდარია ტყეებით. ტყეებითა და ბუჩქნარებითაა დაფარული კახეთის ტერიტორიის დაახლოებით 1/3 და მათი საერთო ფართობი დაახლოებით 320 ათას ჰა-ს უდრის. ტყეებში ხარობს: წიფელი, რცხილა, ფიჭვი, ტირიფი, მუხა, ქაცვი და სხვ. კახეთის ტყეები არასამრეწველო დანიშნულებისაა. მათ აქვთ ნიადაგდამცავი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა

წიაღისეული. კახეთი წიაღისეულით მდიდარ რეგიონად არ ითვლება. განსაკუთრებით ღარიბია იგი ინდუსტრიული მნიშვნელობის მძლავრი მინერალური რესურსებით. კახეთში უმთავრესად წარმოდგენილია არამადნეული წიაღისეული.

წყლის რესურსები. კახეთის წყლის რესურსების სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა გამოიხატება უმთავრესად მათი ირიგაციული მიზნით გამოყენებაში, წყლის რესურსებს ნაწილობრივ ჰიდროენერგეტიკული მნიშვნელობაც აქვთ (ალაზანჰესი). ჰიდროენერგეტიკული რესურსების უდიდესი ნაწილი მდინარე ალაზანზე მოდის, ასევე გარკვეული მარაგი გააჩნიათ თუშეთის მდინარეებსა და პირიქითა ალაზანს.

შიგა კახეთი ჰიდროგრაფიული ქსელით არ არის ღარიბი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარე ალაზნის მარცხენა მხარე, რომელიც დასერილია კავკასიონის სამხრეთი ფერდობებიდან ჩამომავალი მრავალრიცხოვანი მდინარეებით. მდინარე ალაზანი რეგიონის მთავარი არტერიაა, რომელიც ხასიათდება მდორე დინებით

და ნამდინარეებით. მდინარე ალაზანი კახეთის ტერიტორიის წყლით მასაზრდოებელია, მისგან გაყვანილია რამდენიმე სარწყავი სისტემა.

გარე კახეთი გამოირჩევა სიმშრალით. ნალექების წლიური ჯამი აქ მინიმალურია და 350-400 მ.მ.-ს არ აღემატება, მაშინ როდესაც აორთქლება 1000 მმ-ია. ასეთ პირობებში ხელოვნური მორწყვა სავსებით აუცილებელი ხდება.

კახეთის რეგიონის ეკონომიკას განსაზღვრავს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები და საწარმოო ძალების განვითარების საერთო დონე. რეგიონის კარგი მდებარეობა და ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფას სოფლის მეურნეობაში, რადგან აქ მნიშვნელოვანი ფართობები უკავია დამუშავებისათვის ვარგის მიწებს და საზაფხულო საძოვრებს. ამასთან დაკავშირებით რეგიონის უმეტესი ნაწილი საკმაოდ კარგადაა დასახლებული და ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონეც შედარებით მაღალია. 2008 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 401.900 ათას კაცს. აქტიური მოსახლეობა 205.3 ათასი კაცი იყო. 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობიდან დასაქმებულია 186.2 ათასი კაცი, უმუშევარია 19.1 ათასი კაცი. მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობა 141.5 ათასი კაცი (თითქმის 80%) თვითდასაქმებულია, ამას, ბუნებრივია, იწვევს ერთის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სფეროში თვითდასაქმება, მეორეს მხრივ, თვითდასაქმების შედარებით მაღალი მაჩვენებელი სამეწარმეო სექტორის ისეთ მსხვილ დარგებში, როგორიცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი და სხვა მომსახურებები (იხ. დანართი 2). მოსახლეობის უმრავლესობისათვის ეკონომიკის დანარჩენი სექტორებიდან მიღებული შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ ვერ აკმაყოფილებს ოჯახისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს ანდა ეკონომიკის სხვა სექტორში არ არის სამუშაო ადგილების საკმარისი რაოდენობა.

კახეთის რეგიონის შინამეურნეობების კეთილდღეობის განმსაზღვრელია სასოფლო- სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია. შემოსავლის გაზრდის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მათი როლი და მნიშვნელობა, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია და ამ პირობების მაღალი, ბიოლოგიური და ეკონომიკური უკუგებით გამოყენების უნარი, საბაზრო ეკონომიკისა და არსებული და მომავალში გამოსაყოფი საბაზრო სეგმენტების, ამა თუ იმ პროდუქციით გაჯერების მოთხოვნები, მათი საექსპორტოუნარიანობა, ეკონომიკური ბერკეტებისადმი მორგებულობის შესაძლებლობა და სხვ.

2.2 სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა შრომითი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია

საქართველოს ეონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა ორგანულად არის დაკავშირებული აგროსამრეწველო სექტორთან, რამდენადაც შექმნილ სიტუაციაში იგი ძირითადია სახალხო მეურნეობის ყველა სხვა სფეროში დასახული პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. საქართველო აგრარული ქვეყანაა, სადაც ეროვნული შემოსავლის მეოთხედზე მეტს აგროსამრეწველო კომპლექსი იძლევა, მასში დასაქმებულია ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს შრომისუნარიანი მოსახეობის 52.7% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, ხოლო 2008 წელს ეს მონაცემი 53.5%-მდე (ანუ 0.8%-ით)

გაიზარდა. სოფლის მეურნეობაში დასაქმების ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია თვითდასაქმებით. ხოლო როგორც ცნობილია, სოფლად მაღალი თვითდასაქმება მძიმე ეკონომიკურ პირობებთან ერთად დამახასიათებელია დაბალი განვითარების ქვეყნებისათვის. ამის შედეგია ის მდგომარეობაც, რომ ქალაქად ფიქსირდება უმუშევრობის ბევრად მაღალი დონე, ვიდრე სოფლად, თუმცაღა რეალურად ქალაქში დასაქმების პოტენციალი სოფელთან შედარებით, გაცილებით მაღალია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმუშევრობის დაბალი მაჩვენებლის არსებობა სოფლად იმაზე კი არ მიუთითებს, რომ იქ მდგომარეობა კარგადაა, არამედ იმაზე, რომ იქ დასაქმება არასრული და არაეფექტურია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე და მოსახლეობის კეთილდღეობა. სასურსათო კომპლექსის ძირითადი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით სასურსათო ბაზრის გაჯერება, კომპლექსის ყველა დარგის პროპორციული და ურთიერთდაკავშირებული განვითარება.

მოსახლეობის კვების პროდუქტებით დაკმაყოფილებაში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მთელი სასურსათო კომპლექსის წარმატება. ამის დასტურად მოგვყავს ცხრილი 2.2.1.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურების დარგებს (ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა) მაღალი ხვედრითი წილი უკავია, 2003 წელს ეს მაჩვენებელი 2001 წელთან შედარებით 0.4%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წელს შემცირდა და 23.9% შეადგინა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომსახურების დარგების ზრდა კანონზომიერი ტენდენციაა და შემდგომში უფრო უნდა გაიზარდოს.

ცხრილი 2.2.1

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (პროცენტობით)

ეკონომიკის დარგები	წლები				
	2001	2003	2005	2007	2008
სოფლის მეურნეობა	21,0	19,3	14,8	9,2	8,9
მრეწველობა	16,6	17,7	15,7	14,2	13,5
მშენებლობა	3,9	6,4	8,1	6,7	5,3
ვაჭრობა	13,1	13,3	12,0	12,8	13,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	13,7	13,9	12,4	10,4	10,0
დანარჩენი დარგები	31,7	29,4	37,0	46,7	48,4

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებთან შედარებით მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი არ არის მაღალი და თუ 2001 წელს 21.0% იყო, შემდეგ წლებში მერყეობს და თანდათან მცირდება. 2008 წელს მხოლოდ 8.9% შეადგინა. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ წლებში მრეწველობის საწარმოები და მშენებლობა უსახსრობისა და ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერების ზღვრამდე მივიდნენ. ერთადერთი დარგი, რომელიც პროდუქციას აწარმოებდა, ეს იყო სოფლის მეურნეობა, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა შიმშილისაგან იხსნა. მუხედავად ასეთი წვლილისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე მაინც დაბალია.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე რამდენჯერმე შემცირდა ხორბლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის წარმოება, ასევე 2001-2008 წლებში 1.9-ჯერ შემცირდა ხორცის წარმოება. (ცხრილი 2.2.2)

ცხრილი.2.2.2

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ)

	წლები				
	2001	2003	2005	2007	2008
ხორბალი	70	52	44	17	18
სიმინდი	66	106	98	68	75
კარტოფილი	96	98	101	52	44
ბოსტნეული	91	99	102	43	38
ხილი	46	60	62	52	36
ყურძენი	34	46	58	52	40
ხორცი	23	25	24	16	12
რძე	162	176	176	143	158
კვერცხი, ცალი	91	105	118	100	100

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

აღსანიშნავი და სამწუხაროა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ამ დარგებში. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიჩეხა ხეხილის ბაღები, ციტრუსები, ჩაი და ა. შ. ეს პროდუქცია უცხო ქვეყნების ბაზრებზე მცირე რაოდენობით გადის, საქართველოს ბაზრებზე კი დაბალ ფასებში და ნელი ტემპით იყიდება, რაც მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარით არის გამოწვეული. სამაგიეროთ, შესამჩნევად გაიზარდა მარცვლეულის, მათ შორის სიმინდის წარმოება

საქართველოში ჩატარებული მიწის პრივატიზაციის, აგრეთვე კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების რეორგანიზაციისა და გაძარცვის შემდეგ შეიქმნა მცირე ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ყოველგვარი ახალი ტექნიკის და

ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე მუშაობენ. აქ ძირითადი საწარმოო პროცესები ხელით სრულდება, ამის გამო სოფლის მეურნეობაში დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა და წარმოების მოცულობა. ეს კი თავის მხრივ იწვევს მოსახლეობის დასაქმების შემცირებას.

მიწის პრივატიზების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის გამოცდილება, სადაც წარმატებით ფუნქციონირებენ მიწის მესაკუთრეთა კოოპერატივები და მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობები. ჩეხეთ- სლოვაკეთში და რუსეთის ზოგიერთ რესპუბლიკაში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა აგროსამრეწველო კომპლექსის კაპიტალდაბანდებების პირობებში შეინარჩუნეს, რამაც გაამართლა. ვფიქრობთ, რომ ასეთი რეფორმის გატარებით შეიძლებოდა საქართველოშიც წარმატების მიღწევა, რადგანაც ამ პირობებში შენარჩუნებული იქნებოდა სამელიორაციო სისტემები, მეცხოველეობის მსხვილი სამრეწველო კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები და სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტები. ეს კი ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მიღწეული დონეების შენარჩუნება-გაუმჯობესებით სურსათის წარმოების მოცულობის ზრდას.

სახელმწიფო რეგულირების სისტემა შორეული პერსპექტივისათვის იქნა გადატანილი და როგორც დასავლეთის გამოცდილება და ეკონომიკური ექსპერტების დასკვნები გვიჩვენებს მოვსპეთ ცენტრალური ხელმძღვანელობისა და რეგულირების აწყობილი სისტემა და საუკეთესო მექანიზმი. მისი ჩანაცვლება კი ვერაფრით შევძელით, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფა, უმუშევრობა, სიღატაკე, სოფლის ინფრასტრუქტურის მოშლა, მოსახლეობის მიგრაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაპარტახება, წარმოების დაქვეითება და სურსათით დაუკმაყოფილებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღეს აქტიურად დგას დღის წესრიგში სოფლის სოციალური და ეკონომიკური განვითარების გადაჭრა, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს სისტემურ მიდგომასა და მხარდაჭერას, რადგან უკვე აღარ შეიძლება სასწრაფო ზომების მიღების გადადება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, მისი სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის აღორძინებისა და წარმოების სწრაფი ტემპით გაფართოების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით ძირითადია სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირება და მისი მექანიზმის სრულყოფა, რომლის ძირითადი მიზანია აგრარულ სფეროში უცხოური და სამამულო კაპიტალის მოზიდვა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს კი გულისხმობს დიდი რაოდენობის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის საკვებით მომარაგებას, გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულით მომარაგებას და სოფლის სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. ეს ორივე პრობლემა განუყრელია, რამდენადაც ეფექტური წარმოება ქმნის სასურსათო ბაზრის ფუნქციონირებას, საზოგადოების სტაბილური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს. მეორეს მხრივ მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას თან სდევს სოფლის იერსახის შეცვლა, გალამაზება, საცხოვრებლად მიმზიდველობა, რაც სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებისა და შრომითი პოტენციალის გამტკიცების საწინდარია.

მიწის პრივატიზაციამ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა მეწარმე სუბიექტი და

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურა. დღეს საქართველოში პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი ოჯახური მეურნეობებია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომხდარ ცვლილებებზე (2001-2008წწ) ამომწურავ სურათს იძლევა წარმოდგენილი ცხრილები (იხ. დანართები: 3, 4, 5.), მონაცემები, რომლებიც ეხებიან სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების მოსავლიანობისა და მოსავლის დონეებში, აგრეთვე პირუტყვის სულადობაში, პროდუქტიულობისა და წარმოებული პროდუქციის მოცულობაში მომხდარ ცვლილებებს, აგრეთვე კერძო ოჯახური მეურნეობების ხვედრით წონას მათ მთელ მოცულობებში. ხორბლის კულტურის ფართობი შვიდი წლის (2001-2008წ.წ) განმავლობაში შემცირდა 58.1%-ით საქართველოში, 50.2%-ით კახეთში. ქერის ფართობი შესაბამისად საქართველოში 33.4%-ით, კახეთში კი 4.6%-ით გაიზარდა. სიმინდის ფართობი საქართველოში 33.8%-ით შემცირდა, კახეთში 39.6%-ით, მიუხედავად ამისა, საჰექტარო მოსავლიანობის შემცირების გამო, ხორბლის წლიური მოსავალი 2008 წელს, 2001 წელთან შედარებით 41.9%-ს შეადგენს საქართველოში, ხოლო კახეთში 49.8%-ს. შესაბამისად ქერის მოსავალი საქართველოში შეადგენს 49.8%-ს, კახეთში 48.8%-ს, სიმინდისა საქართველოში 113.7%-ს, კახეთში 40.3%-ს, ხოლო მზესუმზირისა-საქართველოში 36.1%-ს, კახეთში 35.5%-ს; ბოსტნეულისა საქართველოში 41.7%-ს,კახეთში 80.5%-ს, ბაღჩეულისა საქართველოში 62.9%-ს, კახეთში კი 51.9%-ს. კახეთის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა. სახნავ-სათესი ფართობების მხოლოდ 41 პროცენტია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი. ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც სახნავ-სათესი მიწის ფართობის მხოლოდ ორი პროცენტია

უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით. ამ მხრივ სხვა რაიონებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება ლაგოდეხის რაიონში. ხოლო, როგორც ცნობილია მემცენარეობაში საჰექტარო მოსავლიანობის და საერთო მოსავლის ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებაზე, მაგრამ მათი სიძვირის გამო ხელმიუწვდომელია მოსახლეობისათვის.

გაცილებით სავალალო მდგომარეობა გვაქვს მეხილეობაში. ხეხილის ფართობები საანგარიშო პერიოდში ბევრად არის შემცირებული და შესაბამისად მოსავლიანობაც დაბალია. ასე, მაგალითად, ხილის მოსავალი კახეთის რეგიონში საანგარიშო პერიოდში შემცირებულია 4%-ით, ყურძნისა კი გაზრდილია 33.3%-ით. ძირითადად ხილიც და ყურძენიც იწარმოება ოჯახურ მეურნეობებში.

მევენახეობა კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. კახეთში ვენახების ფართობები 1990 წელს შეადგენდა 66384 ჰა-ს. ამ რეგიონის წილად საზოგადოებრივ სექტორში მოდიოდა საქართველოს მთელი ვენახების ფართობების 72.46%. აგრარული რეფორმის შედეგად, მევენახეობის ტრადიციული სისტემის მოშლას მოჰყვა მთლიანად ვენახების ფართობების შემცირება და 2004 წელს იგი მხოლოდ 22227 ჰა-ს შეადგენდა. კახეთში ვენახების ფართობის სიდიდით გამოირჩევა გურჯაანის მუნიციპალიტეტი, რომლის ვენახების ფართობი 7618 ჰა-ს შეადგენს, მეორე ადგილზეა ყვარლის მუნიციპალიტეტი – 6382 ჰა, ხოლო მესამე ადგილი უკავია თელავის მუნიციპალიტეტს – 6048 ჰა. ყველაზე მცირე ფართობები აქვთ დედოფლისწყაროს – 1499 ჰა და ახმეტას – 1747 ჰა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით 2007 წლის სეზონზე კახეთში 200 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დაიკრიფა, აქედან ღვინის ქარხნებმა გადაამუშავეს 52 ათას ტონამდე ყურძენი, 110 ათასი ტონა სარეალიზაციოდ თბილისსა და ქვეყნის

სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილდა, 50 ათასი ტონა ყურძენი კი საოჯახო მეურნეობებში დაბინავდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ფართობების შემცირება მაინცდამაინც არაა საგანგაშო, მაგრამ ნარგავები მოუვლელია. რიგთაშორისების დამუშავება და მათში სასუქების შეტანა და სხვა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები აღარ სრულდება. ერთი სიტყვით, ეს დარგები თითქოს მიტოვებულია, რადგან აღარ არის ხილის და ყურძნის წარმოების გადიდების მოტივაცია, დაკარგულია სასურსათო ბაზრის ოპტიმალური დაბალანსება, რაც გულისხმობს მოთხოვნა-მიწოდების ობიექტური კანონის მოქმედების პირობებში ამ პროცესის დარეგულირებას. ამ მიმართულებით ძირითადია სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირება და მისი მექანიზმის სრულყოფა, რომლის ძირითადი მიზანია აგრარულ სფეროში უცხოური და სამამულო კაპიტალის მოზიდვა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს კი გულისხმობს დიდი რაოდენობის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის საკვებით მომარაგებას, გადამამუშავებელ მრეწველობას ნედლეულით და სოფლის სოციალურ მდგომარეობის გამოსწორებას. ეს ორივე პრობლემა განუყრელია, რამდენადაც ეფექტური წარმოება ქმნის სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების, საზოგადოების სტაბილური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს. მეორეს მხრივ მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას თან სდევს სოფლის იერსახის შეცვლა, გალამაზება, საცხოვრებლად მიმზიდველობა რაც სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებისა და შრომითი პოტენციალის განმტკიცების საწინდარია.

საქართველოსა და კახეთის რეგიონის სოფლად მოსახლეობის

დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდ როლს თამაშობს მეცხოველეობის განვითარება. საქართველოში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საერთო მოცულობის და პირუტყვის სულადობის მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კახეთის რეგიონს. ამჟამად სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა რძე და ძროხის ხორცი. სხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იძლევა მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქტების ნახევარს. 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კახეთის რეგონზე მოდის საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 10%, შესაბამისად ღორის სულადობის-18%, ცხვრის და თხის სულადობის-35%, ფუტკრის ოჯახების რაოდენობის-18%, ფრინველის სულადობის-14%. კახეთის რეგიონის ხვედრითი წილი მთლიანად საქართველოში წარმოებული ხორცის (დაკლული წონა) რაოდენობაში 17.6%-ს შეადგენდა, შესაბამისად რძის რაოდენობაში-9.7%-ს, კვერცხის რაოდენობაში-15%, მარცვლეულის რაოდენობაში-34.6%-ს, თაფლის რაოდენობაში-19.6%-ს. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონი პირუტყვის სულადობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ მეორე ადგილზეა იმერეთის შემდეგ.

მეცხოველეობის დარგის განვითარების მასშტაბებით ერთმანეთისაგან განსხვავდება კახეთის რაიონები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი უმეტესად განვითარებულია ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში; მეღორეობა-ახმეტის, თელავის და ლაგოდეხის რაიონებში; მეცხვარეობა-ახმეტის, დედოფლისწყაროს, თელავის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და სიღნარის რაიონებში; მეფრინველეობა-ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში; მეფუტკრეობა-ყვარლის, დედოფლისწყაროს, თელავის, სიღნაღის და ახმეტის რაიონებში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ჩანს (იხ.დანართ 6), რომ

კახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2005 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება. მაგალითად 2008 წელს 2001 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 26.8 ათასით, ანუ 30%-ით შემცირდა, ხოლო ფურის და ფურკამეჩის სულადობა 19.5 ათასით, ანუ 28.4%-ით. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებმა, უმუშევრობამ, შიმშილმა მოსახლეობა აიძულა პროდუქტიული პირუტყვი მეტი ჰყოლოდათ და შემოსავლის ერთ-ერთი წყარო, რძის წარმოება გაეზარდათ.

კახეთის რეგიონში ისე, როგორც საერთოდ საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება (იხ. დანართი 7). 2008 წელს შემცირებულია ხორცის წარმოება 2001 წელთან შედარებით საქართველოში 47.6%-ით, ხოლო კახეთში 64.3%-ით. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ აქ მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები ბაზა, მოვლა-პატრონობა დაბალ დონეზეა. სტიქიურად მიმდინარეობს პირუტყვის გადარჩევა და შერჩევა, რაც იწვევს პროდუქტიულობის მკვეთრად შემცირებას და ცხოველთა დაკნინებას. პროდუქციის წარმოების შემცირება ჩვენი აზრით გამოიწვია აგრეთვე ბაზრების უქონლობამ, დაბალმა ფასებმა.

მნიშვენოვლად შემცირდა ფრინველის სულადბაც (68.4%-მდე), რაც ძირითადად გამოიწვია სახელმწიფო მეფრინველეობის ფაბრიკების ლიკვიდაციამ, რომლებიც ძირითადად მუშაობდნენ ქვეყნის გარედან შემოზიდული საკვების გამოყენებით. ასეთი საკვები ბაზა დღეისათვის აღარ არსებობს, გაუქმებულია კომბინირბული საკვების მწარმოებელი კომბინატები.

კახეთის რეგიონში მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის პრობლემა გადაწყვეტილი უნდა იქნეს საკვები ბაზის განმტკიცების და პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების გზით. უპირველეს ყოვლისა,

საჭიროა ბუნებრივი სათიბ-საძოვრების რაციონალური და სრული გამოყენება, საძოვრების მოვლისა და სწორი ექსპლუატაციის, სათიბების მოსავლიანობის გაზრდის საშუალებებით.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე 2001-2008 წლებში დაქვეითდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის, სამოქალაქო ომის და საერთო დესტაბილიზაციის გამო. კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ დარგში წარმოება თითქმის მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებზე მოდის. მართალია, ისინი ძირითადად ნატურალურ მეურნეობას ეწევიან, რადგან წარმოება აქ დაფუძნებულია მხოლოდ ხელით შრომაზე, მაგრამ პროდუქციის გარკვეული ნაწილის (ხშირად საკუთარი მოხმარების შეკვეცის ხარჯზე) რალიზაციას მაინც ახდენენ ქვეყნის აგრარულ ბაზრებზე, სადაც აღნიშნული პროდუქცია დაბალ ფასებში და ნელი ტემპით იყიდება, ეს კი ძირითადად მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარით არის გამოწვეული.

საქართველოში არ არსებობს სოფლის მეურნეობის მომსახურების სისტემა, როგორიც არის ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით, საწვავ-საცხებით მომარაგების კომერციული ორგანიზაციები, სანაშენო მუშაობის, ვეტერინალური მომსახურების ფასიანი სტრუქტურები, რაც წარმოებას უმწეოს, პრიმიტიულს, ძველმოდურს და ნაკლებ ეფექტურს ხდის. სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის დაუცველობა. საქართველოში ყოველგვარი რეგულირების გარეშე, სხვა ქვეყნებიდან დიდი რაოდენობით შემოდის სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის უხარისხო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი წარმოების ზრდას. მაგალითად, ბოლო წლებში ღორის სულადობამ მნიშვნელოვნად იწყო კლება და 2008

წელს, 2001 წელთან შედარებით 359 ათასი სულით შემცირდა. ამის მიზეზი რამდენიმე იყო, ძირითადი მიზეზი ღორის ჭირი, ასევე კომბინირებული საკვების გაძვირება და საქართველოში რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან იაფი ღორის ხორცის უსისტემოდ შემოტანა. საზღვარგარეთიდან თბილისის რძის კომბინატს დიდი რაოდენობით დაბალი ხარისხის ვადაგასული რძის ფხვნილი შემოაქვთ, გადაამუშავებენ და თბილისის და რუსთავის სავაჭრო ობიექტებს მიაწოდებენ, სადაც საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს რძისა და რძის პროდუქტების გაყიდვის უფლება არა აქვთ, რადგანაც მათ არ გააჩნიათ, პროდუქციის გადამუშავების სანიტარული პირობების დაცვის საშუალება. ეს მდგომარეობა მკვეთრად აფერხებს საქართველოში მერძეული მერძეობის განვითარებას, ხელს უწყობს ძროხის სულადობის შემცირებას, რაც თავის მხრივ იწვევს სათიბ-საძოვრების არასრულ გამოყენებას, მოსახლეობის დასაქმების და შესაბამისად შემოსავლების შემცირებას, საქართველოდან ვალუტის სხვა ქვეყნებში გადინებას და ა. შ. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ჩვენი აზრით, სახელმწიფომ რძესა რძის პროდუქტებზე, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, ხორბალსა და ფქვილზე და იმპორტულ სასურსათო პროდუქტებზე საბაჟო და სხვა გადასახადები უნდა გაზარდოს იმ დონემდე, რომ ბიზნესმენებისათვის ხელსაყრელი არ იყოს კვების პროდუქტების სხვა ქვეყნებიდან შემოტანა და იზრუნონ ადგილზე წარმოებული საქონლის შესყიდვა- რეალიზაციაზე. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების განვითარებას და შესაბამისად შრომითი რესურსების დასაქმების მდგომარეობაც გაუმჯობეცდება.

ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი პურ-პურპროდუქტების სისტემაშიც. იმის გამო, რომ საზღვარგარეთიდან უსისტემოდ შემოაქვთ დაბალი ხარისხის ფქვილი და იაფად ყიდიან, საქართველოს

ფერმერების მიერ წარმოებული ხორბალი ვერ იყიდება ან ჩალის ფასად იყიდება. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ მარცვლოვანი კულტურების წარმოება, ხოლო წისქვილკომბინატები აღნიშნული მიზეზების გამო ამცირებენ ხორბლის გადამუშავებას ან მთლიანად აჩერებენ წარმოებას, რის შედეგადაც უმუშევარი რჩება ასობით მუშა-მოსამსახურე, ეს კი უფრო ამწვავებს ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას. სასურსათო ბაზრის ასეთი დამოკიდებულება იმპორტზე ეკონომიკური პარადოქსია ისეთი ქვეყნისათვის, რომელსაც გააჩნია კვების პროდუქტების წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ- საწარმოო რესურსები.

უკვე ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალურ- ეკონომიკური გარდაქმნები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არის სამართლებრივი და სხვა პირობები სოფლად საკუთრების და მეურნეობრიობის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების ფუნქციონირებისათვის. სოფლის საქონელმწარმოებლებმა მიიღეს მოწეული პროდუქციის რალიზაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების თავისუფლება. შექმნილია ჯანსაღი კონკურენციის პირობები. მაგრამ, აგრარული სექტორის საქმიანობის საშედეგო მაჩვენებლები მიუთითებენ იმაზე, თუ რა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ნაწილი გახდა წამგებიანი. მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია, ირღვევა სოფლის სოციალური სფერო, იზრდება აშკარა და ფარული უმუშევრობა, მოსახლეობის 22%-ზე მეტი იმყოფება სიღარიბის ზღვრის ქვემოთ. უკანასკნელ პერიოდში (2001-2008წ.წ.) სიტუაციის რამდენადმე გამოსწორებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის მიუხედავად, საქართველო მაინც სრულად ვერ აკმაყოფილებს საკუთარ მოსახლეობას კვების პროდუქტებით.

ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, ვინაიდან მისი

შევსება ხორციელდება იმპორტირებული კვების პროდუქტების ხარჯზე.

მოსახლეობის მიერ სასურსათო პროდუქციის შეძენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილია პურ-პურპროდუქტების ნაწარმის შეძენაზე გაწეული ხარჯები (34.4%), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობის ღარიბი ნაწილი ძირითადად პურით იკვებება, ხორცისა და ხორცპროდუქტების შეძენაზე-12.1%, ბოსტნეულზე-12.1%, ცხიმებზე—8.7%, შაქარზე-8.3%, რძეზე და რძის პროდუქტებზე-6.5%. კვებაზე გაწეული ხარჯები მთლიანად გაწეული ხარჯების 53.6%-ს შეადგენს, იმ დროს, როცა პოსტინდუსტრიალ ქვეყნებში სურსათზე იხარჯება ოჯახის შემოსავლის არაუმეტესი 20%. (გერმანიაში და ინგლისში-12%, აშშ-ში-10%). ჩვენთან ამ მაჩვენებლის ასეთი მაღალი დონე გამოწვეულია იმით, რომ გაჭირვების გამო მომხმარებელი იძულებულია სურსათ-სანოვაგით გაჯერებულ ბაზარზე ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეარჩიოს დაბალ ფასიანი შესაბამისი საკვების ის სახე, რომელიც მის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებს. ამიტომ არის, რომ სასურსათო კალათის შემადგენლობაში იზრდება დაბალი კატეგორიის და პირიქით, მცირდება მაღალი კატეგორიის სურსათის მოხმარების ნაწილი.

ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ 2008 წელს საქართველოში კალორიების მედიანურმა მოხმარებამ ერთ ეკვივალენტურ მოზარდზე საშუალოდ დღეში 2600 შეადგინა, რაც 100კ.კალ.-ით ნაკლებია 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოსახლეობა კვინტილურ ჯგუფებად არის დაყოფილი, რაც ნიშნავს რაიმე ნიშნის (შემოსავლების, ხარჯების, კალორიების მოხმარებას და ა. შ.) მიხედვით დალაგებული ერთობლიობის დაყოფას

20%-იან მონაკვეთებად. კერძოდ, შინამეურნეობების დალაგება ხდება მათი სამომხმარებლო ხარჯების ზრდის მიხედვით. ე.ი პირველი კვინტილური ჯგუფი უღარიბესია, ბოლო კი უმდიდრესი. ამ მიდგომის შესაბამისად, საქართველოში უღარიბესი მოსახლეობის ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე 1960 კკალორია მოდის, უმდიდრესი მოსახლეობის ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე კი შესაბამისად 3740. როგორც მონაცემებიდან ჩანს, უმდიდრესი ფენა მნიშვნელოვნად უკეთესად ცხოვრობს და უკეთესად იკვებება. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა აგრეთვე სოფელსა და ქალაქს შორის. თუ პირველი კატეგორიის ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე 3070 კკალ მოდის, მეორეზე მხოლოდ 2320 კკალორია, ანუ 22.2%-ით ნაკლები, რაც ამ ეტაპზე კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგანადაც სოფლად მოსახლეობა საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქციას თვითონ აწარმოებს, რისი პირობებიც ქალაქში არ გააჩნიათ. მოსახლეობისათვის საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები თუ არ გაიზარდა, საქართველო შეიძლება უახლოეს პერიოდში მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის სუვერენულ სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც. ამიტომ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების უზრუნველყოფის პრობლემა საქართველოსათვის პირველი რიგის ამოცანად უნდა მოიაზრებოდეს.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი მიზნობრივი, კომპლექსური მიდგომის უმთავრესი მიმართულება ის არის, რომ გაერთიანდეს, არა მარტო სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის ყველა დარგის ძალებიც. ეს აქტუალური ამოცანაა, რადგან სასურსათო კომპლექსის დარგების განვითარებაში ჩამოყალიბდა განსაზღვრული დისპროპორციები, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

დაგროვდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და ვაჭრობის სფეროში. აქედან გამომდინარე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ჯაჭვის ყველა რგოლზე, რომლითაც სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქცია ბაზრამდე აღწევს.

2.3 სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური სპეციალიზაცია და კონკურენცია შრომითი რესურსების გამოყენების რეალური გზაა

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში ბოლო წლებში ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება ქვეყნის გეოპოლიტიკურ პირობებს, ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებას, აგრარული სფეროს საწარმოო პოტენციალს და ამდენად ის არ შეიძლება მომავალში დღევანდელი სახით დარჩეს.

ყველა რევოლიციური პროგრამის, მათ შორის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის რეალობის საფუძველს წარმოადგენს ამ პროგრამის სოციალური აღქმა. აქ მთავარი როლი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებას ენიჭება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასურსათო პროგრამის რეალიზაცია. გასაგებია, რომ სურსათით უზრუნველყოფა უშუალოდ მოქმედებს ადამიანთა განწყობაზე, მათ შრომის ნაყოფიერებაზე, რაც ყველა სხვა პირობის არსებობის დროსაც კი რაღაცა დონით განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. საჭიროა მივიღოთ ექსტრემალური გადაწყვეტილება, რომ უფრო სწრაფად დავძლიოთ სასურსათო პრობლემა და შედარებით მოკლე დროში გავაუმჯობესოთ არა მარტო მოსახლეობის ცხოვრების დონე, არამედ მოსახლეობის დასაქმების

მდგომარეობაც. უპირველეს ყოვლისა, ასეთ გზად გვესახება ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, რომელიც არ ითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და შედეგიც უმოკლეს დროში მიიღება. ამისათვის წინ უნდა წამოვწიოთ სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები.

ეს ის დარგებია, რომლებიც წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საფუძველთა-საფუძველს. მეცხოველეობის პროდუქციიდან უპირველეს ყოვლისა ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ვინაიდან მეფრინველეობა მეღორეობის მსგავსად მალმწიფადი დარგია და უმოკლეს დროში შეავსებს ხორცისა და კვერცხის სასურსათო დეფიციტს, ხოლო მემცენარეობიდან-მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის და მზესუმზირის წარმოებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად, ქვეყანაში ცვლილება განიცადა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებამ და სპეციალიზაციამაც. სოფლის მეურნეობის რაციონალური გაადგილება ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით წარმოადგენს პროდუქციის წარმოების გადიდების და გააიაფების, მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვან პირობას.

შრომის ტერიტორიული დანაწილება ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებას ცალკეულ რეგიონებში, ხოლო თავის მხრივ გაღრმავებული სპეციალიზაცია დარგში ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას და წარმოების კონცენტრაციის გაღრმავებას.

ამრიგად, ეს სამი კატეგორია-გაადგილება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და ერთ-ერთი მათგანის ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას და ა. შ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება და კონცენტრაცია ხელს უწყობს მექანიზაციის ფართოდ დანერგვასა და გამოყენებას, დარგის თანმიმდევრულ ქიმიზაციას და ინტენსიფიკაციას, რაც თავის წილად აუმჯობესებს მუშახელის დასაქმების მდგომარეობას.

დარგის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის წარმოების გაადგილების ზოგიერთი თავისებურება. ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის საწარმოო და ეკონომიკური კავშირების რღვევამ, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქციის ფასებს შორის დისპროპორციის გაღრმავებამ ხელი შეუწყო აგრარულ სექტორში მატერიალური რესურსების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაადგილება ემყარება საბაზრო ურთიერთობათა ობიექტური მოთხოვნების ამსახველ რიგ მნიშვნელოვან პრინციპს, რომელთაგანაც ძირითადია:

1. წარმოების გაადგილება ბუნებრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ანუ იქ, სადაც შეიძლება მივაღწიოთ კულტურათა მაღალ მოსავლიანობას და პირუტყვის მაღალ პროდუქტიულობას;
2. შრომითი რესურსების დასაქმება და ეფექტიანი გამოყენება;
3. სწორი პროპორციების დადგენა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელ მრეწველობის დარგებს შორის;
4. სამრეწველო საწარმოების მიახლოება ნედლეულის წარმოებასთან;
5. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის შრომითი რესურსების გამოყენებას. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და ფონდშეიარაღების მქონე რეგიონებში საჭიროა განვალაგოთ მიწათმოქმედების ყველაზე ინტენსიური დარგები, რომლებიც

მოითხოვენ დიდ დანახარჯებს პროდუქციის ერთეულის წარმოებისას. გაადგილებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული ზნეჩვეულებები, ადათწესები და რელიგიური მრწამსი.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გათვალისწინებაც. პროდუქციის ძირითადი სახეები შეძლებისდაგვარად უნდა ვაწარმოოთ სრული მოცულობით უშუალოდ ჩვენს ქვეყანაში. მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდით მაქსიმალურად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნა მათზე, რაც ვალუტის იმ ნაწილის ეკონომიის საშუალებას მოგვცემს, რომელიც იხარჯება საზღვარგარეთ მათი შეძენისას და ამ ვალუტით გავზარდოთ საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

დავიწყოთ მარცვლეულით. მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დონე იყო, არის და ყოველთვის დარჩება ნებისმიერი ქვეყნის სიმდიდრის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლად. მარცვლეული, როგორც მთავარი სასურსათო პროდუქტი სულ უფრო მეტად ხდება დღეს პოლიტიკური ზეწოლის იარაღი განვითარებული ქვეყნების ხელში (თურქეთიც კი ასეთ პოლიტიკას ატარებს დღეს ჩვენს მიმართ). ამ ფონზე განუსაზღვრელად დიდია მარცვლეულის მნიშვნელობა ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა კლების ტენდენცია და შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის ფასის მატება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარცვლეულის წარმოების ზრდის ტემპი დიდად ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, შესაბამისი დასკვნის გამოტანა სიძნელეს არ წარმოადგენს. მარცვლეულის საკუთარი წარმოების უგულებელყოფა და კურსის აღება გარედან მის

შემოტანაზე, მოსახლეობის პურით უზრუნველყოფაში ყოველთვის გამოიწვევს სერიოზულ სიძნელეებს, მისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენებით.

ამრიგად ყოველი ერის, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მარცვლეულის საკუთარი მეურნეობისათვის მტკიცე ბაზის შექმნა. ამ ამოცანის შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქართველოში არსებული რესურსები. ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა სწორედ მარცვლეულის მეურნეობის განუვითარებლობაა, „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, -პური იმდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს„. . .“ (ილია ჭავჭავაძე). ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული აზრი გვაქვს გამოკვეთილი. ყოველწლიურად აუცილებლად საჭიროა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და შაქრის შემოსატანად ჩვენგან გარკვეული რაოდენობით გატანილოყო ჩაის, ციტრუსების, ხილ-ბოსტნეულის, ყურძნის, ეთერზეთების კულტურების პროდუქციის ნაწარმი. შეუფერებელ ადგილებზე გაშენებული ვაზის, ხეხილისა და სხვა გამეჩხერებული ნარგავები უნდა ამოიძირკვოს და მის ადგილზე მარცვლეულის და მზესუმზირის, შაქრის ჭარხლის კულტურები უნდა მოვიყვანოთ, ამიტომაც აუცილებელი ხდება დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხაშურის, გორის, ქარელის, კასპის, მთელ რიგ სხვა რაიონებში ადრე მარცვლეულით, მზესუმზირით, შაქრის ჭარხლით დაკავებული ვაკე სამექანიზაციო ფართობებზე გაშენებული ყველა სახის ხეხილისა და ვაზის ნარგავებისაგან, შესაძლებლობის მიხედვით თანდათანობით გამონთავისუფლება და გადანაცვლება მათთვის უფრო ხელსაყრელ სამხრეთის მცირე დაქანების ფართობებზე, რომელიც დღეს არ არის ათვისებული. უამისოდ, მარტო სათიბ-საძოვრებში, ბუჩქნარებსა და

ნასვენ მიწებში გამოძებნილ დამატებით ფართობებზე არ მოხერხდება აუცილებელი თესლბრუნვების შემოღება და დანერგვა, მის საფუძველზე კი მარცვლის, მზესუმზირისა და ჭარხლის წარმოების მაღალი ეფექტიანობა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ მარცვლეულის საელევატორო მეურნეობის საერთო სიმძლავრეები-2 მლნ. ტონას აღემატება და დამატებითი სიმძლავრეების მშენებლობა ამ მიმართულებით, ამ ეტაპზე საჭირო არ იქნება.

ჩვენ მარცვლეულის პრობლემაზე რამდენადმე დეტალურად იმიტომ შევჩერდით, რომ თუ ეს პრობლემა გადავწყვიტეთ და ქვეყანაში მარცვლეულის სასურსათო ფონდი შევქმენით, ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა სასურსათო პროდუქტი. ერთი სიტყვით, მარცვლეულის პრობლემების გადაწყვეტაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის ზოგიერთი დარგის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების გამოყენების დონის ამაღლებას.

მარცვლეულთან ერთად სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მეორე პურად წოდებული კარტოფილი, მით უფრო რომ მისი მოყვანა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება და არ მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით კაპიტალურ დაბანდებებს. მეკარტოფილეობაც, ასევე პრიორიტეტული დარგია. რადგან იგი ჩვენთვის არის პურისა და პურის პროდუქტების დანაკლისის შევსების ძირითადი წყარო. მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მარცვლეულის უკმარისობას განიცდიან მის შევსებას ახდენენ კარტოფილით.

საქართველო თავის მოთხოვნილებას კარტოფილით რომ ვერ იკმაყოფილებს, ეს მხოლოდ წარმოების მართვის ბრალი არ არის. მას ემატება ისიც, რომ წალკის, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და დმანისის

რაიონებში მოწეული კარტოფილის მოსავლის გადმოზიდვა ვერ ხერხდება ტრანსპორტის, საწვავ-საცხების უქონლობის, უამინდობის და სხვა ორგანიზაციული მხარეების მოუგვარებლობის გამო.

რაც შეეხება მცენარეულ ზეთს, მათზე მოსახლეობის წლიური მოთხოვნილება 50-60 ათას ტონას შეადგენს. საქართველოში კი ამჟამად მხოლოდ 15-16 ათას ტონა მზესუმზირას ვაწარმოებთ. მაღალია 1ც-ს თვითღირებულება, რომელიც გამოწვეულია მექანიზაციის დაბალი დონით, დანაკარგებით, არასწორი აგროტექნიკით და სხვა. მოსავლის აღებაზე იკარგება მთლიანი მოსავლის თითქმის 20%. აღების შემდეგ მოსავალი უნდა გამოშრეს და მოხდეს მისი გასუფთავება. აქაც დიდია დანაკარგები. მოძველებულია ელევატორები, სასაწყობო მეურნეობები თითქმის მოშლილია. ხდება მზესუმზირის ხარისხის დაცემა.

აგროკლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მზესუმზირის გაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კახეთისა და ქარელის რიგ რაიონებში, სადაც ნათესების ტრადიციულად დამკვიდრებული სტრუქტურისა და ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში მზესუმზირის წარმოების გაზრდის შესაძლებლობა გამორიცხულია.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების 50% დაკმაყოფილდეს საკუთარი წარმოების ზეთით, ხოლო დანაკლისი შეივსოს შემოტანილი ნედლეულით, რომელიც აქ იქნება გადამუშავებული. არ უნდა ხდებოდეს გაუმართლებელი შემოტანა. უნდა დავიცვათ შიდა ბაზარი კონკურენციისაგან. უნდა მოხდეს მწარმოებელი და გადამამუშავებელი დარგის მსხვილი ინტეგრაცია, რაც მოსახლეობის დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ გააუმჯობესებს.

მეცნიერთა და სპეციალისტთა გაანგარიშებით ქვეყნის მოსახლეობის დასქმების მიზნით მათი მოთხოვნილებათა

დასაკმაყოფილებლად, პერსპექტივაში შეიძლება საკმარისი ბოსტნეულის წარმოება, რადგან ზოგ რაიონში შესაძლებელია ორი და მეტი მოსავლის მიღება წლის განმავლობაში ფართობის ერთეულიდან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების მდგომარეობის შესაფასებელი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში (იხ. დანართი 8).

წარმოების გაადგილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია სპეციალიზაცია. რეგიონის ან სასოფლო-საეურნეო საწარმოს სპეციალიზაცია მდგომარეობს მთავარი დარგის გამოყოფაში და ყველა პირობის შექმნაში მისი უპირატესი განვითარებისათვის. ცხრილში მოტანილი მონაცემები ახასიათებენ მათ საწარმოო მიმართულებას და დარგობრივ სტრუქტურასაც.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს მესიმინდეობა ყველაზე მაღალი დონით წარმოდგენილია იმერეთში 45.1% და სამეგრელოში 39.7%. ხორბლის წარმოება გაადგილებულია კახეთის რეგიონში, რომელიც 52.7% შეადგენს მარცვლეულის მთელ მოცულობაში, შესაბამისად ქვემო ქართლის რეგიონში 12.4% და შიდა ქართლის რეგიონში 11.3%. კარტოფილი იწაროება სამცხე-ჯავახეთში 55.9%, ქვემო ქართლში 12.9%, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 16.3% და მცირე მოცულობით სხვა რეგიონებშიც. ბოსტნეულს აწარმოებენ ყველა რეგიონში, მაგრამ, ყველაზე მეტი მოცულობით აწრმოებენ კახეში, ანუ ქვეყანაში წარმოებული ამ პროდუქციის 25.1%, შესაბამისად ქვემო ქართლში 17.5%, შიდა ქართლში 19,.9% და იმერეთში 9.6%. მზესუმზირა იწარმოება ძირითადად მხოლოდ კახეთის რეგიონში, ანუ საქართველოში წარმოებული 98.0%, თამბაქო მთლიანად იწარმოება მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და კახეთში. მეცხოველეობის პროდუქცია მეტნაკლებად იწარმოება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მაგრამ ყველაზე მეტი

იწარმოება იმერეთში ანუ საქართველოში წარმოებული ხორცის 22.0% და წარმოებული რძის 19.5%, შემდეგ ქვემო ქართლში შესაბამისად ხორცი-19.2% და რძე-25.6%, სამეგრელო-ზემო სვანეთში ხორცი-14.3%, რძე-12.7%. მეფრინველეობა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ვითარდება, განსაკუთრებით კი კახეთის, იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ისეთ რაიონებში, სადაც ხორბალს, ქერსა და სიმინდს აწარმოებენ. მაგალითად 2008 წლის მონაცემებით ქვეყანაში წარმოებული 12.9 ათასი ტონა ფრინველის ხორციდან, კახეთის რეგიონის რაიონებზე მოდიოდა 1.3 ათასი ტონა, ანუ მთელი ფრინველის ხორცის 10.1%. იმერეთის მხარეზე მოდის მთლიანი ფრინველის ხორცის 27.1%,ანუ 3.5 ათასი ტონა. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეზე მოდის მთლიანი ფრინველის ხორცის 21.7%, ანუ 2.8 ათასი ტონა.

მიუხედავად იმისა, რომ მეხილეობა აგრარული რეფორმის შემდეგ დაქვეითდა, მსხვილი სამრეწველო ტიპის მეხილეობის და კოლექტიური მეურნეობების ლიკვიდაციის და არასრულყოფილი რეორგანიზაციის გამო, მაინც იგი ყველაზე მეტი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთში 12.1%, იმერეთში 18.6% და კახეთში 12..2%. მევენახეობა, მიუხედავად ამ დარგში წარმოების შემცირებისა, კვლავ მეტი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი კახეთის რეგიონში, რომელიც 56.9% შეადგენს ქვეყანაში წარმოებული ყურძნის მთელ მოცულობაში, შესაბამისად იმერეთში 24.8%. მეციტრუსეობა ყველაზე მეტი ხვედრითი წონით წარმოდგენილია აჭარაში. მეჩაიეობის დონე, აგრარულ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით კატასტროფულადაა შემცირებული და ამჟამად რაც იწარმოება საქართველოში, აქედან 38.9% მოდის სამეგრელოს რეგიონზე, ხოლო 48.1% გურიის რეგიონზე.

ღოგორც მონაცემებიდან ჩანს, დღეს ათი რეგიონიდან ექვსის

სასაქონლო პროდუქციაში სჭარბობს მეცხოველეობის პროდუქციის წილი და იმ პროდუქტებისა, რომლებსაც გააჩნიათ გარანტირებული შიდა ბაზარი (კარტოფილი, ბოსტნეული, მარცვლეული), რადგან წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის სასიცოცხლო პროდუქტებს. ეს დასტურდება აგრეთვე რეგიონების მიხედვით მეცხოველეობის დარგების გაადგილების მონაცემებით (იხ.დანართი 9). მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2008 წლისათვის 2002 წელთან შედარებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემცირდა 126.1 ათასი სულიდან 87.7 ათას სულამდე; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 197.1-დან 204.0-ათას სულამდე გაიზარდა; იმერეთის რეგიონში 278.3-დან 204.2-ათას სულამდე შემცირდა; შიდა ქართლის რეგიონში 85.0-დან 65.5-ათას სულამდე შემცირდა, კახეთის რეგიონში 122.8-დან 89.2-ათას სულამდე შემცირდა, ქვემო ქართლის რეგიონში 150.7-ათასი სულიდან გაიზარდა 186.7-ათას სულამდე, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 100.9-დან 88.6-ათას სულამდე შემცირდა.

საბოლოოდ ავღნიშნავთ, რომ ქვეყნის აგრარული კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროა ერთმანეთთან დაკავშირებული ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ცხოვრებაში გატარება, სხვანაირად ძნელია სოფლის მეურნეობაში წარმატების მიღწევა. არ შეიძლება ცალკე რომელიმე დარგის რეფორმირება, ხოლო მომსახურე დარგების ინფრასტრუქტურის უცვლელად დატოვება. მაგალითად, მეძროხეობის ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება, ორგანიზება და განვითარება სარწყავი სისტემის გამართვის, საკვები ბაზის განმტკიცების გარეშე, რძისა და ხორცის ბაზრების არსებობის გარეშე და ა.შ. მემცენარეობის და მეცხოველეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია სარწყავი სისტემის, საკვები ბაზის განმტკიცების, დაქუცმაცებული პრივატიზებული სახნავი მიწების კოოპერირების და ა.შ. გზით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტა დღეს ჩვენს ქვეყანაში, ზემოთ აღნიშნული პირობების გამო, შეუძლებელია მარტო სპეციალიზაციის გაღრმავებით და წარმოების სწორი გაადგილებით. ამ პროცესს თან უნდა ახლდეს ყველა ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა. ეს უკანასკნელი ხელმისაწვდომია ყველაზე მცირე ზომის ფერმერული მეურნეობებისათვისაც კი. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ განვითარების მოცემულ ეტაპზე მათში მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემათა დანერგვას.

მეურნეობის სამუშაო ძალის, მიწისა და რთული ტექნიკის სრული მიზანშეწონილი გამოყენება, აგრეთვე მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების მეურნეობაში ფართოდ დანერგვა სხვა პირობების გარდა, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეკონომიურად ამართლებს ამ დარგის განვითარება, როგორ სწორად არის სასოფლო-სამეურნეო დარგები შერჩეული და ურთიერთშეთანაწყობილი.

აღნიშნულ სასიცოცხლო საკითხებს კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში საერთოდ, და კერძოდ, საწარმოთა ახალი ფორმების გამოყენებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მეურნეობას მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს, რითაც ის არსებითად განსხვავდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს წარმოების მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი, რაც ხელს უშლის შრომითი რესურსების მთელი წლის განმავლობაში დასაქმებას.

მეურნეობაში სამუშაო ძალა სრულად და მიზანშეწონილად რომ იქნეს გამოყენებული, ამისათვის აუცილებელია ვაწარმოებდეთ ისეთ კულტურებს, რომელთაც წარმოების პერიოდი და სამუშაო დრო

განსხვავებული აქვთ, რათა ისინი ავსებენ ერთიმეორეს და სამუშაო ძალის მოთხოვნილების შედარებით გამოთანაბრების შესაძლებლობას იძლევიან.

მეცნიერული კვლევებით დამტკიცებულია, რომ კახეთის რეგიონის პირობებისათვის საშემოდგომო ხორბლის კარგი წინამორბედია ყველა ის კულტურა, რომელიც მინდორს ადრე ათავისუფლებს. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც საშემოდგომო ხორბლის ძირითადი ფართობებია, მისი სანიმუშო წინამორბედია სათოხნი კულტურები: სიმინდი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და საკვები კულტურები. გარდა ამისა, საშემოდგომო ხორბლის დიდი ნაწილი (35-40%) ნაწვერალზე ითესება.

კახეთის რეგიონში ზაფხულის მეორე ნახევარი სიმშრალით ხასიათდება, ნალექები ცოტა ან სრულებით არ მოდის, ასეთ პირობებში წინამორბედი დიდ გავლენას ახდენს, ხოლო ზოგჯერ კიდეც განსაზღვრავს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის დონეს.

იმისათვის, რომ კახეთის რეგიონის პირობებისათვის მიწა სრულად და მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული, ამასთან ერთად უზრუნველყოთ მისი ნაყოფიერების სისტემური გადიდება, აუცილებელია რამდენიმე ნიადაგისადმი წაყენებულ მოთხოვნილების ხასიათის მიხედვით განსხვავებული კულტურის წარმოება, ავიღოთ მაგალითისათვის მინდვრის კულტურები. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მხრივაც, რომ ზოგი მათგანი სახნავი ფენის შედარებით ზედა ნაწილში ინვითარებს ფესვთა სისტემას და უმთავრესად აქედან იღებს თავისთვის საჭირო საზრდო მასალას.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კახეთის რეგიონში მარცვლის

გაადგილების შესაძლებლობანი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ რეგიონს თავისუფლად შეუძლია აწარმოოს მარცვლეული სულ მცირე 400-450 ათასი ტონა, ხოლო შორეულ პერსპექტივაში 600-700 ათას ტონამდე. მიუხედავად ამისა, მარცვლეულის წარმოებისა და მოსავლიანობის დღევანდელი დონე სრულებით ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, თვით მემარცვლეობის მოწინავე რაიონებში (მაგალითად ასეთი მოწინავე იყო დედოფლისწყაროს რაიონი, იგი ჩვენთვის პურის ბელელი იყო, როგორც სსრკ-სთვის უკრაინა და ყაზახეთი, იგი მომავალშიც ასევე უნდა დარჩეს). მთლიანად არ არის გამოყენებული მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების ინტენსიური და ექტენსიური პოტენციალური შესაძლებლობანი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაადგილებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხორციელდება დიდ ფართობებზე, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, რაც დიდ გავლენას ახდენს მის საბოლოო შედეგებზე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, ეფექტიანობაზე. რაკი ერთგვაროვანი პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად ზონალურ პირობებზეა დამოკიდებული, ამოცანა იმაში მდგომარეობს, ძირითადი სასაქონლო პროდუქციის წარმოებას იმ რაიონებში მოვუყაროთ თავი, სადაც მისი დამზადება უფრო იაფი დაჯდება, რის შედეგადაც აღნიშნულ რაიონებში უფრო მეტი მოსახლეობა დასაქმდება, რაც შესაბამისად გააუმჯობესებს მათი ცხოვრების პირობებს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაადგილება სხვადასხვა ტვირთების დიდი მოცულობით გადაზიდვებს განაპირობებს, როგორიცაა მოსავალი, საკვები, საწვავი, პროდუქცია, სასუქები და ა.შ. ეს კი თავის მხრივ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად გასათვალისწინებელია.

2.4. ფერმერული მეურნეობების განვითარება, შრომითი რესურსების დასაქმების საფუძველია

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (ფერმერული მეურნეობების) შექმნამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადანაწილებამ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სამომხმარებლო ბაზრის ახლებურად წამოჩენამ დარგი აუცილებელი რეფორმების წინაშე დააყენა.

აგრარული რეფორმების მიმდინარეობას ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა: „მეწარმეთა შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე ძველი ორგანიზაციული სტრუქტურების ნაცვლად, როგორც სხვა სფეროებში, ისე სოფლის მეურნეობაშიც, დაფუძნდა და ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური საწარმო, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი.

ამ ფორმათა უმავლესობამ, სოფლის მეურნეობაში, ამ დარგის ბუნებრივ-ეკონომიკური სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ფართო გასაქანი ვერ ჰპოვა და მათ ნაცვლად ძალზე დიდი მასშტაბები შეიძინა აგრარული სექტორისათვის ზედმიწევნით მორგებულმა და ისტორიულ ფესვებზე დამყარებულმა ისეთმა ფორმამ, როგორიცაა ფერმერული მეურნეობები, მ. შ. საოჯახო წვრილი მეურნეობები, რომელთა რაოდენობა 730 ათას აღწევს და 2008 წელს

მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილმა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 94.0 პროცენტს გადააჭარბა.

საქართველოს აგრარულ სექტორში დღეს რეალურად პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები მხოლოდ ფერმერული მეურნეობებია. მეურნეობრიობის ეს ფორმა აგრობიზნესის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სიცოცხლისუნარიანი რგოლია.

ფერმერული მეურნეობა (farm) (II-30,გვ.99) - დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებების მქონე სამეურნეო სუბიექტი, რომელიც საკუთარი ან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთისა და მოქალაქეთა ჯგუფის ან ოჯახის ქონების (კაპიტალის) განვითარების საფუძველზე ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას და რეალიზაციას (გაყიდვას) მოგების მიღების მიზნით.

ფერმერული მეურნეობა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, საოჯახო, ერთობლივი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, კორპორაცია და სხვა.

როგორც ცნობილია, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს რომელიმე სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, როგორც საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე სარეალიზაციოდ. დღეს აგრარულ სექტორში დიდია მათი ხვედრითი წონა. ამ სექტორში ფუნქციონირებენ ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე არენდით იღებენ მიწას. სწორედ ამ ტიპის მეურნეობებში ყალიბდება მრავალპროფილიანი სამეურნეო წყობა, რაც სოფლის მეურნეობასი დინამიური ეკონომიკური ზრდის საფუძველია.

საქართველოში ფერმერული მეურეობები არა მარტო მწარმოებლებს, არამედ მომხმარებლებსაც წარმოადგენენ. საშუალოდ ერთ მესაკუთრეზე მოდის 0.5-ჰა სახნავი მიწა, რომელიც მერყეობს 0.4-

დან 1.2 ჰა-მდე. ქვეყანაში ფერმერულ მეურნეობათა ფორმირება რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

1. ფერმერულ მეურნეობათა ორგანიზაცია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. ესენია წვრილი საოჯახო მეურნეობები, ხელით შრომით, 2-3 ფურით ან ნეზვით, 0.5 ჰა სახნავი მიწით და ა.შ.
2. ფერმერულ მეურნეობათა ორგანიზაცია არენდით აღებულ მიწებზე;
3. ფერმერულ მეურნეობათა ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზაციის საფუძველზე.

თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ მესამე ვარიანტი სახელმწიფოსაგან მოითხოვს სოლიდურ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას, რაც დღეისათვის ძალზე პრობლემურია. ამიტომ ფერმერულ მეურნეობათა მესამე მიმართულებამ, ჯერჯერობით, განვითარება ვერ ჰპოვა და მათ ნაცვლად ფუნქციონირებენ შერეული ტიპის მეურნეობები (კერძო და არენდით აღებულ მიწებზე).

ფერმერულ მეურნეობათა პირველი ჯგუფი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოფლის მცხოვრებთა მეურნეობა, რომელსაც არასასაქონლო სახე აქვს. ამ ტიპის მეურნეობებს კონკურენციას უწევს არენდით აღებულ მიწებზე ფორმირებული მეურნეობები, რომლისთვისაც საქმიანობის მთავარი სფეროა სოფლის მეურნეობა და წარმოებაში დაბანდებული აქვთ საკუთარი მატერიალურ- ტექნიკური და ფინანსური რესურსები, საოჯახო შრომა. ფერმერულ მეურნეობათა დასახელებული ორი ჯგუფი ნაკლებკაპიტალტევადია. ამდენად, მათი განვითარება რეალური და ეფექტიანია. დღეს ფერმერულ მეურნეობათა პირველ ჯგუფს საკუთრებაში გააჩნია 0.7-1.5 ჰა მიწის ფართობი. მეორე ჯგუფს არენდით აღებული აქვს 40-დან 50 ჰექტრამდე მიწის ფართობი, ხოლო მესამე ჯგუფის მეურნეობათა მიწის ფართობი 25-35 ჰექტრის

ფარგლებშია. დასახელებული სამი ჯგუფიდან, პირველი ჯგუფი ძალზე წვრილმაშტაბურია და შედარებით ნაკლებკონკურენტუნარიანია. მისი საქმიანობა ძირითადად ხელით შრომაზეა დამყარებული. ამასთან შედარებით უპირატესობით გამოირჩევა მეორე ჯგუფიც, რადგან წარმოების მასშტაბები მათ აძლევს ბაზარზე გასვლის საშუალებას.

2008 წელს საქართველოში იჯარით გაცემული იყო სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის 21.6%, ხოლო კერძო საკუთრებაში 78.4%. ამჟამად იჯარით არსებული მიწები თითქმის პრივატიზებულია. წარმოების წვრილმაშტაბურობის მიუხედავად, კერძო სექტორი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა.

შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ყველა მესაკუთრე დღეს არ მისდევს ფერმერულ მეურნეობას.

აგრარულ სექტორში ეკონომიკის აღმავლობა დამოკიდებული იქნება არა მარტო კერძო სექტორის განვითარებაზე, არამედ იჯარისა და კერძო სექტორის შეთანაწყობასა და სახელმწიფო სექტორის ამოქმედებაზე. აღნიშნული სამი მიმართულების ოპტიმალურმა თანაფარდობამ უნდა განსაზღვროს საქართველოს საბაზრო აგროსამრეწველო ურთიერთობები. განვითარების ეს გზა უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გამოიწვევს აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომ სტრუქტურულ ცვლილებებს, გააფართოებს სამომხმარებლო სექტორს, გაზრდის საექსპორტო პოტენციალს.

საქართველოში ფერმერული მეურნეობები დანიშნულების მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მეურნეობები, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების

დასაკმაყოფილებლად. ასეთი მეურნეობები მცირე ზომისაა და აქ ძირითადად ოჯახის წევრების შრომა გამოიყენება. ჰყავს ერთი ძროხა და ერთი ნეზვი ღორი, გააჩნია საბოსტნე მიწის ნაკვეთი. მათ წილად მოდის მეურნეობათა 10-12%.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მეუნეობათა 75-80%, რომელთა მიზანია აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე სარეალიზაციოდ. ასეთი მეურნეობა ძირითადად საშუალო ზომისაა და გააჩნია 3-6 ძროხა და ამდენივე ნეზვი ღორი, კერძო საკუთრებაში აქვს ერთ ჰექტრამდე (0.4-1.0) სახნავი მიწა. ამ მეურნეობაში ძირითადად ოჯახის წევრები მუშაობენ. გამონაკლის შემთხვევაში დაქირავებულ მუშასაც იყენებენ.

მესამე ჯგუფის ფერმერული მეურნეობები პროდუქციას აწარმოებენ მხოლოდ სარეალიზაციოდ და მეურნეობათა საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილი 5-8%-ს შეადგენს. ამ ჯგუფის მეურნეობები შედარებით მსხვილია და 10-ზე მეტი სული ფური ჰყავთ, ამდენივე ნეზვი, 30-ზე მეტი ცხვარი და თხა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ხშირ შემთხვევაში 50 და მეტ ჰექტარს შეადგენს.

სტატისტიკურ დოკუმენტაციაში (კრებულებში) ამ მეურნეობათა საქმიანობამ ფართო ასახვა ჯერ ვერ ჰპოვა, მათ შესახებ მასალების მოპოება, მეტნაკლებად გაძნელებულია, საანალიზო კონკრეტული მაჩვენებლების აღება კი, მათთან უშუალო კონტაქტების საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

რაც შეეხება დანარჩენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: სააქციო საზოგადოებებს, შპს-ებს და სხვა (რომელთა ნაწილიც თანდათან გარდაიქმნა ფერმერულ მეურნეობებად), მათი საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ხასიათის მასალის მოპოვება თითქმის შეუძლებელია, ანდა, თუ ეს როგორმე მოხერხდა, ის ისეთი მწირი და

ღარიბია, რომ მის საფუძველზე რაიმე მეცნიერული ანალიზის ან დასკვნის გაკეთება და მითუმეტეს ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა შეუძლებელია.

კახეთის მოსახლეობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 405.5 ათასი კაცი იყო. ამავე აღწერის მონაცემებით, შინამეურნეობების რიცხვი 126.2 ათსს შეადგენდა. რეგიონის მოსახლეობის 21 პროცენტი ქალაქში ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენი 79 პროცენტი-სოფლად. ამავე აღწერის შედეგებით, ქალები მოსახლეობის 52 პროცენტს შეადგენენ, ხოლო მამაკაცები-48 პროცენტს.

კახეთის შინამეურნეობების გამოკვლევის მიხედვით, რეგიონში ოჯახის საშუალო ზომა 3.6 ადამიანს შეადგენს. ქალაქებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 3.3-ია, ხოლო სოფლად-3.7-ის ტოლია.

ამავე გამოკვლევის მონაცემებით რეგიონში უმუშევრობის დონე 6.3 პროცენტის ტოლია, ქალაქებში 18.5, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 4 პროცენტია.

გამოკვლევიდან მიღებული შეფასებების მიხედვით კახეთის რეგიონში ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 71 პროცენტი. ქალაქებსა და სოფლებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 62 და 63 პროცენტია. რეგიონში დასაქმებულია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 66 პროცენტი. ქალაქებში აღნიშნული მაჩვენებელი 50 პროცენტია, სოფლად კი-70 პროცენტი. მთლიანად რეგიონში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია მომუშავე მოსახლეობის 13 პროცენტი. ქალაქში ეს მაჩვენებელი 34 პროცენტია, ხოლო სოფლად გაცილებით დაბალი-9 პროცენტი. გამოკვლევის შედეგების მიხედვით რეგიონში საშუალოდ დასაქმებულთა 80 პროცენტი თვითდასაქმებულია. აქედან ქალაქის მომუშავეთა 50 პროცენტია თვითდასაქმებული, ხოლო სოფლად აღნიშნული მაჩვენებელი

აცილებით მაღალია და 84%-ს შეადგენს. რაც ძირითადად განპირობებულია სოფლად მიწების პრივატიზაციით, ხოლო ქალაქად მოსახლეობის თვითდასაქმების შედარებით მაღალი მაჩვენებელი მიღწეულია სამეწარმეო სექტორის ისეთ მსხვილ დარგების არსებობით, როგორიცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და სხვა.

ცხ.2.4.1

კახეთის რეგიონში დასაქმებულთა პროცენტული განაწილება მათი საქმიანობის სახეების მიხედვით./პროცენტი/

	ახმეტა	გურჯაანი	დედოფლის წყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი
სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა, თევზჭერა	78,3	80,9	71,1	61,8	82	81,4	79,2	82,1
სამეწარმეო სფერო	9,7	9,8	14,9	22,1	6,7	9,5	7,4	7,3
განათლება და ჯანდაცვა	7,5	4,5	7,2	10,2	6,9	5,6	8,0	6,3
სხვა	4,6	4,8	6,8	6,0	4,0	3,6	5,5	4,3
სულ	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 2.4.1-ში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ კახეთის ყველა რაიონის მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დასაქმების სფერო სოფლის მეურნეობაა. ხოლო ამ დარგში

დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი საოჯახო მეურნეობების მფლობელები არიან. დასაქმების აღნიშნული მაჩვენებლები დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლებთან. მომუშავეთა კლასიფიკაცია მათი დასაქმების სექტორებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით იძლევა საშუალებას შეფასდეს რამდენად უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროში დასაქმება მათ კეთილდღეობას.

საქმიანობის სექტორების მიხედვით რეგიონში დასაქმებულთა განაწილება შემდეგია: სასოფლო-სამეურნეო სექტორში-77%, სამეწარმეო სექტორი-11%, განათლება და ჯანდაცვის მომსახურება-7%, საქმიანობის სხვა სექტორები 5 პროცენტი.

კახეთის რეგიონში ერთ ოჯახის სარგებლობაში საშუალოდ 1.27 ჰექტარი მიწის ნაკვეთია, ხოლო რაიონების მიხედვით კი თითოეული ოჯახის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი მოცემულია ცხრილში 2.4.2.

ცხ.2.4.2

კახეთის რეგიონში ოჯახების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობი (ჰექტარი).

	კახეთი	ახმეტა	გურჯაანი	წყარო	თელავი	დაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი
საშუალო სიდიდე	1.27	1.21	0.88	3,57	0.54	0.97	1.41	1.75	0.99

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით

როგორც უკვე ავღნიშნეთ კახეთში მასახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო სექტორშია დასაქმებულ. სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად რეგიონის მასახლეობის

თითქმის 67 პროცენტი მისდევს მეცხოველეობა-მეფრინველეობას. ეს მაჩვენებელი სხვა რაიონებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალია ახმეტის და დედოფლისწყაროს რაიონებში. (იხ.ცხ 2.4.3)

ცხ.2.4.3

მეცხოველეობა-მეფრინველეობით დაკავებული შინამეურნეობების წილი (სხვა საქმიანობასთან ერთად)

	ახმეტა	გურჯაანი	დედოფლისწყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი	სულ კახეთი
პროცენტი	92	81	90,9	58	42	72	21	88	66,9

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია პირუტყვის რაოდენობრივი განაწილება კახეთის რეგიონში ცალკეული რაიონების მიხედვით.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, კახეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი ახმეტის რაიონში ფართოდაა გავრცელებული ცხვარი და თხა, რომლის სულადობა 74.3 ათასს აღწევს, საგარეჯოს რაიონში 47.2 ათას სულს, თელავის რაიონში 31.2 ათას სულს, ყვარლის რაიონში 24.4 ათას სულს, ლაგოდეხის რაიონში 23.0 ათას სულს. ღორის სულადობა ყველაზე მეტია ყვარლის რაიონში 19.5 ათასი სული, ახმეტის რაიონში 11.8 ათასი სული, ლაგოდეხის რაიონში 11.6 ათასი სული. კახეთის რეგიონის რაიონებს შორის ყველაზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოდის საგარეჯოს, ლაგოდეხის

და ახმეტის რაიონების შინამეურნეობებზე, მათ შორის ძროხა ლაგოდეხის რაიონში 20.1 ათასი სული, საგარეჯოში 20.9 ათასი სული, ხოლო ახეტაში 18.9 ათასი სული. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებმა, უმუშევრობამ მოსახლეობა აიძულა პროდუქტიული პირუტყვის სულადობა გაეზარდა და შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ რძის და ხორცის წარმოება გაეხადათ.

ცხრილი 2.4.4

სხვადასხვა სახეობის პირუტყვის სულადობა
რაიონების მიხედვით (ათასი სული).

	ახმეტა	გურჯაანი	დედოფლის წყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი	სულ კახეთი
ძროხა	18.9	8,6	7,4	9.6	20,1	20,9	8,.3	9,8	103,6
ხარი	0.1	0,1	0,1	0,0	0,3	0,8	0,0	0,2	1,2
კამეჩი	0,4	0,3	0,0	0.9	1,3	0,1	0,0	0,6	3,6
ცხვარი	72,.3	16.9	10,8	29,9	22,7	44,9	15.0	23,0	235.5
თხა	2,0	2,9	1,5	1,3	0,3	2,3	2,0	1,4	13,7
ღორი	11,8	6,3	4,1	10,3	11.6	7,9	2.6	19,5	74,1
სხვა	1,1	1,0	2,4	8.1	3,7	1.0	0,2	1,2	18,7

წყარო: ცხრილი შედგენლია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

2008 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიანი წარმოებიდან ფერმერულ მეურნეობებზე მოდიოდა მარცვლეულის 95.3%, მ.შ. ხორბლის-96.0%, ქერის-96.0%, სიმინდის მარცვლის-99.0%, პარკოსანი კულტურების-100%, მზესუმზირის-93.0%, თამბაქოს-100%, სოიოს-100%, კარტოფილის-100%, ბოსტნეულ-ბაღჩეულის-100%, ხილის-99.5%, ციტრუსის-99.5%, ყურძნის-95.2%, ჩაის-72.2%, ხორცის-91.3%.

ამ მონაცემებით ერთხელ კიდევ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი მწარმოებლები სწორედ ფერმერული მეურნეობებია. წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციიდან 91.1% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 8.9% კი სხვა სასოფლო- სამეურნეო საწარმოებზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესში, როდესაც სოფლად მოსახლეობას ძალიან უჭირს და უპირატესობა მიენიჭა საოჯახო-ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას, დაშვებული იქნა შეცდომები. მათი ორგანიზაცია თვითმიზანი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უნდა მიმართულიყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისაკენ. მოცემულ ეტაპზე და შემდგომშიც დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რამდენად ეფექტურია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ეს ფორმა. საოჯახო-ფერმერული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა მისი ხარისხის გათვალისწინებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ფერმერულ მეურნეობათა ზომები გაიზრდება მიწების კოოპერირების გზით, თუმცა იმ სახეცვლილებით, რომ მათ ბაზაზე უფრო გაბედულად აღმოცენდება კოოპერტიული და მინიინტეგრირებული ფორმირებები; ცხადია, გამოკვლევათა

პოზიციური მიდგომებიც ამისდაკვალად შეიცვლება და დაიხვეწება. ამ თვალსაზრისით აუცილებელია მტკიცე სამართლებრივი ბაზის შექმნა, ვინაიდან უკანასკნელ წლებში თანამედროვე მსოფლიოში წვრილი ფერმერები, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს ცხოვრებისათვის საკმარისი შემოსავლებით და ფერმერები იძულებულნი არიან, დამატებითი შემოსავლები საქმიანობის სხვა სფეროებში ეძებონ.

აგრარულ სექტორიდან ფერმერების და მათი ოჯახის წევრების არასასოფლო სექტორში სამუშაოდ გადასვლის ტენდენცია აიძულებს სახელმწიფოს, შეიმუშაოს არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების პოლიტიკა, ანუ შეუთანწყოს ერთმანეთს სოციალური და ყოფითი პრობლემები და მათი კომპლექსურად გადაჭრა. ეს უზრუნველყოფს ფერმერთა და მათი ოჯახის წევრთა ადგილზე დასაქმებას როგორც ფერმაში, ასევე დამატებით ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე, სოფლის და იქ შექმნილი ხელოვნური თუ ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ, ადგილზე სოფლის მოსახლეობის დასაქმების მიზნით ,განსაკუთრებით გავრცელებულ და ეფექტურ ფორმას კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ქსელის განვითარება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ადგილებში ასეთი საწარმოების განვითარება გამართლებულია როგორც ეკონომიკური (წარმოების მიახლოება გადამუშავებასთან ან პირიქით), ასევე სოფლად არსებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით (სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სეზონურობის გათვალისწინებით).

გარდა ამისა, სულ უფრო ფართოდ ინერგება აგროტურიზმი,

საოჯახო ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების სფეროები.

საყურადღებოა ისიც, რომ თანამედროვე ტიპის ჩქაროსნული გზების მშენებლობით სოფლის მოსახლეობის სულ უფრო დიდ ნაწილს უჩნდება საშუალება აქტიურად ჩაებას ახლომდებარე ქალაქების ან მსხვილი სამრეწველო ობიექტების სამეურნეო ცხოვრებაში.

ამჟამად, აგრარული სფეროს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ მრავალფეროვან ფორებზე გადასვლა ეყრდნობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რომლის ერთ-ერთი გზა პრივატიზებაა.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების სფეროში მესაკუთრეთა ფენის წარმოქმნა ის მაორგანიზებელი ძალა იქნება, რომელიც სამეურნეო ძირითად მიმართულებებს შეუსაბამებს საბაზრო მოთხოვნებს. ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეთა ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას. დასახელებული სფერო სახელმწიფო რეგულირების სერიოზულ საგანს წარმოადგენს. სახელმწიფომ მათ მიმართ უნდა გაატაროს არა მარტო აქტიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, განსაზღვროს საგადასახადო სისტემა და დააწესოს საგადასახადო სარგებელი, არამედ გავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებაზეც, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით, იმოქმედოს საბაზრო ფასებზეც.

დღეს ფერმერთა და სამრეწველო მეწარმეთა საქმიანობა ფულადი სახსრების დეფიციტის პირობებში მიმდინარეობს. ფერმერთა დიდი ნაწილი ვერ ახდენს პროდუქციის რეგულარულ რეალიზაციას, რის გამოც ფულადი შემოსავლების მიღებას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი აქვს. მას ართულებს ისიც, რომ წარმოების

ციკლის დიდ ხანგრძლივობას უმეტეს სასოფლო-სამეურნეო დარგებში მივყავართ იქამდე, რომ საბაზრო სიტუაციებისაგან განსხვავებით, პროდუქციის წარმოების მიწოდება არ შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს დროის მოკლე პერიოდში. ეს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის თავისებურებაა. ამონაგების სეზონურად მიღება იწვევს ფერმერთა მოთხოვნას საკრედიტო რესურსებზე, როგორც ხარჯების ანაზღაურების მნიშვნელოვან წყაროზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბების დაჩქარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საბანკო-საკრედიტო სამსახურების მოწესრიგებამ, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მობილიზაციასა და მიზანმიმართულ გამოყენებას.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია შეიქმნას საკრედიტო ამხანაგობები ან კოოპერატივები, რომლებიც კრედიტს გასცემენ, საწარმოო დანიშნულებით თესლის, სარგავი მასალის, სასუქების, პირუტყვისა და სხვათა შესაძენად. სოფლად ასეთი საკრედიტო მექანიზმის შექმნა გადამწყვეტ როლს შეასრულებს ფინანსური წყაროების განსაზღვრაში და მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციაში. ადგილობრივი პროდუქციის წარმოების გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობაში მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს სეზონური საკრედიტო სისტემა.

ამრიგად, აგრარულ სექტორში შექმნილია საბაზრო ურთიერთობების შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია მესაკუთრეთა ფენა, კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებისათვის ეკონომიკური სისტემის სრულყოფის პირობებში.

კვლევამ გვიჩვენა რომ ფერმერული მეურნეობის შემდგომი რეგულირებული განვითარებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

-უპირველეს ყოვლისა უნდა დასრულდეს საკუთრებაში გადაცემული მიწების ზუსტი აღრიცხვა და სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების (პასპორტის) გაცემა. ამასთან, საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მიწაზე გადასახადის კრიტერიუმის სწორი განსაზღვრა. ასეთ კრიტერიუმად მიღებული უნდა იქნას მიწის კადასტრი. ეს უკანასკნელი უნდა დამუშავდეს მაღალ მეცნიერულ დონეზე, საყოველთაოდ მიღებული და აპრობირებული მეთოდიკის საფუძველზე და რაც მთავარია უნდა მოხდეს შეფასება დიფერენცირებულად მისი ცალკეული კონტურების მიხედვით. ჩვენის აზრით, ამ გადასახადში აკუმულირებული უნდა იყოს ყველა პირობა და ფერმერმა უნდა გადაიხადოს მხოლოდ ეს ერთი გადასახადი. გარდა ამისა ,საჭიროა მკაცრი კონტროლი დაწესდეს მიწაზე გადასახადის დადგენილი ტარიფების ზუსტ დაცვაზე, რადგან ზოგიერთ რაიონში ეს მაჩვენებელი არ არის დიფერენცირებული და ყველგან დაწესებულია რაიონის საშუალო პროცენტი და ყურადღება არ ექცევა ნიადაგის ნაყოფიერებას.

წამყვან აგრარულ ქვწყნებში ფართოდ არის გავრცელებული ფერმერულ მეურნეობათა კავშირები, მომსახურე და მომმარაგებელ კოოპერატივებთან. ჩვენში ეს ფუნქციები სწორი და შემოქმედებითი ორგანიზაციის პირობებში წარმატებით შეიძლება განახორციელონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საწარმოო-ტრქნიკური მომსახურების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულმა გაერთიანებებმა. მათ სარგებლობაში უნდა გადავიდეს ყოფილ საზოგადოებრივ მეურნეობათა ტექნიკა, დამზადების, მანქანა-ტრაქტორთა ექსპლუატაციისა და რემონტის ფუნქცია, თავიანთი ბაზებითა და სასაწყობო მეურნეობებით, რაც შეეხება შტატს და სტრუქტურას იგი დიფერენცირებულად უნდა გადაწყდეს და მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწოს. პროპორციული თვალსაზრისით ეს

იქნება მობილური, კომერციული ორგანიზაცია, რომელმაც მწარმოებელს და ბაზარს შორის შუამავლის როლი უნდა შეასრულოს.

კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე სასურველია რაიონის შიგნით მას ჰქონდეს ფილიალები, ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი დაკავებული უნდა იყოს მხოლოდ პროდუქციის წარმოებით და მას არ უნდა უხდებოდეს იმაზე ზრუნვა, თუ სად შეიძინოს წარმოებისათვის საჭირო ესა თუ ის საშუალება და როგორ და რა არხებით მოახდინოს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

იმისათვის, რომ კერძო მეურნეობების მფლობელებს არ შეექმნათ სიძნელეები, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების დამამზადებელ და გადამამუშავებელ ორგანიზაციებს შორის ინტრგრაციას. პროდუქციის რალიზაციის გარდა სამომხმარებლო კოოპერატივებს შეუძლიათ პროდუქციის ნამეტი გადასცენ საკონსერვო და სხვა საწარმოებს მალფუჭადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად, რომელთა აღსადგენად უნდა გამოიყოს სახსრები სახელმწიფოს მხრიდან.

თავი III. კახეთის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შემოსავლების ზრდის საშუალებები და გზები

3.1 მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა და ფორმირების წყაროები

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ზოგადად მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილიც არის მოსახლეობის შემოსავლები.

შემოსავლების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ძალზე დიდია. ისინი განსაზღვრავენ მოთხოვნას სამომხმარებლო საქონელზე და მისი მეშვეობით ფერმის ან ფირმის წარმოების მასშტაბებზე, მის სტრუქტურასა და მოგების ზრდაზე, რაც თავის მხრივ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და შემოსავლების ზრდის მამოძრავებელ ფაქტორად იქცა.

მოსახლეობის შემოსავლები ეს არის ფულად და ნატურალურ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის დანიშნულება არის შრომითი რესურსების ფიზიკური, მორალური, ეკონომიკური და ინტელექტუალური მდგომარეობის შენარჩუნება. იგი ზემოქმედებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების განსაზღვრულ დონეზე. მისი ფორმირება ადამიანის საკუთარი შრომისა და სხვა წყაროების ხარჯზე ხორციელდება.

მოსახლეობის შემოსავლები შეიძლება იყოს: შრომითი და არაშრომითი, ფულადი, ნატურალური, ერთობლივი, საერთო და განკარგვითი (ანუ საბოლოო შემოსავალი), რეალური.

ფულადი შემოსავლები წარმოადგენს ფულად თანხას მიღებულს ხელფასის, პენსიის, სტიპენდიის, დივიდენდების, პირადი მეურნეობიდან გაყიდული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები და სხვა. მთლიანობაში ფულადი შემოსავლები შედგება შრომითი და ეკონომიკურად დასაბუთებული შემოსავლების ჯამისაგან.

ნატურალური შემოსავლები – ეს არის პირადი მეურნეობიდან მიღებული ნატურალური პროდუქციის ღირებულება, რომელიც ოჯახის მოხმარების მიზნით გამოიყენება; მოსახლეობისათვის სოციალური ფონდებიდან გაწეული უფასო ან შეღავათიანი მომსახურება (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ტრანსპორტის, კვების და სხვა).

ერთობლივი შემოსავლები, საზოგადოების პოტენციური მოხმარების შესაძლებლობის საზომია და მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელია და მოიცავს ფულადი და ნატურალური შემოსავლების ყველა სახეს. ერთობლივ შემოსავლებში სხვადასხვა სახის შემოსავლების თანაფარდობას შემოსავლების სტრუქტურა ეწოდება.

ოჯახის მიერ ერთობლივი შემოსავლები გამოიყენება ოჯახის საარსებო მოთხოვნილების (სასურსათო პროდუქტების, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ხარჯების) დაკმაყოფილების დასაფარავად და დაგროვების ფონდის შესაქმნელად.

საქართველოს სტატიტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემების მიხედვით ერთობლივი საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე საშუალოდ შეადგენს 146,4 ლარს, ხოლო ფაქტიურად საარსებო მინიმუმით გავალისწინებული ხარჯების ჯამი გაცილებით მეტია ვიდრე ერთობლივი შემოსავლები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე რეალური შემოსავლების ცნება. იგი არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის მიერ მატერიალური

სიკეთისა და მომსახურეობის მოხმარებისა და დაგროვებისათვის. რეალური შემოსავლები განისაზღვრება გარკვეული პერიოდებისათვის. იგი დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებაზე. რეალური შემოსავლები შეიძლება გაიზარდოს შემოსაცლების ზრდისა და ფასების უცვლელი დონის პირობებში და შემცირდეს უცვლელი შემოსავლებისა და სამომხმარებლო ფასების ზრდის პერიოდში.

ოჯახების შემოსავლებს განასხვავებენ მისი წყაროების მიხედვით. ფასების სტაბილურობის პირობებში ინტერესის საგანია ცალკეულ პირთა ან ოჯახის შემოსავლების განაწილება, რომლის წევრებიც ერთად ცხოვრობენ, იმყოფებიან ქორწინებაში ან ნათესაურ კავშირში. ოჯახების ერთობლივი შემოსავლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება დემოგრაფიული ფაქტორები. ამგვარი ფაქტორებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ოჯახების სიდიდე, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს სულადობრივი შემოსავლების დონეს. შემოსავლების ოდენობაზე ზემოქმედებს აგრეთვე ისეთი სახის შემოსავლების სიდიდე, როგორიცაა შემწეობები, პენსიები, ოჯახების უფასო და შეღავათიანი მომსახურება.

საბაზრო მეურნეობრიობისათვის დამახასიათებელი ყველაზე მკაფიოდ გამოვლენილი შედეგი ეს არის ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობა და მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია. ამასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად დიდია მათი ქონების მიხედვით ფენებად დაყოფის ხარისხი. მოსახლეობის შემოსავალი რაოდენობრივი თვალსაზრისით კი საკმაოდ უთანაბროა, რამაც განაპირობა სიმდიდრის არათანაბარი დაგროვება და მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია.

შემოსავლების დიფერენციაცია ობიექტური მსჯელობის საშუალებას იძლევა მოსახლეობის განსხვავებული სოციალური

ჯგუფების და ფენების მდგომარეობის შესახებ. შემოსავლების განაწილება, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, პირველ რიგში განიხილება ფუნქციონალური კუთხით ანუ მიღებული ერთობლივი შემოსავლების რა ნაწილი მოდის წარმოების შესაბამის ფაქტორებზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოსავლების ფუნქციონალური განაწილების მიხედვით ხელფასზე და მის დანამატებზე მოდიოდა მთელი შემოსავლების 70%, კორპორაციულ შემოსავლებზე – 12%, კერძო მესაკუთრეთა შემოსავლებზე – 9%, პროცენტულ შემოსავლებს ეჭირა – 7%, ხოლო სარენტო შემოსავლებს – 2%.

შემოსავლების ფუნქციონალური განაწილების გარდა მნიშვნელოვანია ქვეყანაში შექმნილი შემოსავლების განაწილება ოჯახებსა და ცალკეულ პირებს შორის. ოჯახის შემოსავლებს განასხვავებენ მისი წყაროების მიხედვით. შემოსავლების დიფერენციაციის მიზეზებს მიეკუთვნება არათანაბარი შემოსავლები საკუთრებიდან, არათანაბარი საწყისი პირობები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისთვის, მეწარმეობისათვის, ბიზნესისათვის, ცალკეული მუშაკების შედარებით დაბალი ანაზღაურება, უმუშევრობა, მემკვიდრეობითი საკუთრება, მეწარმის უნარი. სოციალური გრაფიკული მეთოდი, რომელიც დამუშავებულია ამერიკელი ეკონომისტის მაქსიმ ლორენცის მიერ, ლორენცის მრუდი საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს კითხვაზე როგორია ერთოლივ შემოსავლებში ცალკეული ოჯახის წილი. ჰორიზონტალურ ღერძზე აღნიშნულია მოსახლეობა პროცენტულ გამოხატულებაში უღარიბესიდან უმდიდრეს ფენამდე, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე – მათი მიღებული შემოსავლის პროცენტული რაოდენობა.

ლორენცის მრუდი გვიჩვენებს, თუ ერთობლივ შემოსავლებში რა წილი ეკუთვნის მოსახლეობის თვითეულ ჯგუფს, დაწყებული

უღარიბესიდან დამთავრებული უმდიდრესით, რაც უფრო შორსაა დიაგონალის ხაზიდან მრუდი, მით უფრო ნაკლებად თანაბარია შემოსავლების პერსონალური განაწილება. (ნახაზი 1.)

ნახაზი 1.

ლორენცის მრუდი



თუ ოჯახების მცირე ნაწილი ღებულობს შემოსავლების მთელ მოცულობას, მაშინ ლორენცის მრუდი დაემთხვევა ჰორიზონტალურ ღერძს, ხოლო თუ ყველა ოჯახს აქვს შემოსავლების ერთნაირი დონე და ოჯახების ქვედა 20% ფლობს შემოსავლების 20%-ს, 40% ფლობს მის 40%-ს და ა.შ. ამ შემთხვევაში ნახაზზე ლორენცის მრუდი წარმოადგენს პირდაპირ ხაზს, რომელსაც ეწოდება „აბსოლიტური თანასწორება“.

ლორენცის მრუდი შემოსავლების თანასწორობის ილუსტრირების საშუალებას იძლევა, რაც უფრო ახლოს არის

დიაგონალურ ხაზთან, მით უფრო მაღალია შემოსავლების თანაბრობის ხარისხი.

მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის ერთობლივი შემოსავლების განაწილების დასახასიათებლად გამოიყენება აგრეთვე შემოსავლების კონცენტრაციის ინდექსი ანუ კორადო ჯინის კოეფიციენტი. იგი არის დიაგონალსა და ლორენცის მრუდს შორის მოქცეული ფართობის შეფარდება დიაგონალის ქვემოთ მოქცეულ ფართობთან, კერძოდ დაშტრიხული სეგმენტი **OABCDE** გვიჩვენებს შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ხარისხს. რამდენადაც მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო მეტია შემოსავლების უთანაბრობა.

ცხრილი 3.1.1

შინამეურნეობების განაწილება შემოსავლების მიხედვით
ქალაქ-სოფლის ჭრილში (2008 წელი, პროცენტი)

	ქალაქი	სოფელი	სულ
	2008 წელი		
101 ლარამდე	7,6	8,2	7,9
101-300 ლარი	31,5	36,8	33,6
301-500 ლარი	20,6	24,5	22,6
501-1000 ლარი	26,1	23,0	24,6
1001-2000 ლარი	10,8	6,9	8,9
2001-5000 ლარი	2,8	1,5	2,1
5001 ლარი და მეტი	0,5	0,1	0,3
სულ	100	100	100

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

ჯინის კოეფიციენტი იცვლება ნულიდან (თანაბარი განაწილება) ერთამდე (აბსოლიტურად არათანაბარი განაწილება).

საქართველოში ბოლო პერიოდში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით იზრდება 2005წ. – 0.44; 2006წ. – 0.45; 2007წ. – 0.46 და 2008წ. – 0,48; რაც ცხადია ცხოვრების უთანაბრობაზე მეტყველებს.

პირველ ცხრილში მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის 7.9%-ის შემოსავლები მხოლოდ 100 ლარამდეა, ანუ მათ თითქმის არანაირი შემოსავლები არ გააჩნიათ. დაახლოებით 23%-ის შემოსავლები 301-500 ლარის ფარგლებში მერყეობს, 9%-იღებს 1000დან 2000 ლარამდე, 2.1%-იღებს 2001-დან 5000 ლარამდე, ხოლო 0.3% 5000 ლარს და მეტ შემოსავალს, რაც მიუთითებს ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მაღალ დონეზე. კერძოდ, შინამეურნეობებს რომელთაც საშუალო თვიური შემოსავლები დაბალი აქვთ, იქ დასაქმების პრობლემაა და სადაც მაღალია იქ პირიქით.

დიაგრამ 3.1.1

შინამეურნეობების შემოსავლების პროცენტული დაყოფა



საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში (იხ. დანართი 10).

როგორც მეათე დანართის მონაცემებიდან ჩანს შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი (ფულადი და არაფულადი) ყველაზე მაღალია თბილისში (664 ლარი), შემდეგ იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი,ქვემო სვანეთში (541.1ლარი), ხოლო კახეთში 446 ლარი. საქართველოში შინამეურნეობის არაფულადი შემოსავლები მთლიანი შემოსავლების 16.1-ს შეადგენს, ხოლო კახეთის რეგიონში 23.3-ს.

მთლიანი შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ, თბილისში საგრძნობლად მაღალია რეგიონებთან შედარებით. კახეთის რეგიონში ისევე როგორც სხვა რეგიონებში შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავლები სოფლის-მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან და არაფულადი შემოსავლები, ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება წარმოადგენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით რეგიონებში შრომითი შემოსავლები არასაკმარის საფუძველს ქმნის ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია რეგიონების ოჯახების კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ის რომ რეგიონების მოსახლეობის შემოსავლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან ნატურალური სახით მიღებულ შემოსავალს მაღალი წილი უჭირავს, რეგიონებში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

შემოსავლების განაწილება კახეთის რეგიონში საკმაო უთანაბრობით ხასიათდება. შემოსავლების განაწილების უთანაბრობის უკეთ დასახასიათებლად კახეთის მხარისა და თითოეული რაიონისათვის გამოანგარიშებულ იქნა ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობები. კახეთის რეგიონისათვის მთლიანი შემოსავლების

მიხედვით გაანგარიშებულმა მაჩვენებელმა 0.48 შეადგინა, რაც საქართველოსათვის გამოთვლილ
შესაბამის ინდექსთან (0.50) შედარებით ოდნავ ნაკლებია.

კახეთს შინამეურნეობების არაფულადი შემოსავლები მთლიან შემოსავლების 54 პროცენტს შეადგენს. არაღარიბთა შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია (56 პროცენტი), ვიდრე ღარიბი ოჯახებისათვის (48 პროცენტი). (იხ. ცხ. 3.1.2)

ცხრილი 3.1.2

ღარიბი და არაღარიბი შინამეურნეობების სტრუქტურა (პროცენტი)

		სულ	არაღარიბები	ღარიბი
ფულადი შემოსავლები	შრომითი შემოსავლები	16,7	14,3	24,8
	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	20,4	22,5	13,2
	ქონებიდან (გაქირავებიდან,დანაზოგიდან და სხვა)	0,3	0,3	0,3
	პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	4,4	3,1	9,0
	ტრანსფერები (ახლობებისაგან დახმარება და საზღვარგარეთიდან გზავნილები)	4,1	3,8	4,9
	ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, სულ	45,9	44,0	52,3
არაფულადი შემოსავლები		56,0	54,1	47,7
ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ		100	100	100

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

კახეთის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წამოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, რომლის წილადაც მთლიანი (ფულადი და

არაფულადი) შემოსავლის 20 და ფულადი შემოსავლის 44 პროცენტს შეადგენს. აღსანისნავია, რომ ღარიბი ოჯახებისათვის ეს წყარო ნაკლებად მნიშვნელოვანია (მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 13 პროცენტი) და მათთვის შრომითი შემოსავლები (ხელფასი დაქირავებით მუშაობიდანდა თვითდასაქმებიდან მოგება) მეტ მნიშვნელობას იძენს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ღარიბთა მთლიანი შემოსავლის მეოთხედი შრომით შემოსავლებზე მოდის, ხოლო იგივე მაჩვენებელი არაღარიბთათვის 14 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს, არაღარიბი ოჯახების მთლიანი შემოსავლების 22.5 პროცენტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვაზე მოდის, ხოლო ღარიბთათვის ეს წილი 13 პროცენტია.

მოყვანილი მსჯელობა ცხადს ხდის, რომ კახეთის რეგიონში შრომითი შემოსავლები არასაკმარის საფუძველს ქმნის ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ეგრეთ წოდებული არააქტიური ტიპის შემოსავლები, როგორიცაა დახმარებები და ტრანსფერები მთლიანად კახეთის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროებს არ წარმოადგენენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის შემოსავლების ჯამი ღარიბი ოჯახებისათვის ორჯერ უფრო დიდი მნიშვნელობისაა (მთლიანი შემოსავლების 14 პროცენტი), ვიდრე არაღარიბთათვის (7 პროცენტი). ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღარიბი შინამეურნეობების სოციალური მდგომარეობა მეტად დამოკიდებულია სოციალური ტიპის შემოსავლებზე.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია კახეთის რეგიონის ოჯახების კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ეს დასკვნა მეტ დამაჯერებლობას იძენს იმ ფონზე, რომ კახეთის მოსახლეობის დაახლოებით 80 %

სოფლის ტიპის დასახლებებზე მოდის

ფულადი რესურსების მწვავე დეფიციტი სოფლად სტრუქტურული, პერმანენტული ხასიათის პრობლემაა. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა შემოსავლების სტრუქტურა ქალაქ-ოფლის მიხედვით. სოფლად შემოსავლის ძირითად წყაროს შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან და არაფულადი შემოსავლები ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება წარმოადგენს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალზე, პირუტყვის პროდუქტიულობაზეა დამოკიდებული.(იხ.ცხ.3.1.3)

შრომითი შემოსავლები სოფლებში არსებითად მცირეა ქალაქთან შედარებით. მართალია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან შემოსავლები სოფლად მეტია, ვიდრე ქალაქში, მაგრამ საბოლოო ჯამში სოფლად ოჯახები ფულად შემოსავალზე გაცილებით ნაკლებად არის დამოკიდებული, ვიდრე ქალაქის შინამეურნეობები. არაფულადი შემოსავლის წილი სოფლად მთლიან შემოავალში 58 პროცენტს შეადგენს, ხოლო ქალაქის ოჯახებში მხოლოდ 27 პროცენტს.

საინტერესოა, რომ მთელი შემოსავალი, როგორც ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ, ასევე შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ექვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით, სოფლად საგრძნობლად მეტია, ვიდრე ქალაქად. ეს ნაწილობრივ ობიექტური რეალობის ასახვაა, მაგრამ სავარაუდოდ გამოწვეულია იმითაც, რომ ქალაქის მოსახლეობის შემოსავლების სოლიდური ნაწილი ოფიციალურად აღურიცხავია და შეასაბამისად, გამოკვლევის შედეგად მისი მთლიანად გამოვლენა ჭირს. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ქალაქად შემოსავლები უფრო მეტად პოლარიზებული იყოს, ვიდრე ამას გამოკვლევით მიღებული

მონაცემები აჩვენებს.

ცხრილი 3.1.3

შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურა მათი წარმოშობის მიხედვით (ქალაქ-სოფლის ჭრილში. %-ი, 2004წელი))

		ქალაქი	სოფელი
ფულადი შემოსავლები	შრომითი შემოსავლები	48,2	12,3
	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	8,2	22,1
	ქონებიდან (გაქირავებიდან, დანაზოგიდან % და სხვა)	0,5	0,3
	პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	6,6	4,1
	ტრანსფერები (ახლობებისაგან დახმარება და საზღვარგარეთიდან გზავნილები)	9,3	3,3
	ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, სულ	72,8	42,1
არაფულადი შემოსავლები		27,2	57,9
ფულადი და არაფულადი სახსრები,სულ		100	100

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

მთლიანობაში, ის, რომ კახეთის მოსახლეობის შემოსავლებში არაფულად, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს ამდენად მაღალი წილი უჭირავს და კახეთის რეგიონში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

სოციალური დახმარება – სახელმწიფოს და არაკომერციული ორგანზაციების მიერ მოსახლეობის ყველაზე მეტად გაჭირვებული ჯგუფისადმი სიკეთისა და მომსახურების გაწევაა, იმ გამოკვლევის ჩატარებისა და შემოწმების საფუძველზე, რომელიც გამოავლენს, თუ

რა დონეზე იმყოფებიან ისინი, ანუ რამდენად საჭიროებენ დახმარებას. სოციალური დახმარების ობიექტია მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები, რომელთა შემოსავლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, აგრეთვე ისინიც, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ გარკვეულ პერიოდში საცხოვრებელი პირობების მხრივ. მოსახლეობის ამ ჯგუფს სახელმწიფო სთავაზობს მხარდაჭერას მათი შემოსავლების შემოწმების პირობით. სოციალური დახმარების განხორციელების მექანიზმი არსებითად დაიყვანება ბიუჯეტის შემოსავლების გადანაწილებაზე, რომელიც მიიღება ყველა გადამხდელისაგან. სოციალური ტრანსფერტების სისტემის მეშვეობით, სოციალური დახმარების ფორმით, რეალიზდება მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის მინიმალური შემოსავლების მიღების გარანტია. სახელმწიფოს მიერ გაწეული ფულადი და მატერიალური დახმარების გარდა, სოციალური დახმარების სისტემა მოიცავს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ქველმოქმედების ფორმებს პროფკავშირების, საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების ხარჯზე.

სოციალური გარანტიების სისტემა სთავაზობს ყველა მოქალაქეს მნიშვნელოვანი სოციალური სიკეთისა და მომსახურების გაწევას, შრომითი წვლილისა და მათი ცხოვრების დონის ყოველგვარი შემოწმების გარეშე, საზოგადოების ხელში არსებული რესურსების შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრავს მოცემული გარანტიების ზომას. ასეთი გარანტიების დონე და მასშტაბები მუდმივი არ არის და იგი იცვლება ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე. ტრანსფერტების ეს ფორმა დაფუძნებულია ქვეყანაში არებული დაბეგვრისა და საბიუჯეტო დაფინანსების ზოგად პრინციპებზე. საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა ძალზე შეზღუდულია, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამოდინარე, იგი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის არსებითი

ზრდის ხარჯზე, რომლის გარკვეული მოცულობაც მიმართული იქნება მოსახლეობის სოციალური გარანტიების შექმნაზე.

ტრანსფერტები, რომლებიც ხორციელდება სოციალური დაზღვევის სისტემის მეშვეობით, მოწოდებულია დაიცვას მოსახლეობა სხვადასხვა სოციალური რისკისაგან, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შრომისუნარიანობის და შესაბამისად, შემოსავლების დაკარგვა. მათ შორის: ავადმყოფობა, საწარმოო ტრამვა, პროფესიული დაავადება, უბედური შემთხვევა, სამუშაოს დაკარგვა, სიბერე, მარჩენალის დაკარგვა და ა.შ.. ასეთი კატეგორიის ტრანსფერტებისათვის დამახასიათბელია თანხების წინასწარი აკუმულირება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევისათვის მისი გადახდის მიზნით.

საქართველოში ყველაზე ფართოდ გამოიყენება სოციალური ტრანსფერტების ისეთი სახეები, როგორიცაა შემწეობა, პენსია და სტიპენდია. სოციალურ ტრანსფერტს ფართო გაგებით, მიეკუთვნება სხვა სახელმწიფო დანახარჯებიც (თუკი ასეთ ხარჯებს სახელმწიფო იღებს თავის ტავზე), როგორიცაა საწარმოს და ორგანიზაციების დაფინანსება და მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება.

2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისა და ქვემოთ მითითებულ კატეგორიებზე (მათ შორის, დევნილთა ოჯახებზე) 2007 წლის 1 იანვრამდე აღნიშნული ყოველთვიური დახმარებების გაცემა გაგრძელდა შემდეგი ოდენობით:

1. მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიან ოჯახზე-22 ლარი, არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიან ოჯახზე-35 ლარი;
2. დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მეურვის შრომიუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე-22 ლარი;

3. არამომუშავე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლოებზე, ერთ პირზე-22 ლარი;
4. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ერთ ბავშვზე-22 ლარი;
5. მრავალშვილიან ოჯხზე, რომელსაც ჰყავს 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი-35 ლარი.

უმუშევრობის შემწეობა გაიცემა მინიმალური პენსიის (55 ლარის) ოდენობით. შემწეობის გაცემის ხანგრძლივობა განისაზღვრება უმუშევრობის 6 თვის ვადით. ამ დახმარების მისაღებად მათ უნდა ჰქონდეთ უმუშევრობის სტატუსი, რისთვისაც საჭიროა გაიარონ რეგისტრაცია. შემწეობის ასეთი დაბალი ოდენობა, სტიმულს უკარგავს ადამიანს რეგულარულად დააფიქსიროს თავის თავი, როგორც უმუშევარი.

სახელმწიფო საპენსიო სისტემაც ნაკლოვანებით ხასიათდება, ფიქსირებული განაკვეთი, რომელსაც ქვეყანაში პენსიონერთა უმეტესობა იღებს, ბევრად ჩამორჩება საარსებო მინიმუმის დონეს.

საარსებო მინიმუმის ცნება განმარტებულია საქართველოს კანონში „საარსებო მინიმუმის გაანგარისების წესის შესახებ“. კერძოდ, მუხლი 2 - „საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“.

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა კი არის კვების პროდუქტების განასაზღრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი

საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას.

კანონის შესაბამისად, საარსებო მინიმუმი გაიანგარიშება ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე, მიმდინარე (შესყიდვის) საშუალო ფასების მიხედვით. ნორმატიული მეთოდის გამოყენებით ფორმირდება სასურსათო კალათა, რომელიც ითვალისწინებს კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალურ ნორმებს, ხოლო სტატისტიკური მეთოდით განისაზღვრება დანახარჯები არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც ითვალისწინებს მოხმარების ფაქტიურ დონეს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ყოველთვიურად საარსებო მინიმუმის ღირებულების გასაანგარიშებლად ამ კალათაში შემავალი ინგრედიენტები ფასდება ქვეყანაში არსებული საშუალო ფასების მიხედვით, ამის შემდეგ კი მიღებული სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0,7 (ანუ მიღებული საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით.)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების საფუძველზე, ანგარიშობს სასურსათო მინიმუმს, ხოლო დანარჩენს საარსებო მინიმუმს (არასასურსათო საქონელს, აგრეთვე მომსახურეობის, გადასახადების და სხვა მოცულობას) განსაზღვრავს იმ თანაფარდობიდან გამომდინარე, რომელიც უკვე პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია მოცემულ პერიოდში. ამჟამად საქართველოში სურსათსა და სხვა სამომხმარებლო ღირებულებათა შორის თანაფარდობა შეადგენს 0,72/0,28, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის მთლიანი დანახარჯების 72% სურსათზე

მოდის, ხოლო 28% არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე. ამჟამად სასურსათო კალათის ღირებუ;ლება ერთ სულზე თვეში შეადგენს – 156.6 ლარს, მაშინ დანარჩენი ღირებულების მოცულობა საარსებო მინიმუმამდე იქნება:

0.72 – 158 ლარი

0.28 – X ლარი

$$X = \frac{158*28}{72} = 60.4 \qquad 60.4+158=218.4$$

მაშასადამე საარსებო მინიმუმი შეადგენს 218.4 ლარს. ასეთნაირად პირველ რიგში დგინდება შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი, ხოლო დანარჩენი კატეგორიებისათვის გამოიყენება შრომისუნარიანი მამაკაცის მიმართ დადგენილი ნორმატივები კოეფიციენტების მიხედვით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ჩანს (იხ.დანართი 11), რომ ერთ სულზე სასურსათო პროდუქტებზე გაწეულმა ხარჯებმა თვეში შეადგინა 158 ლარი. არასასურსათო საქონლის მოხმარების ხარჯებმა 12.1 ლარი, ხოლო მომსახურეობის სამომხმარებლო ხარჯებმა – 48.3 ლარი. მაშასადამე, შრომისუნარიანი მამაკაცის რეალური მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი თვეში 218.4 ლარია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების ღირებულების ცვალებადობის შესაბამისად ყოველწლიურად. კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასი თვეში – 115 ლარია (2003წ.) ოდენობით, რაც სამომხმარებლო ბიუჯეტის მხოლოდ 52.7%-ია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით კი 2010 წლის ნოემბერში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 149,5 ლარით განისაზღვრა, რაც 2009 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 24,8 ლარით მეტია. საშუალო

მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 132,4 ლარია, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 21,9 ლარით მეტია. 2010 წლის ნოემბერში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი კი 250,8 ლარით განისაზღვრა, რაც 2009 წლის ნოემბრის საარსებო მინიმუმის მზჩვენებელზე 41,6 ლარით მეტია. ექსპერტები საარსებო მინიმუმის გაზრდას საკვების გაძვირებას უკავშირებენ. მათივე თქმით აღნიშნული ტენდენცია ქვეყანაში ეკონომიკური არამდგრადობის მაჩვენებელია.

ოჯახის ტიპებს რაც შეეხება, 2010წლის ნოემბერში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 132,4 ლარით განისაზღვრა, ორსულიანისა – 211,9 ლარით, სამსულიანის – 238,4 ლარით, ოთხსულიანის – 264,9-ით, ხუთსულიანის – 298-ით, ხოლო რაც შეეხება ექვსულიან და მეტ წევრიან ოჯახს, მისი საარსებო მინიმუმი 352,3 ლარით განისაზღვრება.

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის მაქსიმალური მაჩვენებელი 2010 წლის ნოემბერში დაფიქსირდა – 132,4 ლარით, ხოლო მინიმალური მაჩვენებელი კი 2004 წლის ივნისში – 70,1 ლარით.

ამრიგად სოციალური ტრანსფერტების დაფინანსების ფორმირების საფუძველი განპირობებული უნდა იყოს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის აუცილებლობით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელი მოსახლეობა ფულადი შემოსავლებისა და საზოგადოებრივი სიკეთის მინიმუმით, რომლის ძირითადი გარანტიები და ამოსავალი პარამეტრები დგება ცენტრალიზებულად და აისახება ქვეყნის კანონმდებლობაში. ვინაიდან სოციალური ტრანსფერტების სისტემა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, იგი არის მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და სამართლიანობის, აგრეთვე, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის მნიშვნელოვანი წინამძღვარი.

3.2 მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხარისხი და სიღარიბის დაძლევის გზები

შემოსავლების განაწილების პრობლემის შესწავლისას უმნიშვნელოვანესია სიღარიბის საკითხების გარკვევა. მისი განხილვა შესაძლებელია ორი მიმართულებით – აბსოლუტური და შეფარდებითი მნიშვნელობით.

სიღარიბე შეიძლება იყოს აბსოლუტური, როცა საარსებო მინიმუმის დონე ანუ მოთხოვნილება საკვებზე, წყალზე, ტანსაცმელზე, ბინაზე განისაზღვრება ფიზიოლოგიური მოთხოვნილების საფუძველზე, ანუ საქონელთა იმ კალათის ღირებულების საფუძველზე, როელიც საკმარისია ადამიანის ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აღსანიშნავია, რომ ყოველი ქვეყანა თავისი სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აყალიბებს სიღარიბის განსაზღვრის საკუთარ მიდგომას.

სიღარიბის ოფიციალური განსაზღვრება შემოთავაზებული იქნა 60-იან წლებში ა.შ.შ-ში, რომლის მიხედვითაც ოჯახი ითვლება ღარიბად, თუ მისი შემოსავალი ნაკლებია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი ოჯახის ნორმალური უზრუნველყოფისათვის გასაწევი ხარჯების გასამმაგებელ რაოდენობაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად აწარმოებს სურსათის მოხმარების ნორმალური დონის აუცილებელი დანახარჯების შეფასებას, რომელიც საკმარისია კვების რაციონის უზრუნველსაყოფად. შემდეგ ამ სიდიდის 3-ზე გამრავლებით მიიღება სიღარიბის ოფიციალური ზღვარი. ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახები კვებაზე, საშუალოდ, საკუთარი შემოსავლის 1/3-ს ხარჯავენ. საქართველოში ღარიბი ოჯახი საკუთარი შემოსავლის 70–80%-ზე მეტს ხარჯავს კვებაზე, რაც მიუთითებს ქვეყანაში ოჯახების შემოსავლების

დაბალ დონეზე.

ზოგიერთი ოჯახი აბსოლუტური მაჩვენებლით არ არის ღარიბი და შეუძლია ფიზიკურად იარსებოს, მაგრამ ადამიანისათვის მარტო ფიზიკური არსებობა საკმარისი არ არის. მდიდარ საზოგადოებაში (მაგალითად ა.შ.შ), მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ჯგუფებს შეუძლიათ იქონიონ ყველაფერი, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის, მაგრამ მაინც ღარიბებად ითვლებიან, რადგან არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ ისეთი მოთხოვნილებები, რაც გამოსულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ფარგლებიდან, მაგრამ ძალზე მიმზიდველია ადამიანისათვის (გართობა, მოგზაურობა, ფულის თავისუფლად ხარჯვა). ასეთი ანალიზი შეფარდებითი სიღარიბის ცნების განხილვას მოითხოვს. ცალკეულ ქვეყნებში სიღარიბის შეფარდებით ზღვრად მიჩნეულია საზოგადოების ყველაზე დაბალშემოსავლიანი ფენების შემოსავლების თანაფარდობა დანარჩენი მოსახლეობის შემოსავლებთან. ასეთი მიდგომით ღარიბებად შეიძლება ჩაითვალონ ისინი, ვისი შემოსავლებიც არ აღემატება ქვეყანაში საშუალო შემოსავლების 50%-ს (შეიძლება 40% ან 60%-ს)

შეფარდებითი სიღარიბის დონე, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ძალზე შორს არის იმ სიღატაკისაგან, რომელიც ღარიბ ქვეყნებში არსებობს და ხშირად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე აყენებს.

სიღარიბის ზღვარი – შემოსავლის ის დონეა, რომლის ქვემოთაც შეუძლებელია ადამიანის კვების მინიმალური დონის და მისი სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ქვეყნისათვის და არ ექვემდებარება სხვა ქვეყნების ანლოგიურ მაჩვენებლებთან შედარებას.

ცხოვრების უფრო მაღალი დონის მქონე საზოგადოებას, სიღარიბის უფრო მაღალი ზღვარი აქვს და ქვეყანაში ცხოვრების

საერთო დონის ამაღლებასთან ერთად, სიღარიბის ზღვრის საზოგადოებრივი გაგებაც იცვლება.

სიღარიბის ზღვრის დადგენა საჭიროა იმისათვის, რომ გამოვლინდეს მოსახლეობის ყველა ჯგუფი, ვისი მეშვეობითაც აღნიშნული დონის ქვემოთ არის, რათა მათ გაეწიოთ ფიქსირებული ოდენობით მიზანმიმართული დახმარება, ან გარკვეული მომსახურება შემოსავლის დადგენილ დონემდე ამაღლებისათვის..

სიღარიბესთან ბრძოლამ რომ სათანადო შედეგი გამოიღოს, აუცილებლად გასათვალისწინებელია სიღარიბის ტიპი. სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკა განსხვავებული უნდა იყოს მოხუცებისა და სტუდენტებისათვის, უმუშევრებისა და ინვალიდებისათვის, მარტოხელა დედებისათვის და ა.შ. ვინაიდან ყველა მათგანისათვის სიღარიბის ზღვრის დაძლევის ალბათობა განსხვავებულია, შესაბამისად უნდა ტარდებოდეს მათთვის სახელმწიფოს ხელშემწყობი პოლიტიკაც.

ამჟამად საქართველოში სოციალური პოლიტიკა და რეფორმები სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და მთავრობის მიერ გრძელვადიან ამოცანად არის მიჩნეული. სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მთავარი მიზნებია სიღარიბის აღმოფხვრა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ხარჯზე, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შრომითი რესურსების დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

ცხოვრების დონე ადამიანთა მატერიალური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხით ხასიათდება. იგი არის შემაჯამეელი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის მოთხოვნილებათა სტრუქტურას და მათი დაკმაყოფილების ხარისხს საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ პერიოდში.

ცხოვრების დონის ზრდა აყალიბებს საზოგადოების უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნისათვის მატერიალურ საფუძველს. პირობები, რომელიც აუცილებელია ცხოვრების ხარისხის ამარლებისათვის, მოიცავს არა მხოლოდ ადამიანთა მოთხოვნილებებს საქონელსა და მომსახურებაზე, არამედ გულისხმობს სოციალურ მხარესაც: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, ჯანმთელობის მდგომარეობას, შრომის პირობებს, ადამიანთა უფლებების დაცვას და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხიანი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მოსახლეობის სოციალური დაცვა, ადამიანთა არჩევანის თავისუფლება, კულტურული, ეროვნული და რელიგიური ურთიერთობათა გაუმჯობესება. დამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის 25-ე მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. აგრეთვე, იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, ინვალიდობის ან არსებობისათვის საჭირო სხვა საშუალებათა დაკარგვის შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები მასზე არ არის დამოკიდებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსაზრვრით, ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სიტემა მოიცავს:

-მატერიალური სიკეთისა და მომსახურების, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მოხმარების საერთო დონეს;

-მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს: ხელფასსა და სხვა შემოსავლების წყაროებს, როგორიცაა პენსია, სტიპენდია, შემწეობა, პირად-დამხმარე მეურნეობიდან პროდუქტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, დივიდენდები და პროცენტები საკუთარი შრომითი

შემოსავლების ინვესტირებიდან წარმოებაში;

-შრომის პირობებს, სამუშაო და თავისუფალი დროის ხანგრძლივობას;

-საცხოვრებელ პირობებს;

-განათლების, ჯანდაცვის და სხვა მაჩვენებლებს;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მის დასახასიათებლად და სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთა შესადარებლად იყენებს ჰუმანური (ადამიანური) განვითარების ინდექს, რომელიც მოიცავს სამ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს: მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და განათლებას.

საქართველო 2001 წლის ჰუმანური განვითარების ინდექსით 76-ე ადგილი დაიკავა 174 ქვეყანას შორის. 1998 წელთან შედარებით, როცა მას 108-ე ადგილი ეკავა, ეს უკეთესი მაჩვენებელია, თუმცა 2000 წელთან შდარებითიგი გაუარესებულია (70-ე ადგილი).

სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში, უნდა იყოს თითოეული შრომისუნარიანი ადამიანისათვის ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ყოველ მათგანს საშუალებას მისცემს მიაღწიოს ცხოვრების ნორმალურ დონეს. აღნიშული მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა მოქალაქისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, შრომის თანაბარი პირობების შექმნა, საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვ ლენისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ცხოვრების დონის შეფასებისათვის საჭიროა განისაზღვროს გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებელი. ასეთს მიეკუთვნება ცხოვრების ღირებულების ინდექსი, რომელიც გამოხატავს დროის გარკვეულ პერიოდში მოხმარებულ სიკეთეთა ფულად ღირებულებას. იგი აჩვენებს, როგორ იცვლება მოხმარებისათვის საჭირო სიკეთეთა

ფულადი ღირებულება, რომელიც აუცილებელია ადამიანთა ცხოვრების გარკვეული დონის შენარჩუნებისათვის. ამასთან, ამ სიკეთეთა ნაკრები, მისი შემადგენლობა შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა პერიოდში, რაც ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ რეალობას შეესაბამება.

ცხოვრების ინდექსის განსაზღვრისას თავდაპირველად შეფასება ხდება საბაზრო, შემდეგ მიმდინარე ფასით, ამის შემდგომ ხდება მიღებული შედეგების შედარება.

დასავლეთის ლიტერატურაში უკვე თითქმის უარი თქვეს „ცხოვრების ღირებულების ინდექსის“ ტერმინზე და შეცვალეს იგი უფრო კონკრეტული მაჩვენებლით „სამომხმარებლო ფასების ინდექსით“. მისი გაანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება აწყდება მთელ რიგ სიძნელეებს. მაგალითად ერთი და იგივე საქონელზე არსებობს განსხვავებული ფასები, ამასთან, საქონლისა და მომსახურების თვისებები მუდმივად იცვლება. ისინი ძველდება და ქრება, მათ ადგილზე ჩნდება ახალი. გამქრალ საქონელს, ბუნებრივია, შეიძლება ჰქონდეს მიმდინარე ფასები, ხოლო ახალს – საბაზისო.

მოსახლეობის ცხოვრების და მისი კეთილდღეობის დონის ანალიზი აუცილებლად გულისხმობს უფასო მომსახურებას ანუ სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი დარგების პროდუქციას, როგორიცაა: განათლება (სკოლამდელი აღზრდის ჩათვლით), სამედიცინო, კულტურული, მოხუცებულთა და შრომისუნარმოკლებულთა და სხვა ისეთ მომსახურებას, რომელიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება ანუ უფასოა მათი მოხმარების მომენტისათვის.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების მეთოდია შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევა.

შინამეურნეობა არის ერთ საცხოვრებელ ფართობზე და ერთი საოჯახო ბიუჯეტით მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გამოკვლევის მიზანი არის ინფორმაციის მიღება მოსახლეობის განსხვავებული ფენებისა და ჯგუფების ცხოვრების დონის შესახებ. ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მოსახლეობის შემოსავლებისა და სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა. დადგინდეს მატერიალური კეთილდღეობის დონეთა შორის სხვაობა ოჯახების შემადგენლობისა და მისი წევრების დსაქმებიდან გამომდინარე; განისაზღვროს შემოსავლების ფორმირებაში ცალკეული წყაროს როლი; დახასიათდეს მოსახლეობის დიფერენციაცია შემოსავლების დონის მიხედვით.

გამოკვლევის ჩატარების მეთოდი გულისხმობს შინამეურნეობის წევრების უშუალო გამოკითხვას მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ.

ხარჯები მოიცავს შინამეურნეობის მოთხოვნილების ხარჯებს და ისეთ ხარჯებსაც, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის მოთხოვნილებასთან.

პირველს მიეკუთვნება ყველა ის ხარჯი, რომელიც გაწეულია ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის შეძენაზე ანდა მომსახურების გადახდაზე, ხოლო მეორეს-საშემოსავლო, საპენსიო, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადები და სადაზღვევო შენატანები, ფულადი გზავნილები, საჩუქრები და ა. შ..

სამომხმარებლო ხარჯები – შინამეურნეობის ან მისი ცალკეული წევრის მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ყველა მიმდინარე ხარჯია. საქართველოში საზღვარგარეთის გამოცდილების საფუძველზე 1996 წლიდან ხდება შინამეურნეობების გამოკვლევა, რომლის ძირითადი მონაცემები გადმოცემულია საქართველოს

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოშვებულ ეკონომიკურ სტატისტიკურ კრებულში, რომლის მიხედვითაც გამოკვლეულია მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, დასაქმება, შემოსავლები, ხარჯები, სიღარიბის მაჩვენებელი, კვების პროდუქტების მოხმარება, ფულადი ხარჯების სტრუქტურის ცვლილება და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

კახეთის რეგიონში სიღარიბე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. შემოსავლების საერთო დაბალი დონიდან გამომდინარე, ყველა ის ოჯახი, რომლის შემოსავალიც მედიანურზე დაბალია, მართებულია ჩაითვალოს ღარიბად. ამ მიდგომის გამოყენებით, გამოკვლევის მონაცემებით კახეთის შინამეურნეობების ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ქალაქ-სოფლის მიხედვით სიღარიბის მონაცემები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. მის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფულადი შემოსავლების შედარებითი თანაბრობის პირობებში სოფლად არაფულადი შემოსავალი ბევრად აღემატება ქალაქში ანალოგიურ მაჩვენებელს.

როგორც პირველი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ ქალაქში სიღარიბის დონე 18 პროცენტამდეა, ხოლო სოფელში-26.2 პროცენტი, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ ქალაქში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 7 პროცენტს, ხოლო სოფლად 11.9 პროცენტს.. მონაცემების მიხედვით, ქალაქებში უკიდურესად ღარიბების წილი თითქმის 2-ჯერ აღემატება სოფლად შესაბამის მაჩვენებელს. ქალაქში სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავის მონაცემებიც ბევრად მაღალია სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ქალაქ-სოფლის მიხედვით სიღარიბის მონაცემები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. მის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფულადი შემოსავლების შედარებითი თანაბრობის

პირობებში სოფლად არაფულადი შემოსავალი ბევრად აღემატება ქალაქში ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი 3.2.1

ფარდობითი მაჩვენებლები ქალაქ-სოფლის მიხედვით
(2008 წელი, პროცენტი)

	ქალაქი	სოფელი	სულ
სიღარიბის დონე			
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	18,0	26,2	22,1
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	7,0	11,9	9,5
სიღარიბის სიღრმე			
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	5,3	8,7	7,0
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1,8	3,6	2,7
სიღარიბის სიმწვავე			
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	2,3	4,2	3,2
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	0,7	1,7	1,2

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

სიღარიბის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დასაქმება. შინამეურნეობაში უმუშევარი წევრების რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება შინამეურნეობის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრის რისკი. ამდენად, ოჯახის

კეთილდღეობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მასში დასაქმებულთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, დასაქმება შეიძლება განხილული იქნას, როგორც სიღარიბიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება..

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ რეგიონში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტი არ არის დასაქმებული. ამასთან ერთად ღარიბი მოსახლეობიდან დასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი არასრული სამუშაო დღითაა დასაქმებული. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღარიბი შინამეურნეობების თითქმის ნახევარში, ერთ მომუშავეს საშუალოდ 2 ან მეტი სული ჰყავს სარჩენი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მომუშავე მოსახლეობის 80 პროცენტი თვითდასაქმებულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო სექტორშია დასაქმებული, ხოლო მათგან უდიდესი ნაწილის დასაქმების სფერო საკუთარი წვრილი საოჯახო მეურნეობაა. ამ სახის დასაქმებისათვის კი არასრული სამუშაო დღით მუშაობა ტიპიურია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის საკუთარ საოჯახო მეურნეობაში თვითდასაქმების მაღალი დონე და სასოფლო-სამეურნეო სექტორში საქმიანობის დაბალეფექტიანობა, ბუნებრივია, არახელსაყრელ ფონს ქმნის კახეთის რეგიონში სიღარიბის დაძლევისათვის.

აღსანისნავია, რომ რეგიონში შინამეურნეობის თუნდაც ერთი წევრის არასასოფლო სამეურნეო სექტორში დასაქმება მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის რისკს. ცხრილი 3.2.2დან ცხადად ჩანს, რომ სიღარიბის რისკი გაცილებით ნაკლებია, თუ ოჯახის ორი ან მეტი წევრია დაქირავებით დასაქმებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო სექტორში მუშაობს. ცხრილი

3.2.2დან ჩანს, რომ თვითდასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა არ მოქმედებს დადებითად სიღარიბის დონის შემცირებაზე. ეს კი მეტყველებს ოჯახში ორზე მეტი თვითდასაქმებულის არაეფექტიანობაზე.

ცხრილი .3.2.2

სიღარიბის დონე შინამეურნეობაში დაქირავებული შრომით დასაქმებული და თვითდასაქმებული წევრების რაოდენობის მიხედვით. (2004წელი, პროცენტი)

	დაქირავებით	თვითდასაქმებით	არასასოფლო სექტორში თვითდასაქმებით
არც ერთი დასაქმებული	50,7	66,6	51,2
ერთი დასაქმებული	50,9	43,5	44,9
ორი ან მეტი დასაქმებული	41,8	47,1	41,4

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ შინამეურნეობაში ერთი წევრის დაქირავებით დასაქმება საზოგადოდ ვერ ამცირებს სიღარიბის რისკს.

ზემოთმოყვანილი შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ მთლიანად კახეთის რეგიონში მოსახლეობის არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმება სიღარიბის რისკის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

დასაქმების გავლენა არაერთგვაროვანია ქალაქში და სოფლად.

არასრული სამუშაო დღით დასაქმება და მითუმეტეს, უმუშევრობა განსაკუთრებით მტკივნეულია ქალაქის მოსახლეობისათვის.

ქალაქად სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ არის დასაქმებული, ხოლო სოფლად კი ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ნაკლებია – 32 პროცენტი.

ამავე დროს, კახეთის რეგიონის ქალაქებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მომუშავე მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაქირავებით დასაქმებულია, მაშინ, როცა სოფლად ეს მაჩვენებელი მხოლოდ 13 პროცენტია.

ქალაქშიც და სოფლადაც საკმაოდ მაღალია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა წილი. ქალაქში დასაქმებული ღარიბი მოსახლეობის 51 პროცენტი თვითდასაქმებულია, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 86 პროცენტს აღწევს. სოფლად თვითდასაქმებულთა ასეთი მაღალი მაჩვენებელი, ბუნებრივია, განპირობებულია მოსახლეობის საკუთარ საოჯახო მეურნეობაში დასაქმებით. ქალაქშიც და სოფლად შინამეურნეობის თუნდაც ერთი წევრის დაქირავებით დასაქმება, ამცირებს სიღარიბის რისკს. .

არანაკლებ საინტერესოა სიღარიბის გავრცელება დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის მიხედვით. შინამეურნეობებში, სადაც არცერთი წევრი არ არის დასაქმებული, ბუნებრივია, სიღარიბის დონე ყველაზე მაღალია. სხვა შემთხვევებიდან სიღარიბის დონე ყველაზე ნაკლებია იმ შინამეურნეობებში სადაც დასაქმებული წევრის კმაყოფაზე მხოლოდ ერთი ადამიანია, ანუ თუ დასაქმებულს მხოლოდ თავისი თავი ჰყავს სარჩენი. დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, იზრდება სიღარიბის რისკიც.

მეთორმეტე დანართში მოყვანილია სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლების განაწილება შინამეურნეობების წევრთა რაოდენობის

მიხედვით, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად.

სულადობის მიხედვით მრავალრიცხოვან ოჯახებში, როგორც წესი, ბავშვები ჰყავთ. ამიტომ, მცირეწლოვანი ბავშვების რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება სიღარიბის რისკი. აღნიშნული ფაქტორი კი შობადობის პირდაპირი დემოტივატორია. ეს განსაკუთრებით დამაფიქრებელი ფაქტორია იმ ფონზე, როცა ქვეყანაში და მათ შორის, კახეთის რეგიონში შობადობისა და სიკვდილიანობის შედარებითი სურათი არასახარბიელოა.

ცხრილი.3.2.3

სიღარიბის დონე შინამეურნეობაში დასაქმებულ წევრთა კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის მიხედვით ქალაქში და სოფლად (პროცენტი, 2004 წელი)

	სულ კახეთი	ქალაქი	სოფელი
ერთიდან ორამდე კაცი	37,5	49,7	35,8
ორიდან სამამდე კაცი	53,5	68,9	49,7
სამიდან ოთხამდე კაცი	64,7	83,1	57,8
ოთხი ან მეტი კაცი	71,5	82,4	63,6

წყარო: ცხრილი შედგენილია „საქ.სტატის“ მონაცემების მიხედვით.

დასაქმებული წევრის კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის მიხედვით სიღარიბის გავრცელება კახეთის რეგიონში ქალაქისა და სოფლის მიხედვით არაერთგვაროვანია. საინტერესოა ვნახოთ ქალაქში და სოფლად ამ მაჩვენებლის თანაფარდობა.(ცხ.3.2.3)

მოყვანილი მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდა ოჯახების

გაღარიბების რისკს მკვეთრად ზრდის, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

შინამეურნეობათა წევრების განათლების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას. გამოკვლევის მონაცემების მიხედვით, ოჯახში უმაღლესი განათლების მქონეთა წილის ზრდა სიღარიბის რისკის შემცირებასთან არის დაკავშირებული. იმ ოჯახებში, სადაც წევრთა ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლებითაა, სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე იმ შინამეურნეობებში, რომელთა არცერთი წევრი არ არის უმაღლესი განათლების.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად ბოლო წლებში განათლების (მათ შორის უმაღლესი განათლების) სისტემის ნაკლებეფექტიანი მუშაობისა და ძველი (1991 წლამდე) მიღებული განათლების თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში დაბალი კოტირებისა, უმაღლესი განათლების ქონა მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის რისკს.

მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ კახეთის რეგიონში ცხოვრების დონე დაბალია, ხილო მთი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მძიმე. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემების გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში, უნდა იყოს თითოეული შრომისუნარიანი ადამიანისათვის ისთი პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ყოველ მათგანს საშუალებას მისცემს მიაღწიოს ცხოვრების ნორმალურ დონეს. ამ მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა შრომისუნარიანი ადამიანისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, შრომის თანაბარი პირობების შექმნა, საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

სიღარიბის დაძლევისათვის აუცილებელია სახელმწიფო

პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება, კერძოდ:

-სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გადიდება;

-საარსებო მინიმუმის ბიუჯეტისა და მინიმალური ხელფასის განსაზღვრა;

-შემოსავლების რეგიონალური რეგულირება საარსებო მინიმუმის და ხელფასების რაიონული კოეფიციენტების განსაზღვრის დროს;

-პენსიონერების, ინვალიდების და სხვა პირებისათვის ფულადი ანაზღაურების რეგულირება;

-შემოსავლების გადანაწილების ეფექტური მექანიზმის გამოყენება მცირე შემოსავლიანი მოქალაქეებისათვის (ფისკალური პოლიტიკის გატარება);

-უმუშევრებზე დახმარების გაცემა და სხვა.

თავი IV-რეგიონში შრომის ბაზრის ფორმირება და განვითარება

4.1 შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ძირითადი თავისებურებები და განვითარების ტენდენციები

რამდენადაც შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია, ბუნებრივია იგი ფუნქციონირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუზველზე და აქვს საკმაოდ რთული სტრუქტურა. თანამედროვე, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთელი რიგი ელემენტების არსებობა. სახელდობრ, მისი შემადგენელი ელემენტებია:

-შრომის ბაზრის სუბიექტები;

-შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამები, გადაწყვეტილებები და იურიდიული ნორმები;

-შრომის ბაზრის კონიუნქტურა;

-შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა;

-სოციალური დაცვის სისტემა.

შრომის ბაზრის სუბიექტებია: დამქირავებლები (სამუშაოს მიმცემი, დამსაქმებელი), რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იქნან სახელმწიფო ორგანიზაციების, სააქციო საზოგადოებების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ა.შ. სახით; დაქირავებული მომუშავეები, ვისთვისაც დაქირავებით მუშაობიდან მიღებული შემოსავალი არსებობის მთავარი წყაროა; დაქირავებით მუშაობის მსურველი უმუშევრები, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო და აქტიურად ეძებენ მას (ისინი შეიძლება იყვნენ როგორც უმუშევრის

სტატუსის მქონე მოქალაქეები, ასევე პირები, რომლებიც პირველად გამოდიან შრომის ბაზარზე ან გარკვეული შესვენების შემდეგ სურთ აქტიურ შრომით საქმიანობაში ჩაბმა); დასაქმებულები, რომლებსაც აქვთ სამუშაო, მაგრამ ემუქრებათ მისი აშკარა დაკარგვის საფრთხე ან ეძებენ ახალ სამუშაო ადგილს დამატებითი შემოსავლის მისაღებად; სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით ასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ფუნქციებს. სახელდობრ, ასტიმულირებს ახალ სამუშაო ადგილების შექმნას ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში, შეიმუშავებს ძირითად იურიდიულ ნორმებს და წესებს, არეგულირებს შრომის ბაზარს არაპირდაპირი მეთოდებით, იცავს მისი ყველა სუბიექტის ინტერესებს და ა.შ.

შრომის ბაზრის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო აქტები, წესები, ნორმები. რომლებიც დაარეგულირებენ შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, ზუსტად განსაზღვრავენ მათ უფლებებს, შექმნიან მომუშავეთა შრომის უნარის რეალიზაციისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობენ ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნას, დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას. საკანონმდებლო აქტების, იურიდიულ ნორმებისა და წესების, მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავებაში, სოციალური პარტნიორობის სისტემის ფარგლებში მონაწილეობენ სახელმწიფო, მშრომელთა წარმომადგენლები (უმთავრესად პროფესიული კავშირების სახით) და დამქირავებლები (მეწარმეთა გაერთიანებები).

შრომის ბაზრის კონიუნქტურა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაა. აღნიშნული თანაფარდობიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის

კონიუნქტურა შეიძლება ხასიათდებოდეს: სამუშაო ძალის დეფიციტით – როცა შრომის ბაზარზე მოთხოვნა ჭარბობს სამუშაო ძალის მიწოდებას; სამუშაო ძალის სიჭარბით – როცა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას და წონასწორობით – როდესაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეესაბამება მის მიწოდებას.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა დასაქმების სამსახურების (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო), პროფორიენტაციის, კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრების, სარეკლამო ფირმების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების, ფირმების საკადრო სამსახურების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას.

კრიზისამდე თუ კრიზისის შემდეგ საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სახელმწიფომ უმუშევრობის დასაძლევად ხან დასაქმების სახელმწიფო პროგრამები აამოქმედა და უმუშევართა არმია სამ-სამი თვით „დაასაქმა“ ხანაც ბიზნესმენებს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისათვის წახალისებას დაჰპირდა. ყელაფრის მიუხედავად, ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი მაინც იზრდება, მაგრამ რამდენით, ამაზე არაოფიციალური მონაცემებით ან ჩვენი დაკვირვებით თუ ვიმსჯელებთ. ოფიცილური სტატისტიკა მხოლოდ შარშანდელი მონაცემების არსებობს და თუ სტატისტიკოსებს დავუჯერებთ 2008 წელს საქართველოში უმუშევრობა 16.5-% იყო. გამოდის რომ 1.917.000 აქტიური შრომისუნარიანი ადამიანიდან სამსახური 315 ათას კაცს არ ჰქონდა. საინტერესოა რომ სტატისტიკის დეპარტამენტი უმუშევრობას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ითვლის, რომლის მიხედვითაც უმუშევრად არ ითვლება ის, ვინც მიწის მცირე ნაკვეთს მაინც ფლობს. შესაბამისად სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უმუშევართა სათვალავში არ შედის. საინტერესოა ისიც

რამდენად ზუსტად ითვლის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი საქართველოში უმუშევართა რაოდენობას. როცა ქვეყანაში არც სახელმწიფო შრომის ბირჟა არსებობს და აღარც შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უწყება იყო და 2005 წელს მინისტრიეს განკარგულებით გაუქმდა. შემდეგ სახელმწიფოს მიერ უმუშევართა აღრიცხვა რაიონული გამგეობების, სოციალური სუბსიდიების სააგენტოების მიერ ხდებოდა, მაგრამ აგერ უკვე სამი წელია, უმუშევართა რეგისტრაცია მათაც აღარ ევალებათ. საქართველოში უმუშევრობის შესახებ ინფორმაციის მოძიება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე ვცადეთ, აღმოჩნდა რომ საქართველოზე ანგარიშების წერისას ისინიც სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციას ეყრდნობიან.

ექსპერტების ვარაუდს თუ გავიზიარებთ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოში უმუშევართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და ის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედზე მეტია. ზოგიერთი შეფასებით კი ნახევარსაც აღწევს. რა თქმა უნდა, არც ეს მონაცემებია კონკრეტული ფაქტებით გამყარებული, მაგრამ საკუთარი დაკვირვებისა და დასაქმების სამსახურის მონაცემების შეჯერებით მეტ-ნაკლებად რეალური სურათის მიღება მაინც შეიძლება.

არასამთავრობო, დამოუკიდებელი ორგანიზაციის წევრი ლაშა ლაბაძე (საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია) აღნიშნავს: „ჩვენ გვაქვს ურთიერთობა როგორც სამსახურის მაძიებლებთან, ასევე დამსაქმებლებთან. შემიძლია გითხრათ, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობასი დასაქმების მსურველთა რიცხვი ფაქტობრივად გაორმაგდა. მაგალითად, თუ კრიზისამდე ყოველდღე 20-25 ე.წ. სი-ვი შემოდიოდა, ახლა დღეში 50-60 განაცხადი შემოდის. კომპანიებმაც შეამცირეს კადრებზე მოთხოვნა, ადრე თუ დამსაქმებლებისაგან

კვალიფიციურ კადრებზე თვეში 60-70 განაცხადი შემოდიოდა, ახლა თვეში 20 ვაკანსიაც კი არ გვაქვს.

სამსახურის მაძიებლებიდან 15-20% თუ საქმდება, ზოგი სი-ვი ბაზაში მთელი წლის განმავლობაში შეიძლება იდოს და მისთვის შესაფერისი ვაკანსია ვერ მოიძებნოს.

ზაფხულის განმავლობაში ჩვენმა ასოციაციამ მცირე მონიტორინგი მოაწყო და აღმოჩნდა, რომ შედარებით შენარჩუნებული იყო მოთხოვნა კადრებზე მომსახურების სფეროდან, დისტრიბუტორებზე, კონსულტანტებზე, მიმტანებზე."

ქვეყანაში უმუშევრობის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა დასაქმების ინტერნეტსაიტები და გაზეთები, სადაც ასეთი განცხადებები ქვეყნდება. მაგალითად, გაზეთ „სიტყვა და საქმის" დახმარებით, ამჟამად სამსახურს 3.629 ადამიანი ეძებს, გამოცხადებული კი მხოლოდ 2.298 ვაკანსიაა. ქედან 1.264 ადგილი სწორედ მომსახურების სფეროზე მოდის. გამოდის, რომ ძიებზე, დალაქებსა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე მოთხოვნა ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც არსებობს.

გია ხუხაშვილი (ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში) აღნიშნავს: „კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც სტატისტიკის დეპარტამენტი უმუშევართა რაოდენობას ითვლის, არასწორია და, შესაბამისად, მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები-არაზუსტი. დასაქმებულად მიიჩნევა ისიც კი, ვისაც საკარმიდამო ნაკვეთში ბოსტანი აქვს გაშენებული. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე კრიტიკულია და ეს მნიშვნელოვან სოციალურ რისკს ქმნის"

ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოში უმუშევართა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება. ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის სოციალური ფონი კიდევ უფრო უარესდება. უჭირთ ყველგან, სოფელსა თუ ქალაქში. მოსახლეობის

უმეტესობა მხოლოდ საარსებო მინიმუმის შექმნას ცდილობს. ყველგან გაუსაძლისი მდგომარეობაა. სიღარიბე საქართველოში ერთნაირად შეინიშნება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მთლიანი სამოსახლო ზონებიდან სიღარიბის მაჩვენებელი სოფლად ყველაზე მაღალია. გლეხი მიჯაჭვულია მიწას და მას დამატებითი შემოსავლის წყარო არსაიდან არ აქვს.

საქართველოს ხელისუფლება სიღარიბის დაძლევასთან ბრძოლას არაერთხელ ახსენებს. მრავალი ერთჯერადი პროექტებიც განახორციელა მის დასაძლევად, თუმცა უშედეგოდ. როგორც ჩანს, პრობლემა გაცილებით დიდია და ერთჯერადი პროექტებით მისი მოგვარება თითქმის შეუძლებელია. გლეხს მეტი ყურადღება სჭირდება. რობლემებს ზედაპირულად არ უნდა ვხედავდეთ. ერთი შეხედვით, დახმარების ხელი არაერთხელ გაუწოდა სოფლებს მთავრობამ, მაგრამ ერთჯერადი პროექტები, რაც სოფლების დახმარების მიზნით იხარჯება, არაეფექტურია და არსებულ ვითარებას მხოლოდ მცირე დროით აუმჯობესებს. სოფლების პრობლემა რეალურად ხანგრძლივ ვადას მოიცავს და მისი მოგვარება ახლო მომავალში შეუძლებელია. თუ სოფელი არ აღორძინდა, ქალაქსაც ძალიან გაუჭირდება. მის მაგალითსაც დღეს უკვე ნათლად ვხედავთ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, სოფლის დასახმარებლად მიმართული თანხები არამიზნობრივად იხარჯება. დახმარების არაეფექტურობაც, ძირითადად ამ მიზეზით არის გამოწვეული. ამაზე გლეხები თვითონვე ალაპარაკდნენ. ისინი წუხან, რომ მათი სატკივარი ნაკლებად ესმით. ფიქრობენ, რომ ამიტომაცაა, სოფლის დასახმარებლად გამოყოფილი თანხების არაეფექტური და არამიზნობრივი დახარჟვა.

გურჯაანის, სიღნაღის და თელავის რაიონების სოფლების მცხოვრებთა თქმით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში

გამოყოფილი თანხებით რაიონის ხელმძღვანელობა თავდაპირველად მათ სულ სხვა პრობლემების მოგვარებას დაპირდა, საბოლოოდ კი მხოლოდ ნაკვეთების მისასვლელ გზებზე ხევიდან ამოღებული მიწა დაყარეს და ამას მოხრეშვა დაარქვეს. ცხადია, მოსახლეობის ბრალდებებს რაიონულ გამგეობებში აბსურდული უწოდეს და აღნიშნეს, რომ სოფლის დახმარების პროგრამა რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს. თურმე, ამ წარმატებას გლეხი ვერ ხედავს. საინტერესოა, მაშ ვისთვისაა პროგრამა წარმატებული?! გლეხის ყოფის გაუმჯობებისათვის გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა ხომ თავად გლეხმა უნდა შეიგრძნოს და შედეგმაც არ უნდა დააყოვნოს.

ვერც ექსპერტი პაატა კოღუაშვილი ხედავს ჩვენი ქვეყნის აგროსექტორის წინსვლას. უფრო მეტიც, აცხადებს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ჩვენი ქვეყნის აგროსექტორის მიმართ რაიმე არსებითი სახის მხარდაჭერის ღონისძიებები არ გატარებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეჩაიეობის, ასევე წითელი ყურძნის წარმოების სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ ეპიზოდურად გაღებულ თანხებს. ასე ეპიზოდურად გატარებულ ღონისძიებებს კი შედეგიც ეპიზოდური აქვს და მის ეფექტურობაზე ვერაფერ სასიკეთოს ვერ ვიტყვით. ხელისუფლებაში გამეფებული იყო და არის აზრი,-აცხადებს კოღუაშვილი, რომ ამ სექტორს დარგთაშორის თავისუფალ კონკურენციაში ჩაბმა გარედან დაუხმარებლად შეუძლია.

დღეს უკვე თამამად უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა იმ მოდელმა, რომელიც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად აირჩია, მატერიალური წარმოების არც ერთ დარგში არ გაამართლა, მათ შორის აგრარულ წარმოებაშიც. ეს ძირითადად დამყარებული იყო ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციაზე, დარგებისა და დარგთაშორის კავშირების რეგულირების

პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებაზე და სოციალური გარანტიების შემცირებაზე, ამდენად, ულტრა-ლიბერალურმა მოდელმა კრახი განიცადა. აგრარული წარმოება და სოფელი, იქაური ყოფაცხოვრება ვერ აღორძინდება და განვითარდება, თუ ფერმერები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით, ხელმისაწვდომი ფინანსებით, ბაზრებთან კავშირით, კონკურენტული გარემოთი და საქმიანობისათვის აუცილებელი აგრარული სტრუქტურებით.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა ქალაქში გაცილებით მეტია, რადგან იქ განათლებასა და ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობა მეტია. სოფელში ეს დამოკიდებულია საშუალოდ მიწის იმ ნაკვეთზე (1.5 ჰექტარ მიწაზე), რაც ოჯახს გააჩნია, ამასთან ერთად ამინდზე, რომელიც ხშირად არ გვწყალობს. უამინდობამ არაერთხელ გაანადგურა გლეხის ნაშრომი. ამასთან ერთად, ქართველი გლეხი მოწყვეტილია საბაზრო ტენდენციებს. გლეხს თავისი საქმიანობის სწორად წარმართვაში დღეს არავინ ეხმარება, სტრუქტურა თითქმის მოშლილია.

დღეს, სოფლისაგან განსხვავებით, საკურორტო ზონებში, უკეთესი მდგომარეობაა. ამ ადგილების უპირატესობაა, რომ მოსახლეობას სეზონზე დამატებითი შემოსავლები მოეპოვება. საქართველოში ბოლო პერიოდში ტურიზმის სფეროსადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა ბიძგი მისცა ტურიზმის გამოცოცხლებას კახეთის რეგიონშიც. ადგილობრივი ტურისტების მოსაზიდად კახეთის რეგიონს აქვს გარკვეული უპირატესობები, როგორიცაა ისტორიული ძეგლების სიმრავლე და ღვინის ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი. ამასთანავე კახეთს აქვს არაჩვეულებრივი ბუნებრივი პირობები. ეს რეგიონი ცნობილია უამრავი ისტორიულ-კულტურული ძეგლით, არაჩვეულებრივი ლანდშაფტებით და ვაშლოვანის, თუშეთის,

ბაწარა-ბაბანეურის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებით. შესაბამისად იქმნება ხელსაყრელი პირობები ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის და შესაძლოა მალე კახეთი მოგვევლინოს ეკო-ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად საქართველოში. ასევე ვითარდება აგრო-ტურიზმი და ძირითადი აქცენტი ამ სფეროშიც ღვინოზე მოდის. თუმცა ამით მნიშვნელოვნად არაფერი იცვლება. ხალხი ყველგან ერთნაირ სიღარიბეში ცხოვრობს. ზედაპირულად და ერთჯერადად გატარებულ ღონისძიებებს შედეგი, რომ არა აქვს, ამაზე გლეხებიც ერთხმად საუბრობენ, ისინი მეტ დახმარებას, ყურადღებას ითხოვენ. თავიაანთ სატკივარზე ხალხში გასულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ისინი ხმამაღლა ესაუბრებიან.

მთავარია სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში შემცირდეს, ამისათვის კი მთავარი სამუშაო ადგილების შექმნა-მოსახლეობის დასაქმებაა, რაც სოფლის ფეხზე დაყენების ერთ-ერთ გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ურთულეს პრობლემად იქცა სამუშაოზე (თუნდაც მძიმე და დაბალანაზღაურებად) მოწყობა. შედეგად კი სოფლად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, შრომის ბაზარზე განსაკუთრებით დაუცველნი აღმოჩნდნენ ახალგაზრდები, ამ ფონზე შემცირდა ქორწინებისა და მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები. არადა, ისტორიულად საქართველოში სოფელი წარმოადგენდა ერის გამრავლებისა და გაახალგაზრდავების მთავარ საფუძველს. უმუშევრობა ხომ, ყველაზე მძიმე და დამანგრეველია. მეტიც, ესაა კრიმინოგენულობის ზრდის და ერის დეგრადაციის სათავე. უმუშევრობას მოსდევს შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, დეპრესია. შიმშილს საშოვარზე გამოყავს ადამის მოდგმაც და ნადირიც (მერე მათი ქმედება ერთმანეთს ემსგავსება). უმუშევარი (დაუსაქმებელი) კაცი ფუნქციას კარგავს ოჯახში, ჩანაგდება და ჩიავდება, ლოთობს, უძლურდება, თავის მოქმედებას ვერ მართავს.

მაღალი მატერიები არ აგონდება და ჩვენც ნუ მოვთხოვთ. . . ვინც მის დღეში არ ყოფილა, ის ვერ გაიგებს ამ განცდას. დასაქმების პრობლემა არის და უნდა იყოს ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი.

სოციალური დაცვის სისტემა თანამედროვე შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ელემენტია. საბაზრო პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა მომუშავეთა გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლება და უმუშევრობის არსებობა. გამოთავისუფლებულ პერსონალს უმუშევრობის პერიოდში ჭირდება ფინანსური დახმარება, გადამზადება, რათა შეძლონ შრომით საქმიანობაში ხელახალი ჩაბმა. ამიტომ, შრომის ბაზრის ფუნქციონირება სრულყოფილი ვერ იქნება დახმარებების (შემწეობების) გარეშე, განთავისუფლების შემთხვევაში კომპენსაციების, სწავლის პერიოდში სტიპენდიების და ა.შ. გაცემის გარეშე.

შრომის ბაზრის პარამეტრებზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზოგად ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ მისი ფორმირება ხდება სისტემური კრიზისის პირობებში, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს-არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურს, არამედ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეთნიკურ და მორალურ ასპექტებსაც. და რა თქმა უნდა, ყველაზე საგრძნობ გავლენას შრომის ბაზარზე ახდენს ეკონომიკური კრიზისი. იგი ვლინდება წარმოების დაცემაში, ინვესტიციების შემცირებაში, დასაქმებული მოსახლეობის შემოსავლის დონეებს შორის მკვეთრ, გაუმართლებელ განსხვავებაში. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის გამოკვლევის მონაცემებით, კახეთის რეგიონის მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ნაწილის 20%-ის ფულადი შემოსავლები 9-ჯერ აღემატებოდა ყველაზე დაბალშემოსავლიანი ნაწილის 20%-ის შემოსავლებს.

ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება, უმუშევრობის გაზრდა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის აქტივიზაციის შესაძლებლობის შემცირება. მიზანმიმართული სახელმწიფო ინვესტიციების შემცირების გამო დაირღვა ეფექტური შრომითი საქმიანობის სტიმულირებისა და მოტივაციის ადრე მოქმედი (თუმცა არასრულყოფილი) სისტემები. ამ სტიმულირების დეგრადაციის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების ფორმირების მართვის პროცესების დაშლა. სტიმულირების მოქმედი სისტემა განაპირობებს მოსახლეობის მისწრაფებას არა იმდენად კვალიფიციური შრომის გამოყენების სფეროში, რამდენადაც საქმიანობის ისეთი სახეებისადმი, რომელიც მინიმალური განათლებისა და კვალიფიკაციის პირობებში მაქსიმალური შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. რეალური საბაზრო ეკონომიკისათვს დამახასიათებელი შრომის სტიმულირება პრაქტიკულად არ არსებობს. ამ პროცესების შედეგია მოსახლეობის პროფორიენტაციის ცვლილება-მაღალშემოსავლიანი სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის მიმართულებით, საქმიანობის კრიმინალური სახეების ჩათვლით.

შრომის ბაზრის ფორმირების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ პროცესის არასაკმაო ტემპით მიმდინარეობა აბრკოლებს ეკონომიკური ზრდის საბაზრო წანამძღვრების ჩამოყალიბებას. ცხადია, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შრომის ბაზრის რეალური ნიშნების გაჩენაც იმ თვალსაზრისით, რომ აღმოიფხვრა საბჭოთა პერიოდში არსებული სამუშაო ძალის დეფიციტი, თუმცა ეს დეფიციტი ხელოვნური იყო და უკავშირდებოდა სამუშაო ძალის ეფექტურად გამოყენების სტიმულირების არ არსებობასთან.

შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მოსალოდნელია „ზედმეტი“ (მეურნეობის რაციონალური კრიტერიუმების თვალსაზრისით) მომუშავეების გადადინება და მათ შორის კონკურენცია პრესტიჟული და მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების დასაკავებლად. უკვე იგრძნობა განსხვავება ხელფასის დონეში დარგებს, საწარმოებსა და რეგიონებს შორის სამუშაო ძალის გადანაწილებისას.

რეგიონში შრომის ბაზრის ფორმირება ხასიათდება აგრეთვე იმით, რომ დაქირავებულ მომუშავეებს არა აქვთ სოციალური უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილი რეალიზაციის საშუალება. პრივატიზაციის შედეგად ე.წ. „მესაკუთრეთა“ კლასის ჩამოყალიბება ატარებს ფორმალურ ხასიათს, დაქირავებულ მომუშავეებს თავისი საწარმოების აქციების შეძენამ არ მისცა მათ დამოუკიდებლობის ზრდის საშუალება. პირიქით, ადმინისტრაციის მესაკუთრეებად გადაქცევამ (აგრეთვე უმუშევრობის წარმოშობა, პროფესიული მობილობის კრიზისი, საწარმოთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა) გააძლიერა მათი დამოუკიდებლობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომუშავეები ნაკლებად იბრძვიან ხელფასის გადიდებისა და მისი თავისდროული მიღებისათვის, შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ხშირია შემთხვევები, როცა საწარმოების, განსაკუთრებით სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულებების მომუშავეები რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ იღებენ ხელფასს. ეს, რა თქმა უნდა, ისედაც დაბალი ხელფასის პირობებში ინფლაციის გავლენის შედეგად კიდევ უფრო ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას.

შრომის ბაზრის ფორმირების პოზიციიდან მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მომუშავეთათვის დასაქმების სფეროს არჩევის შესაძლებლობების გაფართოება. ცხადია, რომ სამეწარმეო

საქმიანობის განვითარება მინიმალური ხელფასის, აგრეთვე ინდივიდუალური ხელფასისა და შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის დაბეგვრის პირობების დასაბუთებულ სახელმწიფო რეგულირებასთან შეხამებით ხელს შეუწყობს როგორც საკმაო ოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას, ისე მომუშავეთა შემოსავლის ზრდას.

შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი აუცილებლად უნდა შეეთანწყოს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას. დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სპეციფიკა კახეთის რეგიონში, ისევე როგორც საქართველოში, არსებითად ართულებს მომუშავეთა მობილურობის პროცესს, ახალი მოთხოვნებისადმი მათ შეგუებას. ეკონომიკის ინდივიდუალური სექტორის მონოპოლიზაცია, მომსახურების სფეროს განვითარების დაბალი დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დასაქმებული მოსახლეობის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას. იგი ხასიათდება „ვიწრო დარგობრივი“ პროფილის მომუშავეთა მაღალი ხვედრითი წილით. ეს კი ართულებს სამუშაო ძალის დარგთაშორის გადანაწილებას, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის მობილურობის საერთო დონეზე, ამუხრუჭებს სტრუქტურულ გარდაქმნებს. ასეთმა დარგობრივმა სპეციალიზაციამ დაღი დაასვა მოსახლეობის განსახლების სისტემასაც.

ჯერჯერობით სახეზე გვაქვს შრომის ბაზრის შექმნის უპირატესად უწყებრივ-ორგანიზაციული ფორმა. ეს ნათლად ჩანს დასაქმების სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე პირობებიდან. ცხადია, რომ შრომის ბაზრის ფორმირების პროცესისადმი იზოლირებული მიდგომა, თუკი იგი დაკავშირებული არ იქნება ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროს, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობასთან, გაცილებით ნაკლებეფექტური იქნება.

შრომის ბაზრის ფორმირებაზე, ეკონომიკური ფაქტორების სისუსტეზე მოწმობს არა მხოლოდ ხელფასის შრომის საბოლოო შედეგებზე დამოკიდებულების დარღვევა (თუმცა ეს კავშირი ადრეც სუსტი იყო), არამედ ის ფაქტიც, რომ თვით ხელფასი, როგორც სამუშაო ძალის ფასი (შემოსავალი) თანამედროვე პირობებში წინანდელთან შედარებით უფრო ნაკლებად უკავშირდება საარსებო საშუალებების ღირებულებას და ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის არათუ გაფართოებულ, არამედ მარტივ კვლავწარმოებასაც კი. ასე მაგალითად, 2008 წლის დეკემბრის თვის მიხედვით, კახეთის რეგიონის ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური ხელფასი (120.4 ლარი) შეადგენდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის (219.3 ლარი) 54.9%-ს. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორი გარკვეულწილად აფერხებს სამუშაო ძალის ფორმირებას, ასევე გავლენას ახდენს მასზე მომუშავეთა დაბალი პროფესიულ-კვალიფიციური დონე. ეს განპირობებულია იმით, რომ ბოლო წლებში საქართველოში. საწარმოთა უმოქმედობის ან არასრული დატვირთვით მუშაობის გამო მოიშალა მუშათა კადრების უშუალოდ ადგოლზე მომზადების სისტემა, ხოლო უმარლესი განათლებს მქონე კადრების მომზადება ყოველგვარი მოთხოვნის, დასაბუთებისა და პროგნოზირების გარეშე, ქაოსურად მიმდინარეობს. ამიტომ კალიფიციურ კადრებზე შრომის ბაზრის მოთხონა (ასეთი მოთხოვნა აუცილებლად აღმოჩნდება საბაზრო ორიენტაციის საწარმოების განვითარების პირობებში) აუცილებელს გახდის მომუშავეთა მომზადებისა და გადამზადების სისტემის ფართოდ განვითარებას, ახალი კონკურენტუნარიანი, მათ შორის მაღალი სირთულის პროფესიების მიხედვით.

შრომის ბაზრის ფორმირების კიდევ ერთ თავისებურებას საქართველოში წარმოადგენს წარმოების დაბალი ტექნიკური დონე. ფიზიკურად და მორალურად მოძველებული, დაბალმწარმოებლური

მოწყობილობების დიდი რაოდენობით არსებობა. ერთის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში ეს ზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე და ზღუდავს უმუშევრობას, მეორეს მხრივ განაპირობეს პერსონალის კვალიფიკაციის დაბალ დონეს, რაც თავის მხრივ აძნელებს ახალი, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მოწყობილობის დანერგვას, წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის ცვლილებას, ამის გამო მცირდება საწარმოების კონკურენტუნარიანობა და იზრდება მისი გაკოტრების და მომუშავეთა მასობრივი გამოთავისუფლების ალბათობა.

შრომის ბაზრის ფორმირების სხვა თავისებურებებიდან უნდა აღინიშნოს რეგიონალური და ბუნებრივ-გეოგრაფიული განსხვავებულობის არსებობა. საწყისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის ბუნებრივი რესურსები და დემოგრაფიული პირობები ცალკეულ რეგიონებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად განსხვავებულია მეურნეობრიობის ახალი ფორმების პირობებისადმი მათი ადაპტაციის უნარი, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს რეგიონების დარგობრივი სპეციალიზაცია.

და ბოლოს, შროის ბაზრის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსებისა და მოსახლეობის განლაგების სივრცობრივი შეუსაბამობა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა სათანადო კაპიტალდაბანდების პირობებში შეიძლება უზრუნველყოს არა მხოლოდ ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება, არამედ შრომითი რესურსებით ჭარბი რეგიონებიდან სამუშაო ძალის მოზიდვაც.

მაშასადამე, საქართველოსათვის შრომის ბაზრის ფორმირების სპეციფიკურ პრობლემებს, მაკროეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, წარმოდგენს:

-უმუშევრობის დონისა და მისი ხანგრძლივობის ზრდა;

-სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურის მკვეთრიშეუსაბამობა, რაც გამოიხატება ერთის მხრივ მის უკმარისობაში, ხოლო მეორის მხრივ საშუალო და უმაღლესი რგოლის კვალიფიციური სპეციალისტების სიჭარბეში;

-სირთულეები ახალგაზრდობისა და ქალთა შრომით მოწყობაში;

-მცირეშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა;

-შრომის ბაზრის შესახებ არაობიექტური და არასრულყოფილი ინფორმაციის არსებობა.

ამრიგად, თუ განვაზოგადებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: თანამედროვე პირობებში შრომის ბაზრის ფორმირების ზოგადი და სპეციფიკური პირობები ასრულებენ ორმაგ ფუნქციას: ერთნი ქმნიან ქვეყანაში დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის წანაძღვრებს, ხოლო მეორენი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეაფერხებენ მოსახლეობის დასაქებას. ამ გარემოების გათვალისწინება მეტად საჭიროა დასაქმების სფეროში ქმედითი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და სამომავლო ტენდენციების გამოსავლენად.

ამჟამად ძნელია განისაზღვროს, რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება და განმტკიცდება ფორმირების აღნიშნული ეტაპი საქართველოში, ეს ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაუახლოვდება ერთმანეთს ქვეყნის შრომითი რესურსების შედარებით დამოუკიდებელი ჯგუფების ფორმირება, ისეთი ჯგუფებისას, როგორიცაა ქალაქისა და სოფლის.

აღნიშნული პრობლემა მოითხოვს ქვეყანაში არსებული დასაქმების პოლიტიკის გააქტიურებას. მისი რეალური ამოქმედება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უზრუნველყოს შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება. უმუშევართათვის დახმარების მიზნობრივი გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ შრომის ბაზარზე უმუშევართა გადამზადების პროგრამების აქტიური პოლიტიკა, მეწარმეობის სტიმულირების პროექტების, შრომატევადი საზოგადოებრივი საქმიანობის პროცესების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ამ პოლიტიკის მიზანია უმუშევართა სწრაფი გადამზადება და მათი დაბრუნება აქტიურ შრომით საქმიანობაში, მისი გატარება კი თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურებში შეიქმნას დასაქმების სამსახური.

ამ მექანიზმის სრული ამუშავებისათვის საჭიროა შეიქმნას შრომის ბაზარი და მოხდეს ყოველნაირი ხელშეწყობა მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რისთვისაც აუცილებელია: უმუშევართა გადამზადების რეგიონალური საბაზრო ცენტრების შექმნა ქალაქებსა და რეგიონებში, რაც საშუალებას მოგვცემს ოპერატულად გადავწყვიტოთ უმუშევართა გადამზადების საკითხი.

დღეისათვის საქართველოში შრომის ბაზარი თავისი კლასიკური სახით არ არსებობს; და თუ ის ჩანასახოვანი ფორმით მაინც შეინიშნება, სტიქიური ხასიათისაა და ფუნქციონირებს სახელმწიფოს სტრუქტურების გვერდის ავლით. ეს გარემოება, ვფიქრობ, სხვა მრავალ მიზეზთა გარდა გამოწვეულია დასაქმების სამსახურის უმოქმედობითა და უსუსურობით, რასაც კარგ პიროებს უქმნის ქვეყანაში არსებული ჰიპერინფლაცია და მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო რეფორმების გატარების გაუმართლებელი გაჭიანურება.

4.2 შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ფორმები, მეთოდები და მათი სრულყოფის გზები

თანამედროვე პირობებში დასაქმების რეგულირების სისტემა ეფუძნება ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო კონცეფციას, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს წარმოების მოცულობისა და მისი ეფექტიანობის ზრდას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე დიდი მნისვნელობა ენიჭება მომუშავეთა დასაქმების დამატებითი პირობების შექმნას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ყოველთვის დიდი ყურადრება ეთმობოდა უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების პრობლემებს. ასე მაგალითად, 1974-1975 წლებში, როცა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განვითარებულ ქვეყანათა უმეტეს ნაწილში ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია, უმუშევრობის დაძლევისა და დასაქმების რეგულირების მიზნით ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო პროგრამების სისტემა და შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები. სწორედ ამ წლებში დასაქმების პოლიტიკა ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც არსებითად მოქმედებს ეროვნული შრომის ბაზრების ფუნქციობაზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დასაქმების სახელმწიფო ორგანოების ყურადღების ცენტრშია მოსახლეობის ხუთი ავტონომიური ჯგუფი:

1. მაღალკვალიფიკაციური უმცირესობა, რომელსაც საკმაოდ მყარი პოზიციები უკავია წარმოებაში;

2. საშუალო პროფესიული დონის პირები, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან დაცულნი პროფკავშირებით და კოლექტიური ხელშეკრულებებით;

3. მაღალკვალიფიციური იშვიათი პროფესიების მქონე მუშაკები;

4. არაკვალიფიციური მუშები, რომლებიც, როგორც წესი, პირველ რიგში ხდებიან უმუშევრები;

5. ინვალიდები, ქრონიკულად დაავადებულნი, ლოთები, ნარკომანები და შელახული რეპუტაციის მქონე პირები.

მოსახლეობის ბოლო ორი ჯგუფი სახელმწიფო ორგანოების ზრუნვის უმტავრესი ობიექტი გახდა.

დასაქმების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ დასაქმების სპეციალური პროგრამების საშუალებით სახელმწიფოს მიერ სამუშაო ადგილების შექმნა ამავე სექტორში.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ შრომის ბაზარი არის საერთო ეკონომიკური საბაზრო მექანოზმის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. სწორედ ის იძლევა საშუალებას, ეფექტიანად იქნას გამოყენებული შრომითი პოტენციალი, უნდა შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო სამუშაო ადგილებზე. შესაბამისად მოხდეს კვალიფიციური კადრების რაოდენობრივი ზრდა. შრომის ბაზარი ასევე ხელს უწყობს სამუშაო ძალის მობილურობის ზრდას და, შესაბამისად, დასაქმების ალტერნატიული ფორმების გავრცელებას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პოლიტიკისათვის ოპტიმალური და მისაღებია აქტიური პოლიტიკის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახეობის მაქსიმალური რაოდენობის დასაქმებასა და სამუშაო ძალის მაღალ ხარისხს

კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების სტიმულირების, ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ფონზე.

შრომის ბაზრის ფორმირებსა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითად პერსპექტიულ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ:

2. არაკონკურენტუნარიან და ნაკლებად დაცულ მუშაკთა დასაქმების მხარდაჭერის სპეციალური ფორმების გამოყენება, სპეციალური სამუშაო ადგილების შენარჩუნება და შექმნა, პროფორიენტაცია და პროფგანათლება სამუშაოზე მოწყობის გარანტიით (მათ შორის ინვალიდები, მარტოხელა დედები, რომლებიც ზრდიან არასრულწლოვან ბავშვებს და მოზარდები);
3. იმ პირთა პროფესიული გადამზადება, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ უმუშევრები;
4. შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლება, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფის ხარჯზე, რაც ორიენტირებულია დამქირავებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნაზე;
5. უწყვეტი განათლების სისტემის ფორმირება (სამუშაო ადგილზე განათლების მიღებისა და თვითგანათლების შესაძლებლობების გაფართოების ჩათვლით);
6. პროფორიენტაციის სისტემის დახვეწა და მოსახლეობის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
7. ეკონომიკის საბაზრო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა ან პროფილეს შეცვლა, რაც უზრუნველყოფს მუშაკების დასაქმების რესტრუქტურიზაციას, იძულებით უმუშევართა შრომით მოწყობას სპეცილობების მიხედვით და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელსეწყობა;

დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელება და შრომის ბაზრის რეგულირებისათვის საჭიროა შემდეგი ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსის გატარება:

1. შრომის ბირჟების საინფორმაციო ბანკებში სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობა, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა სამუშაო ძალის მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის საინფორმაციო-საკონსულტაციო სპეციალიზებული სამსახურების შექმნის გზით;
2. აქტიური და სპეციალიზებული საშუამავლო ფორმების ფართო გამოყენება: ვაკანსიების ბაზარი, სპეციალისტების დღეები და ა.შ.
3. რეგიონული და ლოკალური შრომითი ბაზრის კონიუნქტურის განვითარების შესაბამისად მოხდეს დაუსაქმებელი სამუშაო ძალის შრომითი, პროფესიული და ტერიტორიული მობილურობის შეთანაწყობა;
4. უმუშევრობის ხანგრძლივობის რეგულირება რეგისტრაციისა და აღრიცხვის რაციონალური ფორმების გამოყენების საფუძველზე, სოციალური გარანტიების კორექტირება რეგიონულ შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეცვლის გათვალისწინებით.

დასაქმების აქტიური პოლიტიკა ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე სტრუქტურული გადახრების შემცირებას, სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდას, მოთხოვნის მიხედვით მათ პროფესიულ ადაპტაციას და ხელსაყრელი კონიუნქტურის მქონე რეგიონებში შრომითი მიგრაციის ურთიერთშეთანხმებულ ქმედებას.

დღევანდელ პირობებში უმუშევართა დახმარება ქვეყნების დასაქმების სისტემის აუცილებელი კომპონენტია. დახმარება საშუალებას აძლევს უმუშევარ ადამიანებს, ახალი სამუშაო ადგილის პოვნამდე საარსებო წყარო ჰქონდეთ.

ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოციალური დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდის არსებობა, რომელიც სოციალურ დახმარებებს გასცემს შრომისუუნარო ინვალიდებზე, მარტოხელა მოხუცებზე, უმუშევარ მარტოხელა დედებზე, რომლებიც ზრდიან არასრულწლოვან ბავშვებს, მოზარდებზე. ხოლო დანარჩენ კატეგორიაზე კი მხოლოდ განსაზღვრული ვადით (2 თვე) გასცემს ოციალურ დახმარებებს ფულადი სახით; 2 თვის გასვლის შემდეგ კი პიროვნება უნდა დასაქმდეს ამა თუ იმ სფეროში.

დასაქმების სახელმწიფო პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს სრული, ეფექტიანი და თავისუფალი არჩევითი დასაქმების ურთიერთშერწყმა, რაც უნდა განხორციელდეს პროფესიული მომზადების, გამოთავისუფლებული მოქალაქეების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, ხანგრძლივი დროით (ქრონიკული) უმუშევრობის შეჩერების, დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ეფექტიანობის ამაღლებისა და იმ ღონისძიებათა რეალიზაციის საფუზველზე, რომლებიც მიმართულია შრომის ბაზარზე მოქალაქეების სოციალური დაცვისაკენ.

დასაქმების რეგულირების ამოცანას წარმოადგენს როგორც სრული დასაქმების მიღწევა, ასევე უმუშევრობის ხანგრძლივობის შემცირება და უმუშევართა მიერ სამუშაო ადგილების ინტენსიური ძებნის სტიმულირების გაძლიერება. დასაქმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც შეასრულებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფუნქციას:

1. უზრუნველყოფს ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად მუშაკების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის ტრანსფორმაციას;

2. შეამცირებს უმუშევრობის მასშტაბებს, განსაკუთრებით მის სტრუქტურულ და ტექნოლოგიურ შემადგენლობებს.

კადრების მომზადება-გადამზადება უნდა განხორციელდეს მაკრო და მიკრო ეკონომიკურ დონეებზე.

პირველ შემთხვევაში საუბარია სახელმწიფოს ზემოქმედებაზე მუშაკთა პროფესიონალურ-კვალიფიციური შემადგენლობის ფორმირების პროცესზე, რისი მიზანიცაა უმუშევრობის შემცირება ან მისი მასობრივი გამოვლენისათვის ხელის შეშლა.

მეორე შემთხვევაში იგულისხმება სახელმწიფო და არასახელმწიფო საკადრო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია წარმოების კვალიფიციური კადრებით დაკმაყოფილებაზე. უცილებელია, შეიქმნას პროფესიული დასაქმების მართვის კომპლექსური სისტემა, რაც საშუალებას მოგვცემს, ეფექტიანად გადავწყვიტოთ უმუშევრობის პრობლემა მოსახლეობის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით. უმუშევრობასთან ბრძოლაში პასიურ ღონისძიებათა გატარებიდან საჭიროა, გადავიდეთ აქტიურ, მიზანმიმართულ ქმედებაზე. დიდი როლი ენიჭება ადგილობრივ ინიციატივებს შრომის მოწყობის, საინოვაციო-სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობაში. მოსახლეობის რეგიონული მობილურობის მიზნით უნდა მოხდეს მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსირება. ამგვარად, დღევანდელ პერიოდში დასაქმების პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს დასაქმების სოციალურად მისაღები დონის უზრუნველყოფა.

კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლისათვის აუცილებელია დასაქმების სახელმწიფო რეგულირების აქტიური პოლიტიკა, რომელმაც უახლოეს პერიოდში შემდეგი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს:

– სოციალური, დემოგრაფიული, მიგრაციული პოლიტიკის შეთანხმება დასაქმების პოლიტიკის პრიორიტეტებთან და მიზნებთან. კვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ გასვლის მინიმუმამდე დაყვანა, მიგრანტების დასაქმების ხელშეწყობა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავლების რეგულირება. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხარისხის რეგულირება (ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.);

– საფინანსო-საკრედიტო, სტრუქტურული, საინვესტიციო, შიდა ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება დასაქმების პოლიტიკის პრიორიტებსა და მიზნებთან;

– მოქმედ საწარმოებში, სადაც შესაძლებელია ეკონომიკური ზრდა, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და განახლება, მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის გადიდების და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯზე;

– შრომითი პოტენციალის იმ კვალიფიციური ნაწილის დასაქმების ხელშეწყობა, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მაგრამ ამჟამად დროებით კრიზისულ მდგომარეობაშია.

– საწარმოო პერსონალის იმ ნაწილის წინასწარი გადამზადების უზრუნველყოფა, რომელზეც მოთხოვნა მცირდება წარმოებაში მოსალოდნელი სტრუქტურული ცვლილებებისა და მოდერნიზაციის ან გაკოტრების შედეგად;

– უმუშევართა დარჩენილი სამუშაო ძალის სასწრაფოდ შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ მათი კვალიფიკაციის დაკარგვა.

– უმუშევართა და მათი ოჯახის დაბალშემოსავლიანი წევრების სოციალური დახმარების გაძლიერება. უმუშევართა სოციალური

მხარდაჭერა-ეს არის არსებითად დასაქმების პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

უშევრობის დაძლევისა და ეფექტიანი დასაქმების პრობლემების გადაქყვეტისას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდლების გაზიარებას, საქართველოს სპეციფიკის, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ტრადიციების გათვალიწინებით.

4.3 კახეთის რეგიონში კოოპერატივების ორგანიზება და დანერგვა ერთ-ერთი ძირითადი გზაა შრომითი რესურსების დასაქმებისა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის (1991 წლის 9 აპრილი) აღდგენის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა კოოპერაციას კვლავ დაუბრუნა თავისი ბუნებრივ-ისტორიული დანიშნულება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კოოპერატივი აღიარებულია სამეწარმეო საქმიანობის სრულუფლებიან ფორმად. დღეს იგი მიჩნეულია ფერმერული მეურნეობის აღორძინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად და საშუალებად. ამის დასტურად მოგვყავს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2010 წლის მეორე კვარტლის მონაცემები, რომელთა დაყრდნობით საქართველოში მცხოვრები 4 მილიონ 400 ათასი ადამიანიდან 371 ათას 341 ადამიანი ბიზნეს სექტორშია დასაქმებული. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან ამავე წყაროს მიხედვით უმეტესობა 58.7% მამაკაცია, ხოლო 41.3%-ქალი. საქართველოში დასაქმებულების ყველაზე დიდი რაოდენობა მსხვილ საწარმოებზე მოდის, შემდეგ მოდის მცირე საწარმოები, სადაც დასაქებულთა მთლიანი რაოდენობის 21.6%

მუშაობს, ხოლო მესამე ადგილზე საშუალო საწარმოებში მომუშავე ადამიანებია

ყველა პრობლემიდან არსებობს გამოსავალი, ჩვენ ყოფასაც ეშველება თუ სწორ არჩევანს გავაკეთებთ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმიანობის დონის ამაღლებისათვის საშუალოვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს კოოპერირებას, როგორც თანამედროვე ეტაპზე სოფლად შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ყველაზე მოხერხებული ფორმის დამკვიდრებას. ეკონომიკურ მოტივაციაზე დაფუძნებული საწარმოო, სამომხმარებლო, საკრედიტო და სხვა სახის კოოპერაციული გაერთიანებების შექმნა უზრუნველყოფს მიწაზე მეურნეობრიობის შედარებით მაღალ შედეგებს და მოამზადებს ნიადაგს მომავალში სხვადასხვა სახის აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფორმირებისათვის.

როგორც ცნობილია, რომ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 55 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. დანარჩენ ქვეყნებში ავღანეთის გარდა (80 პროცენთი) ასეთი პროცენტი არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელით შრომაა ძირითადად გამოყენებული. ამასთან პროდუქტების წარმოება ხდება წვრილი ფერმერულ-ინდივიდუალურ მეურნეობების მიერ. დამზადება-შესყიდვა ხდება ქაოსურად, არაორგანიზებულად წვრილ მოვაჭრეთა მიერ, ხოლო პროდუქტების გადამუშავების სისტემა მოოისუსტებს. ყოველივე ამის გამო წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი სამომხმარებლო ბაზარზე ვერ აღწევს, იგი შენახვისა და გადამუშავების პირობების არარსებობის გამო მომხმარებლებთან მიტანამდე ფუჭდება. გარკვეულად ამავე მიზეზითაც სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩება. რის გამოც შინამეურნეობებს არა აქვთ სტიმული აწარმოონ პროდუქცია. ამასთან საქართველოში არის

იდიალური რეზერვი ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, დამზადების და გადამუშავების. მძლავრი ორგანიზაციული სისტემის შესაქმნელად, რომელსაც შეუძლია აწარმოოს თანამედროვე სტანდარტების, დაფასოების კონკურენტუნარიანი პროდუქცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე გასატანად. ოჯახურ მეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ მთელი რიგი სამეურნეო ოპერაციების ჩატარებისა, რათა გაერთიანდნენ სხვა ოჯახურ მეურნეობებთან უფრო ფართო მაშტაბით. დღეს აუცილებელია სოფლის მეურნეობის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა მოხდეს მოსახლეობასთან ფართო კოოპერირების გზით, საწარმოებში მათი გაწევრიანებით და წილობრივი მონაწილეობით. ასევე აუცილებელია ადგილებზე რაიონულ ცენტრებსა და შედარებით მსხვილ დასახლებულ პუნქტებში შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხილის, ბოსტნეულის, რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი, დამფასოებელი საწარმოები, მათთან დაკავშირებული ნედლეულის შესაძენი სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობებით, ბოსტნეულისა და ხილსაცავებით, რომელთა სიმძლავრე უნდა განისაზღვროს რეგიონებში ნედლეულის წარმოების შესაძლებლობების მიხედვით. ასე წარმოიქმნება ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელი სუბიექტი-კოოპერატივი, რომლის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ კოოპერატივში გაერთიანებული წევრების სამეურნეო ინტერესების მომსახურება.

საქართველოში ერთ ოჯახზე საშუალოდ მოდის ნახევარი ჰექტარი მიწა. ეს ხომ მცირეა, მაგრამ ეს ნახევარი ჰექტარი ოჯახებს აქვთ სამ-ოთხ ადგილას მიღებული, განსაკუთრებით, მაღალმთიან რაიონებში. გამოდის, რომ ეს 448 ატასი ჰექტარი სახნავი მიწა დაქუცმაცებულია სამ-ოთხ მილლიონ ნაკვეთებად. როდესაც ოჯახს

უნდა დაამუშაოს ეს ნახევარი ჰექტარი, უწევს 1000 მეტრის დამუშავება ერთ მასივში, მერე 10 კილომეტრის იქით გადასვლა მეორე მასივში და ა. შ. ამას ვერ ახერხებს მოსახლეობა და ამიტომ ამუშავებს მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც მას ეყოფა საკუთარი წარმოებისათვის.

საქართველოში მიეწების პრივატიზაცია აუცილებელი პროცესი იყო ქვეყნის გადასარჩენად. მაგრამ ახლა უკვე იმ მდგომარეობაში ვართ, რომ ასევე აუცილებელია ამ მიწების გამსხვილება. როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სულიკო ყამარაული აღნიშნავს მიწების გამსხვილება უნდა მოხდეს კოოპერატივების სახით. რომ კოოპერატივები არის ყველა ქვეყანაში და ჩვენთანაც უნდა განვითარდეს. აქ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი მათ ჩამოყალიბებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კოოპერატივებს პერსპექტივა არ ექნება „როგორ უნდა შეუწყოს ხელი? სოფლად უნდა იცოდენ, რომ ის დასახლებული პუნქტი, რომელიც კოოპერატივს შექმნის, სახელმწიფოსაგან მიიღებს შეღავათიან კრედიტს. მან უნდა მისცეს საწყისი თანხები იმისათვის, რომ კოოპერატივმა ფუნქციონირება დაიწყოს. გარკვეული პერიოდის მანძილზე სარწყავი წყლის, ელექტროენერგიის საფასური სახელმწიფომ გადაიხადოს, ტექნიკით მომარაგების თვალსაზრისითაც დაეხმაროს.“

დღეს საბაზრო ურთიერთობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადრე თუ გვიან სხვადასხვა ფორმის სამეურნეო ეკონომიკური კავშირების დამყარების აუცილებლობის წინაშე დადგებიან. ეს კავშირები შეიძლება იყოს, როგორც შიდა სამეურნეო, ასევე სამეურნეობათაშორისო ხასიათის. აქედან პირველი წარმოადგენს კავშირურთიერთობებს, რომლებიც მყარდება საწარმოს

სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის (სუბიექტები), მეორე კი აგრობიზნესის მონაწილეთა შორის წარმოშობილ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის, შენახვა-გადამუშავების და რეალიზაციის საკითხებთან. როგორც პირველის, ისე მეორის მიზანს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს საწარმოო ფაქტორების უკეთ გამოყენებისა და წარმოების დანახარჯების შემცირების საფუძველზე.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება ცხადად ადასტურებს, ასეთ კონკრეტულ პირობებში სოფლად საქონელმწარმებელთა კოოპერირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას მათი საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დარეგულირებისათვის.

საქართველოში სოფლის მეურნეობა იყო ერთადერთი დარგი მოსახლეობის სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობისა. დღეს ამ დარგის ხვედრითი წილი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სულ უფრო და უფრო მცირე ადგილს იჭერს. არის გარკვეული საშიშროება იმისა, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა შემცირებით შეიძლება გაქრეს სასოფლო დასახლებები, სოფლის თემები და ლანდშაფტები. ამდენად, ამ სექტორის შენარჩუნება ნიშნავს, არა მარტო ტრადიციული სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის ლანდშაფტების შენარჩუნებასაც. ამ პრობლემის დასაძლევად უნდა მოხდეს ეკონომიკის - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება.

სახელმწიფოს რეგულირება - ესაა ხელისუფლების ხელთ არსებული სტიმულირების ბერკეტების (როგორც ადმინისტრაციული, ასევე ეკონომიკური) ერთიანი სისტემა, რომლის დახმარებათაც სახელმწიფო მონაწილეობს საბაზრო ურთიერთობათა პროცესებში,

როგორც ბაზრის სუბიექტი და უზრუნველყოფს ამა თუ იმ დარგის მდგრად, მიმართულ განვითარებას. მისი რეგულირების ობიექტი შეიძლება იყოს წარმოების სფერო, რეგიონი, ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა, დასაქმება, ფულის მიმოქცევა, ფასები, კადრები, ეკოლოგია, საგარეო ეკონომიკური და სხვა ურთიერთობანი, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ქვეყანაში, აჩვენებს წარმოების ზრდის ტემპი, დასაქმების დონე, საგადასახადო ბალანსი, ინფლაციის ტემპი და სხვა მაჩვენელებლები. ეს კარგად ჩანს ასევე საზოგადოების ქცევიდანაც (რამდენად დაძაბულია საზოგადოება, არის თუ არა გაფიცვები, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ბლოკირებები და ა.შ.).

კახეთის ეკონომიკის წამყვან დარგს, მოსახლეობის შემოსავლის მთავარ წყაროს და მხარის მრეწველობის სანედლეულო ბაზას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მხარის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის განმსაზღვრელი ადგილის გამო მრაწველობა თითქმის მთლიანად მას ექვემდებარება, რომლის მაპროფილებელ დრგად კვების მრეწველობა რჩება, სადაც ლომის წილი ღვინის წარმოებაზე მოდი (75%), იგი წარმოადგება 50 მოქმედი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოთი, რომელთა ტერიტორიული განლაგება თანხვდება მევენახეობის მთავარ რაიონებს, განსაკუთრებით გამოიყოფა გურჯაანის, თელავის და ყვარელის რაიონები.

კვების მრეწველობიდან აღსანიშნავია ასევე საფქველ-ბურღულეულის წარმოება (მარცვლეულის გადამუშავება) პურ-ფუნთუშეულის წარმოება, უალკოჰოლო სასმელების (ნატურალური კონცეტრატების) წარმოება.

კახეთის რეგიონში და საერთოდ საქართველოში შრომითი რესურსების დასაქმების ერთ-ერთ ძირითად გზად კოოპერატივების ორგანიზება და დანერგვა გვესახება. კახეთის რეგიონის რაიონების სოფლების მიხედვით გავიანგარიშეთ შინამეურნეობებისა და მასივების რაოდენობა. კოოპერატივი მასივი აუცილებლად უნდა იყოს ერთ ადგილზე. ჩვენი გაანგარიშებით შესწავლილი რეგიონების დასახლებულ პუნქტებში საწყის პირველ ეტაპზე სახნავი მიწების გაერთიანება-გამსხვილებით შეიქმნება 60-70 კოოპეტატივი, ხილისა და ტყის კენკროვნების დამზადებისა და დაფასოება-გადამუშავების 10-12 კოოპერატივი, ბოსტნეულისა და კარტოფილის შესყიდვა-დაფასოების 13-15 კოოპერატივი, პირუტყვის მიმღები სასაკლაოთი და მაცივრებით 8-10 კოოპერატივი, რძის მიღება გადამუშავება დაფასოების 20-25 კოოპერატივი, მატყლის გასაწმენდი, საჩეჩი და სამღებრო 4-5 კოოპერატივი, ლოგინების სამკერვალო, ხალიჩა-ფარდაგების, წინდების, ჯემპრების საქსოვი 6-8 საამქრო, საცხენოსნო ტურიზმის მომსახურე დაახლოებით 15-20 კოოპერატივი, საოჯახო ტურიზმით დაკავებული 1200-1500 ოჯახი და 10 ათასი ადამიანი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით დასაქმდება მოსახლეობის 80-85%. არნიშნული ღონისძიებების დანერგვის შედეგად პირველ ეტაპზე ოჯახების შემოსავალი გაიზრდება 2-3-ჯერ, ხოლო შემდგომში კი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იქნება. საჭიროა ეს ღონისძიებები უახლოეს ერთი წლის განმავლობაში განხორციელდეს, ვინაიდან უფრო მეტად შეფერხდება რეგიონებიდან მიგრაციული პროცესები. საჭიროა ყოველ საკრებულოდან 5-6 მონაწილე ჩაერთოს ამ პროცესში რომლებიც მოსახლეობამდე მიიტანდნენ ინფორმაციას კოოპერატივების უპირატესობების შესახებ. ამრიგად ქვეყნის აგროსექტორის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, ფერმერული მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოების სტრუქტურის,

მათი შემოსავლიანობის, მეწარმე სუბიექტების მენტალიტეტის, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული პოლიტიკის გათვალისწინებით, აგროსექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ფერმერული და სახელმწიფო კოოპერატივების და ასოციაციების ჩამოყალიბება, მათი ფორმირებისათვის ხელსემწყობი პირობების შექმნაა. ამ მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია ამ საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეწყობა. კერძოდ მხოლოდ ახლად შექმნილ კოოპერატივებს წახალისების თვალსაზრისით უნდა მიეცეს:

1. დახმარება 2-3 ათასი ლარის ოდენობით:
2. გამოეყოს დაბალპროცენტიანი კრედიტები:
3. შეღავათიან ფასებში ტექნიკა, თესლი, სასუქი:
4. სარწყავი წყლის გადასახადი 50%-იანი შეღავათით და ა.შ.

დასკვნები და წინადადებები:

-კვლევამ აჩვენა, რომ მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის მთავარი ამოცანაა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება, რაშიც აქტიური მონაწილეობა სახელმწიფომ უნდა მიიღოს. მისი დაძლევისათვის მნიშვნელოვანია უმუშევრობის აღმოფხვრა და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა.

-კახეთის რეგიონში კერძო სექტორის განვითარებისათვის, ახალი სამუშაო ადგილების ფორმირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო სუბსიდირება. დასაქმების პოლიტიკის მიზანს რეგიონულ დონეზე წარმოადგენს ეკონომიკურად მიზანშეწონილი სამუშაო ადგილების შექმნა, რისთვისაც აუცილებელია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ხელსაყრელი საინვესტიციო და საგადასახადო სისტემები. ეს ხელს

შეუწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მასზე დაფუძნებული გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, თანამედროვე ტექნიკის დანერგვას.

- ქვეყანაში და, კერძოდ, საკვლევ რეგიონში შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის საჭიროა შრომის ბაზრის ფუნქციონირება. თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო ლიბერალური შრომის ბაზრის შექმნას, რაც თავის მხრივ გულისხმობს შრომის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, უმუშევართა დახმარებას, პროფესიული მოზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, სპეციალურ ღონისძიებებს მოსახლეობის დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმებაში.

-დასაქმების პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია სპეციალური პროგრამები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის. კერძოდ ქალთა შრომის შემსუბუქებისათვის მათი დასაქმება შედარებით მსუბუქ სამუშაოზე, სამუშაო რეჟიმში დასაქმების არასტანდარტული ფორმების გამოყენება, როგორიცაა არასრული სამუშაო დღე, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და ა. შ.

-შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. ამიტომ უმუშევრებისა და სამუშაო ადგილების შესახებ აუცილებელია ისეთი საინფორმაციო ბაზა, რომელშიც სრულად აისახება შრომის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა როგორც მხარის, ასევე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

-კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად სოციალურად დაუცველი აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამიტომ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი უნდა

შეუწყოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებას. ამასთან ერთად ხელფასი უნდა იყოს სამართლიანი, დაცული იქნეს ხელფასის დამოკიდებულების პრინციპი განათლებისა და კვალიფიკაციის დონესთან. გარდა ამისა, სახელმწიფომ სოციალურად დაუცველი ადამიანები უნდა უზრუნველყოს საარსებო მინიმუმით.

- კვლევამ გვიჩვენა, რომ მუშახელის დასაქმების და მისი მაღალეფექტურად გამოყენების მიზნით აუცილებლია დაქუცმაცებული მიწების კოოპერირება, გაერთიანება გამსხვილება, რაც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეობის და მცირე ბიზნესის განვითარებას რეგიონში. რის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და დასაქმდება უფრო მეტი შრომითი რესურსი.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების განვითარება. რომლის მიზანი იქნება არა მოგების მიღება, არამედ კოოპერატივში გაერთიანებული წევრების სამეურნეო ინტერესების მომსახურება დანადგარების, შხამქიმიკატების შესაძენად, განსაზღვრული წლების შემდეგ სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების უკან დაბრუნების პირობით;

- სახელმწიფოს მხრიდან ფერმერული მეურნეობებისადმი ფინანსური დახმარება, განსაკუთრებით ტექნიკის, მანქანა-დანადგარების, მაკროეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღება და პირველ რიგში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონის ამაღლება. სამამულო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების დაცვა შიდა ბაზარზე იმპორტიორების არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების აგრარულ ეკონომიკასთან ურთიერთობა წარმოებდეს ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების საწყისებზე და არა სტიქიურად;

- დაძლეული უნდა იქნეს შრომითი რესურსების გამოყენებაზე ისეთი ხელშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა არასასურველი მიგრაცია, სეზონურობა, მაღალკვალიფიციური კადრების არ ყოლა და სხვა;
- საჭიროა შეიქმნას შრომითი რესურსების საიმედო სოციალური დაცვის მექანიზმი. უნდა მოხდეს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების უმისამართო ფორმებიდან მისამართიან ფორმაზე გადასვლა, მისი პერსონიფიკაცია. სახელმწიფომ მოსახლეობა უნდა უზრუნველყოს განათლებისა და ჯანდაცვის მინიმუმით. ამის ზევით ადამიანებმა თვით უნდა აიმაღლონ ცოდნის დონე, იზრუნონ ჯანდაცვაზე და ა.შ.;
- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, სოციალური დაცვის საკუთარი სისტემის შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, ერთის მხრივ, ბაზრის მოთხოვნები და მეორე მხრივ, სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული, პოლიტიკური, ეროვნული პირობები. მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირება უნდა ეფუძვნებოდეს მოსახლეობის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ გარანტიათა ზოგადსაყოველთაო მოცვის პრინციპებს. ამასთან ერთად სოციალური დაცვა უნდა ატარებდეს მკაცრად განსაზღვრულ შერჩევით ხასიათს, რომელიც პრიორიტეტს მიანიჭებს მოსახლეობის ყველაზე უფრო გაჭირვებულ კატეგორიებს (ინვალიდებს, პენსიონერებს, მცირედუზრუნველყოფილ ოჯახებს, უმუშევრებს). ამასთან ცხადია, ჩამოთვლილი კანონზომიერების რეალიზაცია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი აზროვნების მქონე ადამიანებს ძალუძთ.
- იმისათვის, რომ კახეთის რეგიონის პირობებისათვის მიწა სრულად და მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული, ამასთან ერთად უზრუნველყოთ მისი ნაყოფიერების სისტემური გადიდება,

აუცილებელია რამდენიმე ნიადაგისადმი წაყენებულ მოთხოვნილების ხასიათის მიხედვით განსხვავებული კულტურის წარმოება, ავიღოთ მაგალითისათვის მინდვრის კულტურები. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მხრივაც, რომ ზოგი მათგანი სახნავი ფენის შედარებით ზედა ნაწილში ინვითარებს ფესვთა სისტემას და უმთავრესად აქედან იღებს თავისთვის საჭირო საზრდო მასალას.

- ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კახეთის რეგიონში მარცვლის გაადგილების შესაძლებლობანი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ რეგიონს თავისუფლად შეუძლია აწარმოოს მარცვლეული სულ მცირე 400-450 ათასი ტონა, ხოლო შორეულ პერსპექტივაში 600-700 ათას ტონამდე. მიუხედავად ამისა, მარცვლეულის წარმოებისა და მოსავლიანობის დღევანდელი დონე სრულებით ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, თვით მემარცვლეობის მოწინავე რაიონებში. მთლიანად არ არის გამოყენებული მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების ინტენსიური და ექტენსიური პოტენციალური შესაძლებლობანი.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაადგილებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხორციელდება დიდ ფართობებზე, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, რაც დიდ გავლენას ახდენს მის საბოლოო შედეგებზე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, ეფექტიანობაზე. რაკი ერთგვაროვანი პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად ზონალურ პირობებზეა დამოკიდებული აუცილებელია, ძირითადი სასაქონლო პროდუქციის წარმოებას იმ რაიონებში მოვუყაროთ თავი, სადაც მისი დამზადება უფრო იაფი დაჯდება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სივრცობრივი გაადგილება სხვადასხვა ტვირთების დიდი მოცულობით გადაზიდვებს განაპირობებს, როგორიცაა მოსავალი, საკვები, საწვავი, პროდუქცია, სასუქები და

ა.შ. ეს კი თავის მხრივ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად გასათვალისწინებელია.

- კახეთის მხარეში არსებობს მნიშვნელოვანი ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალი და საჭირო შრომითი რესურსები, ხოლო სრული და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა გამოიწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

I – საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს „შრომის კოდექსი“;
3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (I)-კონვენციები;
4. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „მეწარმეობის შესახებ“;
6. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ნორმატიული აქტების კრებული, ნაწ II, თბ. 2003წ.

II – წიგნები და სტატიები:

1. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. – ეკონომიკური თეორია, თბ., 1998წ.
2. ადეიშვილი გ. – დასაქმების პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურ. “ეკონომიკა“ №6, 1991წ.

3. არჩვაძე ი. – მოსახლეობის საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენციაციის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები თანამედროვე საქართველოში, ჟურ. „ეკონომიკა„ №1-3 1997წ.
4. ანდღულაძე რ. – პრიორიტეტული დარგები აგრარულ სექტორში, ჟურ. „კვალი“ №1, 1998წ.
5. ბურკაძე ვ. – საქართველოს რეგიონების აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და მართვისძირითადი პრინციპები, თბ., 2001წ.
6. გველესიანი მ. – ეკონომიკსი, ლექციების მოკლე კურსი, თბ., 2000წ.
7. გურგენიძე ვ. – მენეჯერთა შრომის ორგანიზაცია, თბ. 1997წ.
8. გურგენიძე ვ. – შრომითი მაჩვენებლების ანალიზი და დაგეგმვა, თბ. 1986წ.
9. გრიშიკაშვილი ა. – გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ. 1998წ.
10. გუნია ა.- მოსახლეობის ცხოვრების დონე-ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი. მაცნე. ეკონომიკის სერია №1, ტომი 1, გვ. 5-16, 1993წ.
11. გიორგაძე ჰ., გეგენავა ლ., ლაჭყეპიანი თ. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. 2006წ.
12. გოგოხია რ. – შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვთარების ტენდენციები. თბ. 2005წ.
13. დოდელია მ. – კადრები პრობლემები, პერსპექტივები, თბ. 1989წ.
14. ვაშაკიძე ო. – აგრარული გარდაქმნების ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი, თბ. 2000წ.
15. თორია მ., ცარციძე მ. – უმუშევრობის პრობლემები და მათი დაძლევის გზები საქართველოში, 1997 წ.

16. კახნიაშვილი ჯ. – მაკროეკონომიკა, I, II ნაწილი, თბ. 1997წ.
17. კახნიაშვილი ჯ. – მაკროეკონომიკა, თბ. 1996წ.
18. კოღუაშვილი პ., ზიბზიბიძე გ. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. 2006წ.
19. კოღუაშვილი პ. – აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ. 1998წ.
20. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, „მეცნიერება“ 1997წ.
21. კვირიკაძე ლ. – სოფლად სამუშაო ძალის ფორმირების რეგიონალური თავისებურებანი, „მეცნიერება“ 1985წ.
22. ლუკასი რ. – საბაზრო ეკონომიკა, თბ. 1997წ.
23. მერაბიშვილი გ. – შრომის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ. 1999წ.
24. მაკკონელი კ.რ. ბრიუ ს.დ. – ეკონომიკსი, თბ. 1997წ.
25. მიქიაშვილი ნ. – შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის შესახებ, ჟურ. „ეკონომიკა“ №5-7 1997წ.
26. ნარგიზაშვილი მ. – შრომის ეკონომიკა (ლექციების კურსი), თბ. 1986წ.
27. ონიანი დ. – ეკონომიკური თეორია, თბ. 1994წ.
28. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი დ. – ეკონომიკა, I, II, III, IV ტ., თბ. 1999წ.
29. სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე. – მიკროეკონომიკსი, თბ. 2006წ.
30. თურმანიძე ს – ბიზნესის ლექსიკონი, თბ.2010წ.
31. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. – ეკონომიკა. მეთხუთმეტე გამოცემა კ. ღურწკაიას რედაქციით, ოთხ ტომად. თბ. 2000წ.
32. ტუხაშვილი მ. – საქართველოს მოსხლეობის განათლების პოტენციალი, თბ. 1995წ.

33. ტუხაშვილი მ. – საქართველოს შრომითი პოტენციალი, თსუ, 1998წ.
34. ტუხაშვილი მ. – შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში, თბ. 1990წ.
35. ფიშერი ს., დორნბუში რ., შმალენზი რ. – ეკონომიკა, I, II, III, IV, ტ., თბ. 1998წ.
36. ქეშელაშვილი ო. – ვინ იცის ეკონომიკა? ტ. I, ტ. II, თბ. 2005წ.
37. ქეშელაშვილი ო. – ბიზნესის ორგანიზაცია, თბ. 1995წ.
38. ღურწკაია კ., ღურწკაია თ. – ბიზნესის საფუძვლები, თბილისი, 2005წ.
39. ყამარაული ს. – მარკეტინგი, თბ. 2008წ.
40. ყამარაული ს. – წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში, თბ. 2000წ.
41. ჩიკვაიძე თ. – ეკონომიკა და შრომის დისციპლინა, თბ. 1985წ.
42. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. – სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი, თბ. 1996წ.
43. ცერცვაძე ა., პატარია კ., ჭელიძე გ. – დაზღვევა როგორც სოც. დაცვის ეფექტიანი საშუალება, ჟურ. „ეკონომიკა“ №4-6 1998წ.
44. ხარაიშვილი ე. – აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებები, თბ. 2004წ.
45. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ. – მიკროეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ. 2008წ.
46. ხარაიშვილი ნ. – მიკროაგროეკონომიკური ანალიზი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 2000წ.
47. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები, თბ. 1993წ.

48. ჭითანავა ნ. – გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ. 1997წ.
49. ჰეჯესი ტ. – ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია, გამ. „ფარნავაზი“, თბ. 1997წ.
50. **Vfcrekzr B L - Cnhfntubz pfyznjcnb-ghtljndhfotybt dtphfdjnbxb V Trjyjvbrf 1990u**
51. **Cnhevbkby C U – Yfib Nheljdst htcehcs b gthcgtrnbds {jpzqcndtyyjt cnhjbntkmcndj 1922 dsh 2**
52. **Vfpbv F K - Trjyjvbrf nhelf - 2-t bplfybt, Vjcrdf 2007u**
53. **Gjgjd B - Trjyjvbrf ctk]crjuj [j'zbcndf, Vjcrdf 2000u**

III სტატისტიკური კრებულები

1. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ - საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2009წ.
2. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული“ - საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2008წ.
3. „საქართველოს შინამეურნეობები“ - საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2009წ.

სადისერტაციო ნაშრომები, ავტორეფერატები:

1. კვირკვაია მ. - „დასაქმების რეგულირება და მისი სრულყოფის ღონისძიებები საქართველოში“ - საკანდიდატო დისერტაცია, 1999წ.
2. მერეკლიშვილი მ. - „შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში“, 2009წ.

3. ტივიშვილი დ. - „სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი ჩამოყალიბების პრინციპები და განვითარების გზები“ - საკანდიდატო დისერტაცია, 1999წ
4. ტუხაშვილი მ. - „საქართველოს შრომითი პოტენციალის ფორმირება და განაწილება“ - სადოქტორო დისერტაცია, 1997წ.
5. ცარციძე მ. - „მუშების შრომის ანაზღაურება და სტიმულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ - სადოქტორო დისერტაცია, 1998წ.